საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 აგვისტო **შაბათი** 2012 №201 (13 807) ფასი 80 თეთრი

## ლელოს სტუმარია ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



12

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ბოლო აკორდი გამარჯვებისა იყო

## პულენის სამქულიანამდე ნაკრებმა გვარიანად გვანერვიულა

8-9







თამუნა ყულიჯანაშვილის ფოტოები



3

## ქართული პრემიერლიგის იმერული დერბი

# 50-ე ბუნდესლიგა დაიწყო

## დღეს სტარტს სერია A-ც აიღებს




ჩემპიონმა ბორუსიამ სეზონი მოგებით დაიწყო

ევროპის საკლუბო პირველობების წინათქმები და სერია A-ს განაცხადები

5-7, 10-11

ქართული ფეხბური

● U-19



# ქარბორბალა მეტოქის კართან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა სომეხ თანატოლებთან მეორე ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარა და 4:0 გაიმარჯვა. **კახა კაჭარავას** გაწვრთნილები უფრო დამაჯერებლად თამაშობდნენ, ვიდრე ორი დღის წინანადელ დაპირისპირებაში, რომელიც 1:0 მოიგეს.

ეს იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში მოთამაშეები კლუბებს დაუბრუნდნენ და ამჯერად ვერ ითამაშეს **ლევან გეგეჭკორმა, ნიკა ჭანტურიამ, ნიკა სანდოხაძემ, გიორგი აბურჯანიამ, პაპუნა ფონიავამ, გიორგი ფანცულაიამ.**

მაგრამ სომხების გუნდი ამ შემადგენლობამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. კაჭარავამ ნაკრები ამჯერად 4-4-1-1 ტაქტიკური სქემით ათამაშა, თუმცა, წინა მატჩისგან განსხვავებით, მეორე შემტევი **ნიკა ახვლედიანი** ოდნავ უკან იყო დახეული.

შეხვედრა საქართველომ თავიდანვე აქტიურად დაიწყო და მეტოქის დაცვის სისუსტეებიც უცებ გამოჩნდა. პატარა აფეთქება და მეტოქე დაცვაში იბნეოდა. ანგარიშიც სწრაფად გაიხსნა: კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ახლო მანძილიდან კარში თავით **ვაჟა მათიაშვილმა** გააგზავნა – 1:0.

სომხებმა მწვავე კონტრშეტევით უპასუხეს, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა თავდამსხმელმა **ზოჰრაბიანმა ნიკა შერმადინს** ვერ აჯობა. რამდენიმე წუთში იგივე ეპიზოდი სომხების კართან განმეორდა - ამჯერად სიზუსტე **ავთანდილ ენდელაძეს** დააკლდა.

ენდელაძემ შეცდომა მალე გამოასწორა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა პენალტი მოიპოვა, რომელიც ახვლედიანმა ზუსტად შეასრულა - 2:0.

ჩვენები შეტევაში დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე ისევ მეკარე შერმადინმა გაიბრწყინა, რომელმაც პირისპირ გასულ **აივაზიანს** აჯობა.

მეორე ნახევარშიც იგივე სურათი იყო: ქართველები უტევდნენ, სტუმრები კი იშვიათი, მაგრამ საკმაოდ მწვავე კონტრშეტევებით გვპასუხობდნენ.

სომხები ცდილობდნენ ანგარიშის შემცირებას, მაგრამ საკუთარი კარიდან ბურთი კიდევ ორჯერ გამოიტანეს: **ნიკა კაჭარავამ** საჯარიმოს სიახლოვიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა – 3:0.

მალე კვლავ ამ ტანმაღალ თავდამსხმელს (198 სმ) მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **ბაჩანა არაბულს** უპასა, რომელმაც ახლო მანძილიდან გაიტანა – 4:0.

შემდეგ მათ როლები გაცვალეს, ამჯერად არაბულმა კაჭარავას მისცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

ბოლო წუთზე სომხებს პრესტიჟის გოლის გატანის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ პირისპირ დარჩენილი თავდამსხმელის წინააღმდეგ შერმადინმა კვლავ მშვენივრად ითამაშა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენს დაცვაში ხარვეზები გამოჩნდა. ეს მატჩზე დამსწრე აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ველი კასუმოვმაც** აღნიშნა, რომლის გუნდიც კაჭარავას გაწვრთნილებს შემოდგომაზე შესარჩევ ციკლში დაუპირისპირდება.

**ამხანაგური მატჩი**

24 აგვისტო. თბილისი.
„ბასა". 400 მაყურებელი

**საქართველო–სომხეთი 4:0**

**1:0 მათიაშვილი (6), 2:0 ახვლედიანი (23. პ), 3:0 კაჭარავა (51), 4:0 არაბული (63. კაჭარავას პასით).**

საქართველო: **შერმადინი - მთივლიშვილი, გადრანი, კახიძე, უბილავა - დიასამიძე, ლობჟანიძე, ღერკენაშვილი, ენდელაძე – ახვლედიანი – მათიაშვილი.**

შეცვლაზე: **ღალანიძე, პაპუნაშვილი, არაბული, კაჭარავა, სამუშია.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრები 26 ოქტომბერს ეწყება: ტურნირს ხორვატია უმასპინძლებს და ბალკანელების გარდა, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებები დაგვიპირისპირდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

● U-17

# პოლონური გამოცდა

თბილისის "დინამოდან" წასვლის შემდეგ ნიჭიერი სპეციალისტი **გიორგი დევდარიანი** უსაქმოდ დიდხანს არ დარჩენილა: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები (1996 წელს დაბადებულები) ჩააბარეს. 27 აგვისტოს მისი გაწვრთნილი გუნდი პოლონეთში გაემგზავრება – ქართველი მოზარდები პლოცკის საერთაშორისო ტურნირზე "Syrenka Cup"-ზე მიიწვიეს.

ეს არის ტრადიციული ტურნირი და წლეულს 27-ედ ტარდება, ორგანიზატორი პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია არის. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, "Syrenka Cup - 2012"-ზე რვა გუნდი მონაწილეობს: პოლონეთი, საქართველო, კვიპროსი, ნორვეგია, დანია, ჩრდილოეთ ირლანდია, უკრაინა და საბერძნეთი. გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილები. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში პოლონეთის, კვიპროსისა და ნორვეგიის ნაკრებებთან მოხვდა. ტურნირი სათასო სისტემით ტარდება, ჯგუფებში პირველი მატჩების გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან, დამარცხებულები კი ურთიერთობას ერთმანეთთან გაარკვევენ.

დევდარიანის ფეხბურთელები პირველ შეხვედრას 28 აგვისტოს მასპინძელ პოლონელებთან გამართავენ. ამავე დღეს ითამაშებენ კვიპროსი და ნორვეგია და სწორედ, პირველი სათამაშო დღის შემდეგ გაირკვევა ჩვენი გუნდის მომდევნო მეტოქე რომელი იქნება. მეორე ტური 29 აგვისტოს გაიმართება, დასკვნითი შეხვედრები - 31 აგვისტოს.



17-წლამდელები საწვრთნელ შეკრებაზე თბილისში იმყოფებიან და მათ შორის ერთი ლეგიონერია, იტალიური "ემპოლის" თავდამსხმელი **რომან ჭანტურია.** ასე რომ, დევდარიანი ჭანტურიას ვერც ამ ნაკრებში ასცდა.

სრული სია კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: **ოთო გოშაძე („საბურთალო"), გიორგი ჩაფიძე („დინამო", თბილისი);**

მცველები: **გაგი მარგველაშვილი, გიორგი თევზაძე, ნიკა ველიაშვილი, ლევან ასპინძელაშვილი (ყველა – "საბურთალო"), ჯემალ ტაბიძე, ზურა მალანია (ორივე – "ბაია", ზუგდიდი), აკაკი შულაია („მერანი", მარტვილი), ზურა გელაშვილი („ტორპედო", ქუთაისი);**

ნახევარმცველები: **ანრი არველაძე, გიორგი ხარაიშვილი, რევაზ ბარამიძე, ილია ბერიძე (ყველა – "საბურთალო"), ზურა ჯაფიაშვილი, თენგიზ გოროზია (ორივე - "დინამო", თბილისი), ცოტნე მესხი (35-ე სკოლა), გიორგი ბერიძე („ჩიხურა", საჩხერე).**

თავდამსხმელები: **ლუკა ზარანდია (35-ე სკოლა), გიორგი ხორხელი („საბურთალო"), ილია კერძევაძე („ჩიხურა", საჩხერე), რომან ჭანტურია („ემპოლი", იტალია).**

**მერაბ მამულაშვილი**

● ექსკლუზივი



# დვალი ზესტაფონის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს

"ზესტაფონიდან" თბილისის "დინამოში" გადასული **ჯაბა დვალი** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს. ეს შეზღუდვა "ზესტაფონის" წინააღმდეგ (თუ მის სასარგებლოდ) სეზონის ნახევრის ჩათვლით მოქმედებს.

კონტრაქტის პირობების თანახმად, დვალს თამაში "ზესტაფონის" წინააღმდეგ დეკემბრის შემდეგ შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა, სამწლიანი კონტრაქტი თბილისურ კლუბთან რამდენიმე დღის წინ გააფორმა და მის რიგებში 12 ნომრით იასპარეზებს.

27 წლის დვალის დებიუტი თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში სავარაუდოდ, დღეს, ზესტაფონში, ბათუმის "დინამოს" წინააღმდეგ შედგება.

**მაგდა კლდიაშვილი**

● ლეგიონერები

# ქართველები გუშინ არ დამარცხებულან

უკრაინის პრემიერლიგის მეშვიდე ტური "ზარიასა" და "ვორსკლას" მატჩით გაიხსნა, რომელიც ფრედ, 1:1 დასრულდა. "ზარიას" შემადგენლობაში **ჯაბა ლიპარტია** 52-ე წუთიდან გამოჩნდა. ამ დროისთვის მისი გუნდი მარცხდებოდა. "ზარიამ" ანგარიში 79-ე წუთზე გაათანაბრა, 90-ეზე კი ქართველმა შემტევმა გაფრთხილება მიიღო.

პოლონეთის ექსტრაკლასას მეორე ტურში "იაგელონიამ" "გურნიკი" მიიღო და 1:1-ს დასჯერდა. მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ნიკა ძალამიძემ.**

რუმინეთში "გაზ მეთანმა" შინ 2:0 მოუგო "ტურნუ სევერინს". მასპინძელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა **აკაკი ხუბუტიამ**. საქართველოს ნაკრების მცველმა 66-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

დაიწყო სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატიც, სადაც "მოროკა სვოლოვსის" შემადგენლობაში ასპარეზობას განაგრძობს ქართველი უნივერსალი **გიორგი ნერგაძე**. მისმა გუნდმა პირველ ტურში წააგო, მეორეში კი მოიგო. ნერგაძემ ორივე მატჩში მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

ბოლოს **ლევან კობიაშვილის** "ჰერტაზეც" გეტყვით. დისკვალიფიცირებული ქართველი კაპიტნის არყოფნაში ბერლინელებმა, რომლებმაც სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს, პირველი გამარჯვება მოიპოვეს. "ჰერტამ" საკუთარ მოედანზე რეგენსბურგს 2:1 სძლია. შეგახსენებთ, კობიაშვილს თამაშის უფლება 2013 წლიდან ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჯაბა ლიპარტია

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტურის წინათქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმერული დერბი ქუთაისში და მონატრებული დუელი ზესტაფონში

ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტური ორ დღედაა გაყოფილი და მედიასა და დაინტერესებულ გულშემატკივრებს საშუალება აქვთ, დღეს და ხვალ განვითარებულ მოვლენებს უფრო დეტალურად გაეცნონ. ტურის ცენტრალური მატჩი ხვალ ქუთაისში ჩატარდება, თუმცა ნაკლებ ინტერესს არც ზესტაფონში გასამართი "დინამოური დერბი" იწვევს. მესამე ტურში მნიშვნელოვანი ამბები სხვა ქალაქებშიც მოხდება და კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთება, რომელი პრემიერლიგელისგან რას უნდა ველოდოთ მიმდინარე სეზონში.



25.08. რუსთავი. ფოლადი. 17:00
**მეტალურგი–მერანი**

25.08. ფოთი. ფაზისი. 17:00
**კოლხეთი-1913–ზუგდიდი**

25.08. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 17:00
**დინამო (ბთ)–დინამო (თბ)**

25.08. მცხეთა. მცხეთა-პარკი 17:00
**ვიტ ჯორჯია–ჩიხურა**

26.08. თბილისი. ბასა. 17:00
**დილა–სიონი**

26.08. ქუთაისი. ცენტრალური. 19:00
**ტორპედო–ზესტაფონი**
LIVE. პირველი არხი

### 90-იანების გამოძახილი

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ამბავი თბილისისა და ბათუმის "დინამოების" დაპირისპირება იყო. ზედიზედ რამდენიმე სეზონის განმავლობაში ბათუმელები დედაქალაქელებს ქართული ტიტულებისთვის სერიოზულად ეცილებოდნენ და მართალია, ჩემპიონობა ვერც ერთხელ წაართვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, თასის ფინალში მისი ძლევა შეძლეს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში ბათუმის "დინამო" ხან უმაღლესი ლიგის ერთი რიგითი გუნდი იყო, ხანაც პირველ ლიგაში ასპარეზობით უწევდა დაკმაყოფილება. ნავსი გასულ სეზონში გატყდა, როცა აჭარულმა კლუბმა პლეი აუტში იყოჩაღა და უმაღლეს ლიგას ხანგრძლივი განშორების შემდეგ დაუბრუნდა.

დღევანდელი დაპირისპირება კი "უნიკალური" იმითაც არის, რომ არც ბათუმში გაიმართება და არც ქობულეთში – მატჩს ზესტაფონის "დავით აბაშიძე" უმასპინძლებს. ბათუმის "დინამოს" საშინაო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა ქალაქში მანამ მოუწევს, სანამ ქობულეთის არენის რეკონსტრუქცია დასრულდება, ბათუმში კი, მოგეხსენებათ, ნორმალური დონის სტადიონის აშენებას ჯერაც ვერ დაადგა საშველი.

თბილისის "დინამო" ზესტაფონში სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის გარეშე ჩადის – **თორნიკე ზარქუა, ოთარ ხიზანეიშვილი** და **გიორგი რეხვიაშვილი** წინა ტურში "ტორპედოსთან" გაძევების გამო ვერ ითამაშებენ. თბილისის "დინამოს" მიზანი მხოლოდ გამარჯვება უნდა იყოს. ამ შემთხვევაში **დუშან უჰრინის** გუნდი კვლავ უდანაკარგო იქნება. წყვილის ფავორიტი, რა თქმა უნდა, თბილისის "დინამოა", თუმცა უიმედოდ არც ბათუმის "დინამო" იქნება. **გია გურულის** გუნდმა საწყის ორ ტურში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა აშკარად გასაუმჯობესებელი აქვს.

### ლიდერის მორიგი გამოცდა

ყველასთვის მოულოდნელად, ორი ტურის შემდეგ ექვსი ქულით ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს სათავეში "ჩიხურა" უდგას. თავიდანვე ნათელი იყო, რომ საჩხერელებს ახალ სეზონში ანგარიშგასაწევი გუნდი ეყოლებოდათ, თუმცა მაინც სიურპრიზია, **სოსო ფრუიძის** გუნდმა სეზონი ორი გასვლითი გამარჯვებით რომ დაიწყო.

სულაც არ იქნება გასაკვირი, "ჩიხურა" დღესაც თუ შეძლებს სტუმრად მოგებას, თუმცა არც "ვიტ ჯორჯიას" წარმატება უნდა გამოვრიცხოთ. შეგახსენებთ, რომ ორივე მათგანმა ამ სეზონში უკვე მოასწრო ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის, გორის "დილას" დამარცხება. "ჩიხურასგან" განსხვავებით, ვეტერინარებმა სამი ქულით დაწყებული ჩემპიონატი წარმატებულად ველარ განაგრძეს და წინა ტურში მარტვილში დამარცხდნენ.

დერბი მხოლოდ იმერეთში კი არა, სამეგრელოშიც გველის – ფოთში "კოლხეთი" "ზუგდიდს" უმასპინძლებს და როგორც მეზობელთა საფეხბურთო დაპირისპირებას შეეფერება, უშეღავათო და საინტერესო ბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ. ამ წყვილს აშკარა ფავორიტი არ ჰყავს და ნებისმიერი შედეგი მოსალოდნელია. უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი არც ფოთელებს ჰყავთ და არც ზუგდიდელებს, მაგრამ მათგან ძველებურად უნდა ველოდოთ ნებისმიერი მეტოქისთვის დიდი წინააღმდეგობის გაწევას და ახალი საინტერესო ახალგაზრდების წარმოჩენას.

პირველ ტურში თბილისის "დინამოსთან" შინ დამარცხებულმა "მეტალურგმა" ზესტაფონში გამარჯვებით ფსიქოლოგიური მდგომარეობაც საგრძნობლად გამოიკეთა და სატურნირო მდგომარეობაც გამოისწორა. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს ყველა საფუძველი აქვს იმისთვის, რომ დღევანდელ შეხვედრაში სამი ქულა დაგეგმოს და ამით ლიდერთა მარაქაში გაერიოს. "მერანი" ამ სეზონშიც ამტკიცებს, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი შინაური კედლებია, თუმცა, ბუნებრივია, **მალხაზ ჟვანიასა** და მის ფეხბურთელებს ქულათა მარაგის შევსების იმედი დღეისთვისაც აქვთ.

### პორტუგალიურ შუალედში

ევროტურნირებზე წარმატებული ასპარეზობა "დილას" საქართველოს ჩემპიონატის ჩაგდებულ სტარტად დაუჯდა. რასაკვირველია, ოდნავადაც არ ვაკნინებთ გორელთა მძლეველების, "ვიტ ჯორჯიასა" და "ჩიხურას" მიღწევას, მაგრამ ფაქტია, რომ "დილასთვის", რომელიც პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" უმნიშვნელოვანესი დაპირისპირებისთვის ემზადებოდა, შიდა საქმეებმა მეორე პლანზე გადაინაცვლა და ამან ასახვა გორელთა შედეგებზეც ჰპოვა.

**თემურ შალამბერიძის** გუნდს ხუთშაბათს თბილისში "მარიტიმუსთან" საპასუხო მატჩი ელის და ყველა შანსი აქვს იმისა, რომ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შეაბიჯოს. თავად განსაჯეთ, რამდენად რთულია "დილას" წევრებისთვის ხვალინდელ მატჩზე კონცენტრირება, მაგრამ გორელებს ისიც კარგად ესმით, რომ საქართველოს ჩემპიონატში სიტუაცია სასწრაფოდ გამოსასწორებელი აქვთ. "დილას" საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და სავარაუდოდ, "სიონს" არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდება. ამის მიუხედავად, "დილას" გააჩნია ის რესურსი, რითაც დღეს გამარჯვება შეუძლია.

მეტოქის ევროსამზადისი კი, ბუნებრივია, "სიონის" წისქვილზე ასხამს წყალს. შეგვიძლია ვთქვათ, ბოლნისელებს გაუმართლათ, "დილას" ასეთ დროს რომ ხვდებიან. "სიონს" წინ "ვიტ ჯორჯიასა" და "ჩიხურას" მაგალითი აქვს და ქვემოქართლური კლუბი მაქსიმალურად ეცდება, მეტოქეს მორიგი დანაკარგი მიაყენოს. წინასამატჩო ვითარების მიუხედავად, მატჩის ფავორიტი მაინც "დილაა", მაგრამ უშანსოდ არც მისი მეტოქეა.

კვლავ დისკვალიფიცირებულია "სიონის" მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა ქასრაშვილი**, თუმცა "ბასაზე" იგი ზუსტად იგივე მდგომარეობაში იქნება, როგორც სათადარიგოთა სკამზე მსხდომი ნებისმიერი მწვრთნელი თუ ფეხბურთელი – იქ მატჩს ხომ აბსოლუტურად ყველა თვალს მოედანს შემოვლებული ბადის გარედან ადევნებს.

### ტურის მშვენება ქუთაისშია

ტურის ნამდვილი დაგვირგვინება კი ქუთაისშია დანიშნული, სადაც ღამის განათებაზე "იმერული დერბი" გაიმართება. ბევრს აღარ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" საფეხბურთო ბრძოლა ორივე გუნდის ქომაგებისა და ზოგადად, საქართველოს ჩემპიონატისთვის. გასახსენებლად შარშანდელი სეზონიც კმარა, როცა ქუთაისურ-ზესტაფონური დაპირისპირებები დრამატულ ბრძოლებში წარიმართა, შედეგი კი ხან ერთი გუნდისთვის იყო ხელსაყრელი, ხანაც – მეორისთვის.

**გია გეგუჩაძის** "ზესტაფონიდან" "ტორპედოში" გადასვლა უკვე ძველი ამბავია, თუმცა კვლავაც საინტერესოა, როგორ დასრულდება ფეროელთა ყოფილი თავკაცისა და მისი ყოფილი ასისტენტის, "ზესტაფონის" ამჟამინდელი თავკაცის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** სამწვრთნელო დუელი.

მატჩი ორივე გუნდისთვის მხოლოდ დერბის სტატუსის გამო კი არა, სატურნირო თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია – გამარჯვებით დაწყებული ჩემპიონატი "ტორპედომაც" და "ზესტაფონმაც" მარცხით გააგრძელეს და ვისაც ხვალ ფეხი დაუცდება, საქმეს საგრძნობლად გაირთულებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 2 | 2 | 0 | 0 | 5 | 2 | 6 |
| 2 | დინამო (თბ) | 2 | 2 | 0 | 0 | 4 | 2 | 6 |
| 3 | ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 2 | 3 |
| 4 | ზუგდიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 1 | 3 |
| 5 | ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 3 | 3 |
| 6 | მეტალურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 |
| 8 | მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 3 | 3 |
| 9 | სიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 |
| 10 | დინამო (ბთ) | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 |
| 11 | კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 12 | დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 0 |

● ლეგიონერი

# ნავალოვსკის ნოვოკუზნეცკში ელიან

მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ფედოტოვი** ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასში" დანიშნეს. მან კი კლუბში საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **გიორგი ნავალოვსკი** მიიწვია.

შეგახსენებთ, რომ გიორგი თამაშობდა თბილისის "დინამოში", რუსთავის "ოლიმპში", მახაჭყალის "ანჟიში", ბაქოს "ინტერში", ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში", ბოლოს - მოსკოვის ოლქის ხიმკიში", სადაც ნიჟნი ნოვგოროდულმა კლუბმა 2011 წლის დასაწყისში იჯარით გაუშვა. ნავალოვსკი გახლდათ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, 2008 წელს ეროვნულში ორჯერ ითამაშა, მაგრამ მას შემდეგ აღარ იძახებდნენ და რუსეთში სათამაშოდ სხვა გზა არ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიელო.

"ხიმკიში" ნავალოვსკიმ 33 შეხვედრა ჩაატარა და ბოლოს კლუბის კაპიტნად აირჩიეს. ახლახანს მოსკოვის ოლქის კლუბის მთავარ მწვრთნელად **ომარ თეთრაძე** დაინიშნა. მაგრამ გიორგიმ კლუბი მის დანიშვნამდე დატოვა და ნიჟნი ნოვგოროდულ კლუბს დაუბრუნდა – მისი სატრანსფერო ფურცელი დღემდე "ვოლგას" ეკუთვნის.

სწორედ მაშინ დაუკავშირდა ვლადიმერ ფედოტოვი და "მეტალურგ-კუზბასში" შესთავაზა გადასვლა. აქვე ვიტყვით, რომ კლუბის დირექტორი (პრეზიდენტი) წარმოშობით ქართველი **დიმიტრი კოჩაძე** გახლავთ.

"ნოვოკუზნეცკში ქართველი "გატუზო" მიიწვიეს" – ასე დაასათაურა ინტერნეტ-გამოცემა "ვანდივიზიონმა" შესაძლო ტრანსფერი და მიუთითა, რომ სწორედ ასე მონათლეს 2008 წელს გიორგი ნავალოვსკი მახაჭყალელმა გულშემატკივრებმა "ანჟიში" გამოსვლის პერიოდში.

"მეტალურგ-კუზბასის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ფედოტოვმა** ახალწვეულზე ილაპარაკა: "ნავალოვსკის ჯერ კიდევ "ანჟიში" გამოსვლის პერიოდიდან ვიცნობ. თავიდან, ვიზის გამო, რუსეთში დიდი პრობლემები ჰქონდა. ახლა ფორმალური მხარეების მოსაგვარებლად თბილისში გამგზავრება მოუხდა და შეგვპირდა, რომ შეგვეხმიანებოდა. მოკლედ, მის ზარს ველოდებით. ჩვენ სიტყვიერი შეთანხმება გვაქვს, რომ "მეტალურგ-კუზნეცკში" ითამაშებს. აქ რომ ყოფილიყო, ჯერ მაინც ვერ ვათამაშებდით, რადგან ფორმის აღდგენა სჭირდება. ასეთ მდგომარეობაში მოედანზე ვერ შევუშვებდი, ასე გუნდიც იზარალებდა და თავად ფეხბურთელიც. ჩვენი ამოცანაა, დავეხმაროთ და მისი საუკეთესო თვისებები გამოვიყენოთ. გიორგის ხასიათს ვიცნობ და მისი დამატება გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. ფაქტია, რომ ჩვენ ახლა შეტევების გამწვავება სწორედ მარცხენა მცველის პოზიციიდან



გიორგი ნავალოვსკი

გვიჭირს. გიორგი კი სწორედ ამ პოზიციის მოთამაშეა და შეტევებში ჩართვა კარგად ეხერხება".

რუსეთის პირველ ლიგაში უკვე 8 ტური ჩატარდა, ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასმა" 8 ქულა დააგროვა და მე-12 ადგილზეა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართველი ფეხბურთელი ჩერნომორეცში?



ირაკლი ლერკენაშვილი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ სომხეთთან მეორე საკონტროლო ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. **კახა კაჭარავამ** ამჯერადაც ათამაშა 18 წლის ნახევარმცველი **ირაკლი ლერკენაშვილი**, რომელიც უკრაინაში, პირველი ლიგის კიევის "ობოლონში" მოძებნა.

ლერკენაშვილი „ნორჩი დინამოს" გაზრდილია, შემდეგ თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივსა" და „დინამოს" აკადემიაში, იყო საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატი.

2010 წლის გაზაფხულზე თბილისის „დინამოს" აკადემიის 16 წლის მოთამაშე დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" მიიწვიეს, თუმცა შემოდგომაზე „ობოლონის" დუბლშემადგენლობაში ჩაირიცხა. 1994 წელს დაბადებული ნახევარმცველი „ობოლონმა" წლეულს ზამთარში თურქულ შეკრებაზეც წაიყვანა. კიეველები პროფესიული კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობენ, მაგრამ, ლერკენაშვილმა შესაძლოა, კლუბი შეიცვალოს.

*"ამჟამადაც "ობოლონში" ვირიცხები, მაგრამ უკრაინის მოქალაქეობის მიღების გარეშე, თამაშის პრობლემა მექმნება, რადგან პირველ ლიგაში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტი აქვთ დაწესებული. ამიტომ, შესაძლოა, კიევიდან მალე სხვა კლუბში გადავიდე. შემოთავაზება ოდესის "ჩერნომორეციდან" მაქვს. მითხრეს, თავიდან ოდესელთა ძირითად შემადგენლობაში ივარჯიშებ და დუბლებში ითამაშებო. "ჩერნომორეცი" ძლიერი და დიდი ტრადიციების კლუბია და იქ გადასვლა არ მაწყენდა. ვნახოთ, ჯერ ეს ამბავი გადაწყვეტილი არ არის. ნაკრების შეკრება დასრულდა, მალე უკრაინაში დავბრუნდები და ყველაფერს ადგილზე გავარკვევ. სხვა ვარიანტი ჯერ არ მაქვს"* – ამბობს ლერკენაშვილი.

ირაკლი საქართველოს ნაკრების მწვრთნელების დაინტერესებამ გაახარა: *"უკრაინაში ვთამაშობ და გამიკვირდა, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას ჩემზე ინფორმაცია რომ ჰქონდა და დაინტერესდა - ძალიან მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავი იყო. ნაკრებში მიწვევა ხომ ყველა ფეხბურთელის ნატვრა არის. მომეწონა ნაკრები, გუნდში არსებული ვითარება, მწვრთნელების დამოკიდებულება და შეგუება არ გამჭირვებია. საერთოდ, კარგი ბიჭები გვყავს და პერსპექტიული გუნდი ჩანს".*

კიევის „ობოლონში" კიდევ ორი ჩვენებური, 19 წლის **ირაკლი მესხია** და 20 წლის **დავით იაშვილი** თამაშობენ. ირაკლი მათზეც გველაპარაკა: *"მესხია უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრებში რომ მიიწვიეს, მისით რამდენიმე კლუბი დაინტერესდა, მაგრამ "ობოლონში" დარჩა. ძირითადში გადაიყვანეს დათო იაშვილიც, რომელიც ცენტრალური მცველია და ბოლო ერთი წელიწადია, ძალიან მოუმატა".*

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიფას ვეტერანი მსაჯი

**ლევან მგელაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**დაკრძალვა:** 25 აგვისტოს, 17 საათზე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში.

# 1 კვირის 1000 შთაბეჭდილებანი

დავით თავართქილაძე

# ლიმუზინი და ავტობუსი

**ჯაბა დვალი** "ზესტაფონიდან" "დინამო თბილისში" გადავიდა - საქართველოს ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა, შიდა სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გადაიბირა.

როგორც კი "ზესტაფონი" ევროსარბიელს გამოეთიშება, დვალი იქიდან წავა - ასე იცოდა საფეხბურთო მილეთმა, ოღონდაც დვალის ტრანსფერი უფრო უცხოეთში იყო მოსალოდნელი. ტრანსფერი არ არის იოლად გასაკეთებელი საქმე რაგინდ კარგი ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლას მოიცავდეს. დვალს აღარ იძახებენ ეროვნულ ნაკრებში და შესაძლოა, მისი უცხოეთში წასვლა ამანაც დააბრკოლა.

ბოლო წლებში **დვალი-გელაშვილის** "ზესტაფონური" დუეტი საუკეთესო იყო საქართველოში და ვგონებ ეს საკამათო არავისთვის არ არის. "ზესტაფონი" ამ დუეტით თამაშებს იგებდა. დვალი უკან ჩამოდიოდა ბურთის მოსახელთებლად და ხანდახან ერთი კი არა, ორი მცველიც ამოჰყავდა, ამის შედეგად მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან სივრცე თავისუფლდებოდა და ფეხმალი გელაშვილიც იქითკენ მიექანებოდა - მინიმუმი, რაც აქედან გამოდნებოდა ხოლმე, საგოლე მომენტი იყო. ეს ტრიუკი მწვრთნელის შემოქმედებაც იყო და ფეხბურთელთა მხრიდან უზადოდ შესრულებული ილეთიც, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვეოდა. ახლა კი უმცროსი **უპრინის** ჯერია, თუ რა მიმართულებას მისცემს დვალს. დინამოელთა ესტონელი ფორვარდი **ვოსკობოინიკოვი** ჯერჯერობით ვერ ახდენს დიდ შთაბეჭდილებას. ლეგიონერი რომ ჩამოდის, აქაურებზე ერთი თავით თუ არა, ოდნავ მაინც უკეთესი უნდა იყოს - გულშემატკივრის მხრიდან ეს სამართლიანი მოთხოვნაა. დვალის "დინამოში" დაბრუნება მხოლოდ კონკურენციის გაძლიერებას არ უნდა უმიზნებდეს – "დინამომ" რესურსი გაიუმჯობესა, ბევრი კარგი ფეხბურთელით უფრო გაუადვილდება ტიტულების მოხვეჭა. ვოსკობოინიკოვმა ჯერ მხოლოდ ორი ოფიციალური მატჩი ითამაშა „დინამოში" და დასკვნების გამოტანაც ალბათ ნაადრევია. „დინამო"- "ტორპედოს" შეხვედრაში ვოსკობოინიკოვი რომ შეცვალეს, ესტონელი ძალიან უკმაყოფილო იყო, ალბათ საკუთარი თავით, თორემ მწვრთნელის გადაწყვეტილება ურიგო ნამდვილად არ გამოდგა, "დინამომ" ის თამაში მოიგო.

პრესკონფერენციაზე უპრინ-მეორემ გვითხრა, თბილისში მილიონზე მეტია მაცხოვრებელი და მიკვირს, ამ თამაშზე ასე ცოტა მაყურებელი რატომ მოვიდაო. მართლაც, ისეთი თამაში გამოდგა, საფეხბურთო ხმები დიდად რომ დაამშვენებდა.

ამ მატჩის მსაჯობაზე და "ტორპედოს" პრეტენზიებზე კლუბების საბჭოზეც უმსჯელიათ. მსაჯობით უკმაყოფილო ალბათ კიდევ ბევრჯერ იქნება ესა თუ ის კლუბი, რადგან ეს ფეხბურთის ნაწილია. მსაჯის ოსტატობა კი მხოლოდ იმით არ ფასობს, როგორ დაიცავს შავით თეთრზე დაწერილ წესებს. მსაჯი თამაშს უნდა გრძნობდეს, კონკრეტულ ეპიზოდს სწორად უნდა აფასებდეს, მსაჯიც ადამიანია და ნიუანსებში უნდა ერკვეოდეს, ხანდახან შეცდომასაც უნდა უშვებდეს - ასეთია მისი საქმე.

■ ■ ■

ეროვნული ნაკრების ახალი შესარჩევი ციკლი კი კარს მოგვადგა. ზოგისთვის შესაძლოა ის იყოს მნიშვნელოვანი, გამოიძახებს თუ არა **თემურ ქეცბაია** ნაკრებში **ზურაბ ხიზანიშვილს**, რომელმაც წინა შეხვედრაში ვერ ითამაშა ლუქსემბურგთან, რადგან სანაკრებო შეკრებაზე არ გამოცხადდა ტრავმის გამო. ზოგადად, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელთა რა კონტინგენტით მიაღწევს მწვრთნელი შედეგს, უბრალოდ, სასურველია, რომ ნაკრებში აღარ მოხდეს კონფლიქტი მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის.

**სვენ-გორან ერიკსონი** გახსოვთ? შვედმა იტალიაში და პორტუგალიაში მწვრთნელობით გაითქვა სახელი, მერე ინგლისის ნაკრებიც კი ჩააბარეს და იქ მნიშვნელოვან წარმატებებს ველარ მიაღწია. ერიკსონის ავკარგიანობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ იმ დროს. მე მომწონდა ეს შვედი, რადგან ისეთი იყო, რომ ძალიან არ ჰგავდა სხვებს. ინგლისიდან მექსიკაში რომ წავიდა სამუშაოდ, "World Soccer"-ში დაიბეჭდა მასთან ინტერვიუ. მართალია, რომ წელიწადში 4 მილიონი გირვანქა გაქვთ ხელფასი? სვენმა უპასუხა: არა არის მართალი, თუმცა ამაზე ბევრით ნაკლები ჯამაგირიც არ მაქვსო. ფულზე დიალოგი რომ გაგრძელდა, შვედმა ესეც თქვა: ჯობია ლიმუზინში იყვირო, ვიდრე ავტობუსშიო.

სვენს ალბათ იმიტომაც ჰქონდა კარგი ჯამაგირი, რომ ლაპარაკი ყველასთან იცოდა, ფეხბურთელთან თუ ჟურნალისტთან...



სვენ-გორან ერიკსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. II ტურის წინ

# მოლოდინი უქმეებიდან უქმეებამდე



ლივერპულისა და მანჩესტერ სიტის კაპიტნების ბრძოლა ბევრ რამეს გადაწყვეტს

| დღეს | |
|---|---|
| სუონსი-ვესტ ჰემი | 15:45 |
| ასტონ ვილა-ევერტონი | 18:00 |
| ნორვიჩი-ქუინზ პარკი | 18:00 |
| მანჩესტერ იუნ-ფულჰემი | 18:00 |
| საუთჰემპტონი-უიგანი | 18:00 |
| სანდერლენდი-რედინგი | 18:00 |
| ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 18:00 |
| ჩელსი-ნიუკასლი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| სტოკ სიტი-არსენალი | 16:30 |
| ლივერპული-მანჩესტერ სიტი | 19:00 |

## გრანდები სტემფორდ ბრიჯზე

"ჩელსი"-"ნიუკასლი" დღევანდელი დღის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშია. ეს სწორედ ის გუნდები არიან, რომლებიც წინა სეზონში ბოლომდე იბრძოდნენ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, მაგრამ საბოლოოდ ორივე მშრალზე დარჩებოდა, რომ არა ლონდონელთა გმირობა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. "ნიუკასლი" ევროპა ლიგაზე უკვე ჩაება და ხუთშაბათს პლეი ოფის პირველ ეტაპზე გასვლით შეხვედრაში ბერძნულ "ატრომიტოსთან" 1:1-ს მიაღწია. ერთი დღით ადრე "ჩელსიმაც" ითამაშა, ოღონდ პრემიერლიგის მე-3 ტურის გადმოტანილ შეხვედრაში და არა მსაჯის დაუხმარებლად "რედინგი" 4:2 დაამარცხა. ასე რომ, წყვილში არც ერთი არ არის დასვენებული. **რობერტო დი მატეოს** გუნდმა ორიდან ორი მატჩი მოიგო ჩემპიონატში, დღესაც სახლში თამაშობს და თანაც მეტოქეზე 24 საათით მეტი ჰქონდა დასასვენებლად. ერთადერთი, რაც შეიძლება ლონდონელთა თავკაცს აფიქრებდეს, "რედინგთან" უკანა ხაზის სუსტი თამაშია. დი მატეომ აღნიშნა კიდეც, ის ფეხბურთელებისგან მოითხოვს, რომ მეორედ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. განსაკუთრებით ეს პირველი გოლის ეპიზოდს ეხება, როცა **გარი კეჰილი პაველ პოგრებნიაკთან** ბრძოლაში უსუსურად გაისარჯა. სამაგიეროდ "ჩელსის" ნამდვილად შეუძლია **ედენ აზარის** იმედი ჰქონდეს. 21 წლის ბელგიელი იოლად მოერგო ახალ გუნდს. მის ანგარიშზე 3 საგოლე გადაცემა და 2 მოპოვებული პენალტია. ყველაფრის გათვალისწინებით, "სტემფორდ ბრიჯზე" ფავორიტი აშკარაა.

"ჩელსისგან" განსხვავებით, ვინც ლამის ნახევარი გუნდი განაახლა, "ნიუკასლი" პრაქტიკულად იგივეა, რაც წინა სეზონში იყო. "კაჭკაჭები" შედარებით უკეთ არიან შეთამაშებულნი. მიუხედავად უთვალავი წინადადებისა, კლუბმა არც ერთ ლიდერთან გამოთხოვება არ ისურვა. **ალან პარდიუს** შეგირდებმა პირველ ტურში ურთულესი გამოცდა ჩააბარეს წარმატებით, დაამარცხეს რა "ტოტენჰემი" 2:1.

ახლა კი მოკლედ მოგახსენებთ გუნდების საკადრო პრობლემების თაობაზე. "ჩელსის" ორი ფეხბურთელი ჰყავს კითხვის ნიშნის ქვეშ – **ბრანისლავ ივანოვიჩი** და **დავიდ ლუისი**. უკანასკნელის თაობაზე განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება. თავად ფეხბურთელმა რამდენიმე დღის წინ "ტვიტერზე" დაწერა, რომ მუხლზე მცირე პრობლემები ჰქონდა და ამიტომ ვერ ითამაშებდა, გაზეთები კი ამტკიცებდნენ, რომ კლუბმა ის "მანჩესტერ სიტისთან" უკანონო მოლაპარაკებების ფაქტზე დაიჭირა და დააჯარიმაო. მასპინძლებს ნამდვილად არ ეყოლებათ გერმანელი **მარკო მარინი**, ვინც ტრავმა მოსამზადებელი პერიოდის დასასრულს მიიღო და მას მერე უქმობს. სტუმართა რიგებში კი ალბათ ისევ არ იქნება კაპიტანი **ფაბრისიო კოლოჩინი**. საეჭვოა **შოლა ამეობის** ასპარეზობაც.

## დაჭრილი და საშიში იუნაიტედი

ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" კუთხეშია მიმწყვდეული, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს "ეშმაკები" "ოლდ ტრეფორდზე" ჩვეულებრივზე მობილიზებულნი გამოვლენ "ფულჰემთან" საასპარეზოდ. მოედანზე გამოსვლას არც დედაქალაქელები აპირებენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილები. **მარტინ იოლის** ბიჭები პირველი ტურის ნამდვილი გმირები იყვნენ. შეგახსენებთ, რომ "ქრეივენ კოტეჯზე" "ნორვიჩის" სტუმრობა სტუმართა 5:0 განადგურებით დასრულდა. მშვენიერი დებიუტი ჰქონდა გუნდში დუბლის ავტორს, ხორვატ **მლადენ პეტრიჩს**. თუმცა დღევანდელი მატჩის წინ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი – "ფულჰემის" მცველების ასაკი და "იუნაიტედის" თავდამსხმელების სისწრაფე. ჩვენი ინგლისელი კოლეგები ძირითად შემადგენლობაში ისევ **უეინ რუნისა** და **დენი უელბეკის** დუეტს ელიან. **რობინ ვან პერსი** კი ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდება და თამაშში საჭიროებისდა მიხედვით ჩაერთვება. პირველ ტურში "ევერტონთან" ჰოლანდიელის თამაშმა "ეშმაკებს" ვერაფერი შემატა. იმისთვის, რომ **ალექს ფერგიუსონის** სიტყვები გამართლდეს, ევროპაში ყველაზე მრისხანე თავდასხმა მყავსო, დრო და შემტევების შეთამაშებაა საჭირო. ვიდრე ამას შოტლანდიელი იტყოდა, იქამდეც ცხადი იყო, რომ ვან პერსის დადებითი თვისებები "იუნაიტედმა" ვერ გამოიყენა. რა შეიძლებოდა შეცვლილიყო ბოლო 6 დღეში, ამას საკუთარი თვალით ვნახავთ. ბუკმეიკერებს თუ დავუჯერებთ, "იუნაიტედს" გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ტოტალიზატორის მოყვარულებს ისინი მასპინძელთა ორ და მეტბურთიან მოგებაზეც სთავაზობენ ფსონებს.

ახლა კი იმათზეც ვთქვათ, ვის თამაშსაც ნაკლებად ან საერთოდ არ უნდა ველოდეთ. ზოგიერთი წყარო დაცვის ცენტრში **რიო ფერდინანდისა** და **ნემანია ვიდიჩის** გამოჩენას ელის. თუმცა ფაქტი სულაც არ არის, რომ ფერდინანდი ითამაშებს. მას ბარძაყის კუნთი დღემდე აწუხებს. სამაგიეროდ სრული დატვირთვით ვარჯიშობს **ჯონი ევანსი**. მწვრთნელები საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ თამაშის დაწყებამდე მიიღებენ. "იუნაიტედში" ჩრდილოირლანდიელის ჯანმრთელობის გარისკვას არ დაუშვებენ. მცირე ეჭვიც თუ იქნა, ის განაცხადიდან ამოვარდება. ნამდვილად არ იქნებიან **დარენ ფლეტჩერი** და **ფილ ჯონსი**. "ფულჰემს" რაც შეეხება, მას არ ეყოლება **საიმონ დევისი, კერიმ ფრეი** და **ფილიპ სენდეროსი** და რაც მთავარია, შარშანდელ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **კლინტ დემპსი**, ვისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა.

## დეზების ამოცანა

"ტოტენჰემს" მხოლოდ და მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. ამ ამოცანის შესრულება კი იოლი ნამდვილად არ იქნება, რადგან როგორც პირველმა ტურმა დაადასტურა, "ვესტ ბრომვიჩი" მშვენიერ ფორმაშია. **კენი დალგლიშის** გაშვების შემდეგ **სტივ კლარკი** "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილებოდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ვისზეც შეჩერდა ისედაც იცით. კლარკმა "ენფილდზე" დარჩენა აღარ ისურვა და "ვესტ ბრომვიჩში" წავიდა. ამ სპეციალისტს უპირველესად კარგ ფსიქოლოგად ახასიათებენ. როგორც ჩანს, ეს ასეც არის. ცალკე სალაპარაკოა **ანდრე ვილაშ ბოაში**. ახალგაზრდა, ამბიციურ პორტუგალიელს პირველ ეტაპზე ახალ **ჟოზე მოურინიოს** უწოდებდნენ. "პორტუში" წარმატებების მიღწევის შემდეგ თითქოს ეს "წოდება" მართლდებოდა კიდეც, მაგრამ თანამემამულისგან განსხვავებით, რომელმაც "ჩელსიში" ერთ-ერთ პირველივე პრესკონფერენციაზე თქვა, ამა და ამ ტურში ჩემპიონები გავხდებითო და მერე აასრულა კიდეც, ვილაშ ბოაშმა არ ივარგა. მას კარისკენ მიუთითეს. რამდენად დაამტკიცებს "დეზების" ახალი თავკაცი, რომ **რომან აბრამოვიჩი** შეცდა, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. პორტუგალიელს ოფიციალური დებიუტისას "სენტ ჯეიმს პარკზე" ფეხი დაუცდა და დამარცხდა. თავის მხრივ "ტოტენჰემის" ფეხბურთელებს სწორედ ახლა მართებთ იმის ჩვენება, რომ ბოლო წლების წარმატებები მხოლოდ **ჰარი რედნაპის** დამსახურება არ იყო. ტოტალიზატორები "დეზებს" დიდი ანგარიშით გამარჯვებასაც კი უწინასწარმეტყველებენ.

ახლა კი ტრავმებსა და დისკვალიფიკაციებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა: მასპინძლებს **დენი როუზი** არ ეყოლებათ, ვისაც 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს; **ჯოვანი დოს სანტოსს** კოჭი აქვს ნატკენი; **სკოტ პარკერი** გუნდს კიდევ 2-3 კვირა ვერ დაეხმარება. სტუმრებს კი ნახევარმცველების **გრემ დორანსისა** და **ჯერომ ტომასის** გარეშე მოუწევთ გარჯა.

## კიდევ ერთი გამოცდა

ხვალ "ენფილდზე" II ტურის ნამდვილად ყველაზე დამაინტრიგებელი მატჩი გაიმართება. "ლივერპულს" "მანჩესტერ სიტი" სტუმრობს. ცხადია, რომ "წითლები" იმ ძალას დიდი ხანია აღარ წარმოადგენენ, რასაც წლების წინ, მაგრამ იმასაც ვერავინ იტყვის, რომ მათ გრანდებთან ჭიდაობის თავი აღარ აქვთ. პირიქით. სწორედ ჩემპიონატის ფავორიტებთან თამაშობს "ლივერპული" ყველაზე უკეთ, საშუალო კალიბრის გუნდებთან კი სტაბილურობა არ ჰყოფნის. შარშან "კარდიფ სიტისთან" პენალტების სერიაში მოგებული ლიგის თასი რომ არა, **ბრენდან როჯერსს** წელს სანერვიულოდ მხოლოდ შიდა ასპარეზი დარჩებოდა. მერსისაიდელები იქადნებიან, რომ ჩემპიონატის გარდა წარმატებით ასპარეზობა მათ ევროპა ლიგაზეც შეუძლიათ. სიმართლე ითქვას, არც ერთ და არც მეორე ტურნირზე მათ თამაშებს ფავორიტობისა არაფერი ეტყობა, მაგრამ...

"მანჩესტერ სიტიმ" პრემიერლიგა არაჩემპიონურად დაიწყო - ჩემპიონატის დებიუტანტ "საუთჰემპტონთან" შინ 1:2-ს აგებდა, მაგრამ ბოლოს თამაში მაინც შეაბრუნა და აქტივში 3 ქულა ჩაიწერა. სეზონი ჯერ ნორმალურად გახურებულიც არ არის, მაგრამ მსაჯის შეცდომებთან დაკავშირებით უკვე ორი სკანდალი აგორდა. პირველი სწორედ "სიტის" უკავშირდება, რადგან "წმინდანებთან" **კარლოს ტევესმა** ანგარიში აშკარა თამაშგარედან გახსნა. გამეორებაზე ეს ცხადად გამოჩნდა. მეორეზე კი ამ დღეებში "ლელო" უკვე წერდა – "რედინგთან" **ფერნანდო ტორესმა** ასევე წესის დარღვევით შეაგდო.

"ლივერპულს" ერთი მატჩით დისკვალიფიცირებული **დანიელ აგერი** არ ეყოლება. „ვესტ ბრომვიჩთან" ის მინდვრიდან გააძევეს. "წითლებს" ტრავმის გამო **ჯო კოულიც** დააკლდებათ. "სიტის" დანაკარგის შესახებ კი დიდი ხანია ცნობილია - **სერხიო აგუერო, გარეთ ბერი** და **მიკა რიჩარდსი** გუნდს კიდევ დიდხანს ვერ დაეხმარებიან.

**ამბები**



## ასპილიკუეტას + მოზესი

"ჩელსიმ" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი კვირით ადრე ორი ფეხბურთელი დაიმატა – 22 წლის ესპანელი მცველი **სესარ ასპილიკუეტა** "მარსელიდან" და "უიგანის" 21 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი **ვიქტორ მოზესი**. პირველის ტრანსფერი "ლურჯებს" 8,8 მილიონი ევრო დაუჯდათ, აფრიკელის გადაბირება კი შედარებით უფრო ძვირი – 11,4 მილიონი. ოღონდ ამ თანხიდან ნაწილს (2,53 მილიონს) "ჩელსი" "უიგანს" ბონუსების სახით გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ გადაუხდის. ალსანიშნავია, რომ ახალწვეულებს ახალ გუნდში თანამემამულეებიც დახვდებიან. "ჩელსიში" უკვე ირიცხებიან ნიგერიელი **ჯონ ობი მიკელი** და ესპანელები **ორიოლ რომეუ, ხუან მატა** და **ფერნანდო ტორესი**.

## გვიდეტის თვე-ნახევარი



"მანჩესტერ სიტის" 20 წლის იტალიური წარმოშობის შვედი თავდამსხმელი **ჯონ გვიდეტი** ლაზარეთში უკვე რამდენიმე თვეა იმყოფება. ბოლოს მან "ფეიენოორდის" რიგებში 14 აპრილს ითამაშა. „ქალაქელებს" მისი მომჯობინებისა და იჯარით კიდევ ერთხელ სხვა კლუბში მისი გაშვება ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ეს საქმე მინიმუმ იანვრამდე ვერ მოხერხდება. ახალგაზრდა ფეხბურთელი უქმად კიდევ 4-6 კვირის განმავლობაში იქნება. კლუბი მისი დიაგნოზის დაზუსტებისგან თავს იკავებს. ამბობენ, რომ მას ნევროლოგიური პრობლემები აქვს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● საფრანგეთი. ლიგა 1. III ტურის წინ



ფოტო შარშანდელი მატჩიდან - კრისტოფ ჟალე კარლოს ენრიკეს წინააღმდეგ

# საფრანგეთი კვირის მოლოდინში

### პარკ დე პრენსზე მოუგებელი პსჟ წაუგებელ ბორდოს მასპინძლობს

| წუხელ | |
|---|---|
| ევიანი-ლიონი | 1:1 |
| გოლები: 1:0 ბარბოზა (57), 1:1 ბაშტოში (73) | |

| დღეს | |
|---|---|
| 19:00 | ნიცა-ლილი |
| 22:00 | ნანსი-ტულუზი |
| 22:00 | რეიმსი-სოშო |
| 22:00 | რენი-ბასტია |
| 22:00 | ტრუა-ლორიანი |
| 22:00 | ვალანსიენი-აიაჩო |

| ხვალ | |
|---|---|
| 19:00 | მონპელიე-მარსელი |
| 19:00 | სტ. ეტიენი-ბრესტი |
| 23:00 | პსჟ-ბორდო |

**კარლო ანჩელოტის** "პარი სენ-ჟერმენმა" შარშანდელი სეზონი მიჯრით 4-მატჩიანი მოგებათა სერიით დაასრულა, მაგრამ ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. წელს კი "ლურჯ-წითლებმა" უკვე ორი თამაში ჩაატარეს და ორჯერვე ფრედ ითამაშეს. შარშან პსჟ-ზე შთამბეჭდავი ფინიში ჰქონდა "ბორდოს". **ფრანსის ჟიიოს** ბიჭებმა ზედიზედ ექვს შეხვედრაში იმარჯვეს და ამ სერიას წლევანდელი ლიგა 1-ის პირველ ორ ტურში ამდენივე მოგება მიაყოლეს. ცხრა წაუგებელი, აქედან ზედიზედ რვა მოგება ფანტასტიკური შედეგია. ჟირონდელები "პარკ დე პრენსს" მინიმუმ წაუგებელი სერიის გაგრძელების მიზნით სტუმრობენ. მათ იმედიან განწყობას ისიც აძლიერებს, რომ მასპინძლებს წინა ტურში გაძევებული **ესეკილ ლავესი** არ ეყოლებათ. *"ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვიცოდით, რომ ჩვენი გზა იოლი არ იქნებოდა. ვისაც კი ვხვდებით, ყველას ერთადერთი მიზანი აქვს – რადაც უნდა დაუჯდეს, მაინც მოგვიგოს. სწორედ ამიტომ, ვალდებულნი ვართ, რომ ფსიქოლოგიურად მაქსიმალურად ძლიერები ვიყოთ. "პატარა" კლუბების ძალა ჩვენს ტყავზე უკვე ვიწვნიეთ – ვეცადეთ გამარჯვებას და არაფერი გამოგვივიდა. გამარჯვებები ამ უქმეებიდანვე უნდა დავიწყოთ მიუხედავად იმისა, რომ "ბორდო" საკუთარ ძალებში დარწმუნებული გუნდია. როცა გუნდს შუა კვირაში თამაშები აქვს, უქმეებისთვის მომზადება ყოველთვის რთულია. ასეთ პირობებში შედეგების მისაღწევად ბევრი კარგი ფეხბურთელია საჭირო. მესმის "ბორდოს" მდგომარეობა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შეძლებენ და დაივიწყებენ დაღლილობას. ასე რომ, ყველაფერი უნდა გავილოთ, მათი წარმატებული რბოლის შესაჩერებლად,"* – განაცხადა პსჟ-ის ნახევარმცველმა **ბლეზ მატუიდიმ**.

თავის მხრივ **კარლო ანჩელოტისაც** აქვს იმედიან განწყობაზე ყოფნის საფუძველი. შემადგენლობაში ბრუნდება **ზლატან იბრაჰიმოვიჩი.** ამას გარდა დებიუტს ელის "მილანიდან" 42 მილიონ ევროდ ნაყიდი **ტიაგო სილვაც**. უკანასკნელმა კლუბისგან ლონდონის ოლიმპიადაზე ბრაზილიის ნაკრებში ასპარეზობის მერე კლუბისგან დამატებით მიიღო დასვენების უფლება. სილვა გუნდს რამდენიმე დღის წინ შეუერთდა. დედაქალაქელებს დამატებით უპირატესობას ისიც მისცემს, რომ მათმა ხვალინდელმა მეტოქემ შუა კვირაში ევროპა ლიგის შეხვედრა ჩაატარა ბელგრადში "ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ (0:0), განმეორებითს კი ის მომდევნო ხუთშაბათს გამართავს. *"პარიზელთა წინააღმდეგ დიდი თავგადასავალი გველის. სიმართლე რომ გითხრათ, ცოტას ვნერვიულობ კიდეც, რადგან სერბებთან დაპირისპირებამ ჩემს ფეხბურთელებს დიდი ენერგია წაართვა. რთული მატჩი გვქონდა იქამდე ოთხი დღით ადრე "რენთანაც". სხვა თუ არაფერი, იმ დღეს ძალიან ცხელოდა. შევამჩნიე, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ასეთმა რიტმმა ძალიან დაღალა. პარიზიდან შინ უნდა დავბრუნდეთ, სადაც კიდევ ერთი თამაში გველის. თუკი ძალების აღდგენას ვერ მოვასწრებთ, შემდეგ ეტაპზე გასვლას ვერ მოვახერხებთ,"* – თქვა ფრანსის ჟიიომ.

ზემოთ მატუიდიმ გრძელი სათადარიგოთა სკამი ახსენა. ამ მხრივ, მეტოქისგან განსხვავებით, ჟიიო დიდად განებივრებული არ არის, მაგრამ ამჯერად მას ნამდვილად გაუმართლა. „პარკ დე პრენსზე" "ბორდოს" **იაროსლავ პლაშილი, კარლოს ენრიკე, ლანდრი ნგუემო** და **მატიო შალმე** უბრუნდებიან. ლაზარეთში რჩებიან **აბდუ ტრაორე** და **დავიდ ბელიონი.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. ბასტია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 4. ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 5. ლორიანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. ლილი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. ტულუზი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. ნანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9. ვალანსიენი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 10. ბრესტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 11. აიაჩო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 2 |
| 12. პსჟ | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 13. მონპელიე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14. ნიცა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 15. ევიანი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 16. სტ. ეტიენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 17. რეიმსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 18. რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 19. სოშო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 20. ტრუა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 2-2 ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ-ჟერმენი), ლუდოვიკ ობრანიაკი (ბორდო), ვისამ ბენ იედერი (ტულუზი), ჟერემი ალიადიე (ლორიანი), ტოიფულო მაულიდა, ანტონი მოდესტე (ორივე ბასტია), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი)

**ლევან ბიბილაშვილი**

● ესპანეთი. ლა ლიგა. II ტურის წინ

# ნაკლასიკოევს მეორე ტურის წინ...

### ორი დერბი, ორიც ნაღდი ჯახი გარანტირებულია

| დღეს | |
|---|---|
| სოსიედადი-სელტა | 21:00 |
| ბეტისი-ვალეკანო | 23:00 |
| ესპანიოლი-სარაგოსა | 23:00 |
| მალაგა-მალიორკა | 01:00 |

| ხვალ | |
|---|---|
| ოსასუნა-ბარსელონა | 21:00 |
| გრანადა-სევილია | 23:00 |
| ხეტაფე-რეალი | 23:00 |
| ვალენსია-დეპორტივო | 01:00 |

| ზეგ | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ლევანტე | 22:00 |
| ატლეტიკო-ბილბაო | 00:00 |



მესიმ უკვე ორი გაიტანა...

#### მენიუ

პრიმერადივიზიონის მეორე ტურის „მენიუ" ასეთია - ორშაბათს, გვიან ღამით ტურს ორი „ათლეტთა" დუელი დააგვირგვინებს - „ვისენტე კალდერონზე" მადრიდის „ატლეტიკო" ბილბაოს „ატლეტიკს" მასპინძლობს. ამ შეხვედრას ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად მივიჩნევთ, თუმცა არც სხვა წყვილებია უინტერესო. მაგალითად, ხვალ „მესტალიაზე" მადრიდში გმირულად მოთამაშე „ვალენსია" ელიტაში დაბრუნებულ „დეპორტივოს" მოიგებს, რომელმაც სულაც გამარჯვებით დაიწყო სეზონი. „მენიუში" ორი დერბიც გვაქვს - მცირე მადრიდული, „რეალი" „ხეტაფეს" ესტუმრება და მცირე ანდალუსიური, „სევილია" „გრანადას" ეწვევა. რაც შეეხება „ბარსელონას", დაძაბული სუპერთასის მერე მას მძიმე გასვლა ელის ნავარაში, სადაც არცთუ სტუმართმოყვარე „ოსასუნა" ელით. მოკლედ, ყველაზე საინტერესო დაპირისპირებები ხვალ-ზეგაა.

#### კლასიკოს გამოძახილი

სუპერთასის პირველი მატჩი ახალი დასრულებულია. ამიტომაც, „ბარსელონას" და „რეალის" დაპირისპირებას კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ. „ბარსელონამ" კი მოიგო, მაგრამ მატჩის მიწურულს **ვიქტორ ვალდესის** შეცდომამ ყველაფერი გააფუჭა - 3:2. ახლა ყველაფერს საპასუხო მატჩი გადაწყვეტს, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" 29 აგვისტოს გაიმართება. ქვემოთ კი ხუთშაბათის სუპერთასის მატჩის რამდენიმე საინტერესო დეტალს იხილავთ.

* **კრიშტიანო რონალდო** „რეალის" ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ზედიზედ 4 კლასიკოზე გაიტანა „კამპ ნოუზე".

* **ტიტო ვილანოვასთვის** კლასიკოებზე გოლების გატანა **პედრო როდრიგესმა** დაიწყო. **ხოსეპ გვარდიოლასთვის** კი - **სამუელ ეტო'ომ.**

* **ლეო მესიმ** პენალტის ნიშნულიდან გაიტანა და კლასიკოებზე **სესარის** რეკორდი გაიმეორა - 14 გოლი „რეალის" კარში.



...რონალდოს ლა ლიგაში ჯერ არ შეუგდია

* **სესკ ფაბრეგასი** მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე, ეს სესკის 50-ე მატჩი იყო „ბარსელონას" შემადგენლობაში.

* რაც **ჟოზე მოურინიოა** „რეალის" თავკაცი, გუნდმა მე-100 გოლი გაუშვა 119 მატჩში. აღსანიშნავია, რომ 100-დან 25 ანუ მეოთხედი (!) „ბარსელონას" ანგარიშზეა.

* სუპერთასის I მატჩს „კამპ ნოუზე" ზუსტად 91 728 ადამიანი დაესწრო.

* **ჩავიმ** პასების 98% ზუსტი გააკეთა!

* თამაშმა უდიდესი დაინტერესება გამოიწვია ესპანეთში, ტვე-მ რეკორდი დაამყარა - მატჩს პირდაპირ ეთერში 7,2 მილიონმა ადამიანმა უყურა, რაც მაყურებელთა 48%-ია.

#### დღესაც არ მოვიწყენთ

დღეს კატალონიაში პირველ ტურში ხელმოცარულთა დუელია - „ესპანიოლი" „სარაგოსას" მასპინძლობს, გუნდებს ჯერ ქულა არ მოუპოვებიათ. თუკი არაგონელებმა თავი ძლივს დაიძვრინეს გავარდნიდან, **მაირისიო პოჩეტინიოს** გუნდს უფრო დიდი მიზნები აქვს და „კორნელია ელ პრატზე" 3 ქულისთვის გავა. ბოლო დროს „ესპანიოლი" „სარაგოსას" სჯობნის - 10 შეხვედრიდან 6 მოუგო. მანოლო ხიმენესის გუნდს არ ეყოლება მარცხენა მცველი **ივან ობრადოვიჩი,** სერბმა პირველ ტურში, „ვალიადოლიდის" წინააღმდეგ მუხლი დაიზიანა და ერთი თვით გამოაკლდა „სარაგოსას". ეს დანაკლისი ბარსელონურ კლუბში ბუნებრივად ჩანაცვლდება, მარცხენა ფლანგზე მსოფლიოს ჩემპიონი **ხოან კაპდევილა** ითამაშებს, რომელიც „ესპანიოლში" პორტუგალიიდან გადავიდა.

სან სებასტიანში „რეალ სოსიედადი" „სელტას" მასპინძლობს. 2007 წელს ეს ორი გუნდი ერთად გავარდა ესპანური ფეხბურთის ელიტიდან. ლა ლიგაში ჯერ ბასკები დაბრუნდნენ, ახლა კი - გალისიელებიც. ახალი სეზონი ორივემ ცუდად დაიწყო, განსაკუთრებით ბასკებმა, რომელთაც „კამპ ნოუზე" 1:5 წააგეს „ბარსელონასთან". „სელტამ" კი შინ „მალაგასთან" 16 წლის ბავშვის, **ფაბრის ოლინგას** გოლის გამო დათმო - 0:1. „სოსიედადის" უპირატესობა ვიგოელებთან მატჩში ძლიერი შუახაზი იქნება (**ჩორი კასტრო, ანტუან გრიზმანი, ჩაბი პრიეტო**), „სელტა" კი დიდად იქნება მეკარე **ხავი ვარასის** თამაშზე დამოკიდებული. „სელტამ" ახლახან დანიელი **მიქაელ კრონ-დელი** შეიმატა, თუმცა ის ალბათ სათადარიგოთა სკამზე იქნება, თამაშს კი ისევ **იაგო ასპასისა** და **ენრიკე დე ლუკასის** დუეტი დაიწყებს, რომლებიც ხშირად ცვლიან პოზიციებს (ცენტრფორვარდი და მარჯვენა გარემარბი).

პირველი ტურის სენსაცია „ბეტისი", რომელმაც „სან მამესზე" ხუთი გოლი გაუტანა „ბილბაოს", დღეს „რაიო ვალეკანოს" მასპინძლობს. „ბეტისის" უმთავრესი მიზანი აგვისტოს ბოლომდე ლიდერის, **ბენიატ ეჩებარიას** შენარჩუნებაა. ესპანეთის ნაკრებში მოხვედრის კანდიდატი უბრალოდ ბრწყინვალედ თამაშობს, არადა, მისი შეძენა „ვოლფსბურგმა" მოინდომა. ბენიატმა, რომელიც ბასკია და „ბილბაოს" აღზრდილია, შავი დღე გაუთენა ყოფილ გუნდს. „ვოლსფურგმა" უკვე მეორე წინადადებით მიმართა „ბეტისს" ახლა სატრანსფერო შეთავაზება 15,5 მილიონ ევროს უდრის.

„ლა როსალედაზე" ჩემპიონთა ლიგის კარიბჭესთან მყოფი „მალაგა" „მალიორკას" მასპინძლობს. ორივე გუნდმა გამარჯვებით დაიწყო სეზონი და ორივეს ფინანსური პრობლემები აერთიანებს, თუმცა ერთი რამით კუნძულელები უკეთეს პირობებში არიან - მათ მომზადებისთვის თითქმის კვირა ჰქონდათ, **მანუელ პელეგრინის** გუნდმა კი „პანათინაიკოსთან" იომა. ვნახოთ, ვიხილავთ თუ არა 16 წლის ფაბრისს სასტარტო შემადგენლობაში. ყოველ შემთხვევაში, პირველ ტურში გმირობით და ბერძნებთან გააზრებული თამაშით, კამერუნელმა ეს აშკარად დაიმსახურა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გერმანია. ბუნდესლიგა. I ტურის წინ

# დამშეული ბაიერნი ფიურტით იწყებს

## ბუნდესლიგის საიუბილეო, 50-ე სეზონის სტარტი

**ბუნდესლიგის საიუბილეო, 50-ე სეზონი გუშინ, მოქმედი ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას" და ბრემენის „ვერდერის" მატჩით დაიწყო, პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები კი დღეს და ხვალ გაიმართება... სწორედ ნახევარი საუკუნეა, რაც ეს ლიგა საფეხბურთო სამყაროს ალაფრთოვანებს და ევროპული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია.**

| გუშინ | |
|---|---|
| ბორუსია (დ)-ვერდერი | 2:1 |

გოლები: 1:0 როისი (11), 1:1 სელასიე (75), 2:1 გიოტცე (81)

| დღეს | |
|---|---|
| ბორუსია (მ)-ჰოფენჰაიმი | 17:30 |
| ფრაიბურგი-მაინცი | 17:30 |
| აუგსბურგი-ფორტუნა | 17:30 |
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 17:30 |
| ფიურტი-ბაიერნი | 17:30 |
| აინტრახტი-ლევერკუზენი | 20:30 |
| შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 22:45 |

| ხვალ | |
|---|---|
| ჰანოვერი-შალკე | 19:30 |

ახალი სეზონისთვის მთავარი კითხვა ასე ჟღერს: „დორტმუნდი" თუ „ბაიერნი"? არის კიდევ რამდენიმე, ნაკლებად პოპულარული, მაგრამ აქტუალური კითხვებიც: ნუთუ „ჰამბურგი", რომელსაც 50-ივე სეზონი ელიტაში აქვს გატარებული, ისევ გადარჩენისთვის იბრძოლებს? როგორ წარმოაჩენს თავს „გლადბახი" წინა სეზონში მოხდენილი სენსაციის შემდეგ? რომელი გუნდი იქნება ამ სეზონში სენსაციური? კარგია, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემის პროცესი იწყება!

### დებიუტანტი რეკორდმაისტერის წინააღმდეგ: ვაი ფიურტის ბრალი?

„გროითერ ფიურტი" ბუნდესლიგის რიგით 52-ე წევრია - კლუბი, რომელიც არსებობის ისტორიაში პირველად მოხვდა გერმანიის ელიტაში. შესაბამისად, **მაიკ ბიუსკენსის** გუნდისთვის ახალი, დიდი თავგადასავალი იწყება - ოღონდ მთავარი დამრტყმელი ძალის, გოლეადორ **ოლივიე ოუშენის** გარეშე, რომელიც გასულ სეზონში 17 გოლით მეორე ბუნდესლიგის თანაბომბარდირი გახდა (ფრანკფურტელ **მაიერთან** და პადერბორნელ **პრომშვიტცთან** ერთად). ამრიგად, „ფიურტს" წინა ხაზზე მთავარი „ხარი" აკლია - გამწევი ძალა, რომელიც ბურთს დაიჭერს, გაანაწილებს ან კარში დაარტყამს.

ბიუსკენსს ჰყავს **ჯერალდ ასამოა**, მაგრამ ეს უკანასკნელი დიდი ხანია, ვეღარ დგას მოწოდების სიმაღლეზე და ფაქტია, რომ მაიკი ჯერალდის იმედად ვერ იქნება. „ფიურტი" გერმანიის თასს პირველივე ეტაპზე გამოეთიშა (წააგო მესამელიგელ „ოფენბახთან"), რაც ბიუსკენსისთვის პირველი გაფრთხილება უნდა ყოფილიყო. თანაც, დებიუტანტს პირველივე ტურში უძლიერესი მეტოქე ჰყავს - დამშეული მიუნხენის „ბაიერნი". ბავარიელებს დღეს **ფრანკ რიბერი** არ ეყოლებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალწვეულ **ჯერდან შაჩირის** ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის შემდეგ, რეკორდმაისტერში კბილებს ილესავენ, სასწრაფოდ ტიტული სჭირდებათ. „ბაიერნს" ჰყავს ახალი სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი**, რომელზეც ბავარიული გრანდის ქომაგები და ბოსები უდიდეს იმედებს ამყარებენ; „ბაიერნს" ჰყავს ახალი თავდამსხმელებიც - **კლაუდიო პისარო** და **მარიო მანჯუკიჩი**, რის გამოც **მარიო გომესის** ტრავმა მიუნხენში მტკივნეულად აღარ აღიქვეს; და რაც ყველაზე საინტერესოა, „ბაიერნი" ცდილობს **ხავი მარტინესის** გადაბირებას, რომელიც 40 მილიონი ევრო ღირს. მიუნხენელებმა როგორც იქნა, დაამარცხეს „დორტმუნდი" (სუპერთასზე) და ბუნდესლიგის სტარტს ჩინებული განწყობით ხვდებიან. მაშასადამე, ვაი „ფიურტის" ბრალი? ვნახოთ...

### გლადბახი წნეხის ქვეშ, ჰოფენჰაიმი

მიონხენგლადბახის „ბორუსია" წინა სეზონის მოულოდნელი აღმოჩენაა და ძალიან საინტერესოა, როგორ წარმოაჩენენ თავს **ლუსიენ ფავრის** ბიჭები ამ სეზონში. ფაქტია, რომ „გლადბახი" გერმანიის ჩემპიონატის სტარტზე „მეცხრე ციდან მიწაზე დაბრუნებული" ხვდება - მიონხენგლადბახელები ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის პირველ რაუნდში, კიევის „დინამოსთან" საკუთარ მოედანზე 1:3 დამარცხდნენ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მთავარ ოცნებას ვერ აიხდენენ. კიეველებთან წაგების შემდეგ, ფავრმა ფანებს და ბოსებს გაახსენა ის, რომ გუნდმა ზაფხულში წამყვანი ფეხბურთელები **ნოიშტედტერი**, **დანტე** და რაც მთავარია, ლიდერი **მარკო როისი** დაკარგა, რასაც შვეიცარიელმა მწვრთნელმა „ამპუტაცია" უწოდა. მწვრთნელს მენეჯერი **მაქს ებერლიც** დაეთანხმა და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ **ჯაკას**, **დე იონგის**, **მლაპას** და **დომინგესის** სახით საკმაოდ კარგი ფეხბურთელები შევიძინეთ, ამ სეზონში მე-8 ადგილითაც კმაყოფილი ვიქნებიო. არ შევცდებით, თუ დავძენთ, რომ მესამე ადგილის დაკავების შემდეგ მერვე ადგილით კმაყოფილება კაპიტულაციას ნიშნავს.

„გლადბახის" მეტოქე დღეს „ჰოფენჰაიმია" - გუნდი, რომელმაც გერმანიის თასზე რეგიონალლიგელ „ბერლინერთან" კრახი განიცადა. ამ წაგებით განრისხებული მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** ფეხბურთელებს მისდგა და ამ დღეებში მათ გამოცოცხლებას ცდილობდა. რამდენად გამოუვიდა ეს ბაბელს, ამას დღევანდელ შეხვედრაში შევიტყობთ. გაგახსენებთ, რომ „ჰოფეს" გამოცდილი **ტიმ ვიზეს** სახით ახალი მეკარე ჰყავს, რომელიც, ცოტა არ იყოს, თამამად ამბობს, ჩვენი მიზანი ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა იყოსო...

### დინოზავრს ისევ უჭირს

„ჰამბურგი"-„ნიურნბერგი" გერმანიის თასის პირველ რაუნდში შერცხვენილი გუნდების დაპირისპირებაა. „ბუნდესლიგის დინოზავრი" „ჰამბურგი", რომელსაც 1963 წლიდან დღემდე ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი, 1662 მატჩი აქვს ჩატარებული, ამ სეზონშიც ელიტიდან გავარდნის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად მოიაზრება. „ჰამბურგმა" ხარისხიანი ფეხბურთელები (**გერერო**, **იაროლიმი**, **პეტრიჩი**) დაკარგა და მათ ნაცვლად ისეთი მოთამაშეები (**შარნერი**, **ხრიზანტუსი**, **რუდნევსი**, **ბაისტერი**) გადაიბირა, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ დასამტკიცებელი. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ჰამბურგელებმა თასზე, „კარლსრუესთან" მარცხისგან ტრაგედია არ შექმნეს. სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** ფანებს აგვისტოს ბოლომდე „ერთი მაგარი ფეხბურთელის მოყვანას" დაჰპირდა. შესაძლოა, ეს ჩრდილოგერმანული კლუბის ქომაგების უსაყვარლესი მოთამაშე **რაფაელ ვან დერ ვაარტი** იყოს.

„ნიურნბერგი" თასზე რეგიონალლიგელ „ჰაფელსესთან" დამარცხდა, თუმცა ამის გამო სასოწარკვეთა არც ფრანკებს ეტყობათ. გაგახსენებთ, რომ გუნდი დატოვეს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებმა **ჰეგელერმა** და **ვოლშაიდმა**, სამაგიეროდ, „ნიურნბერგმა" **გებჰარტის**, **პოლტერისა** და **კიოტაკეს** სახით პერსპექტიული ბიჭები გადაიბირა.

### ფრაიბურგი სეზონს ტრავმებით ხვდება

„ფრაიბურგი", რომელიც პირველ ტურში „მაინცს" მასპინძლობს, სეზონს სავსე ლაზარეთით იწყებს. მწვრთნელი **კრისტიან შტრაიხი** უაღრესად შეწუხებულია იმით, რომ **კალიჯური**, **როზენტალი** და **მუიჯა** ტრავმირებულები არიან - ჩვენნაირი გუნდისთვის ეს კატასტროფააო, ამბობს „ფრაის" მწვრთნელი. „მაინცი" ახალ სეზონს ტრადიციული ამბიციებით ხვდება, ხოლო სამუდამო კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დაიცვას კარნავალელთა კარი, პასუხი ავტომატურად გაეცა: **ჰაინც მიულერი** მძიმედ დაშავდა და რამდენიმე კვირას ლაზარეთში გაატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მაინცის" მეკარე საწყის ტურებში **კრისტიან ვეტკლო** იქნება. შეგახსენებთ, რომ „მაინცი" **ალაგუიმ**, **შტიბერმა**, **გავრანოვიჩმა**, **ზიდანმა** და **ფათიმ** დატოვეს. **ჟუნიორ დიასი** (ბრიუგედან) და **ედე** (უნიონიდან) საიმედო ახალწვეულები არიან.


არიენ რობენი და კომპანია უკიდურესად მონდმებულები არიან

შარშანდელი დებიუტანტი „აუგსბურგი", რომელიც ყველასათვის მოულოდნელად ელიტაში დარჩა, ახალ დებიუტანტს, დიუსელდორფის „ფორტუნას" მასპინძლობს. აუგსბურგელებს **მარკუს ვაინცირლის** სახით ახალი და ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა (37 წლისაა) მწვრთნელი ჰყავთ, რომელმაც ბერლინის „ჰერტაში" გადაბარგებული **იოს ლუჰუკაი** შეცვალა. ახალწვეულებიდან ყველაზე ხეირიანი **არისტიდ ბონსეა** - თავდამსხმელი, რომელიც გერმანიის ჩემპიონატის მოყვარულებს „მაინციდან" გეხსომებათ. ამ უკანასკნელმა თასზე, „ვილჰელმსჰაფენთან" მოგებულ მატჩში დაამტკიცა, რომ „აუგსბურგისთვის" დიდი ძალა იქნება. სიახლეებია „ფორტუნაშიც": დიუსელდორფელთა მთავარი შენაძენი უკრაინელი თავდამსხმელი **ანდრიი ვორონინია**. „ფორტუნას" მნიშვნელოვნად გააძლიერებს **შტეფან რაიზინგერიც**, რომელმაც თასზე, „ბურგჰაუზენს" გადამწყვეტი გოლი გაუტანა. მწვრთნელ **ნორბერტ მაიერს** კაპიტან **ლამბერტცის** არყოფნა აღარდებს, რომელიც ტრავმირებულიცაა და წინა სეზონიდან, „ჰერტასთან" სკანდალური მატჩის შემდეგ პეტარდის ანთების გამო ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც გადმოჰყვა.

### საღამოს მატჩი: აინტრახტი-ლევერკუზენი

გერმანიაში ტურის ტოპ-მატჩებად შაბათის საღამოს თამაშებს მიიჩნევენ ხოლმე. პირველ ტურში ასეთი შეხვედრა ელიტაში დაბრუნებული „აინტრახტისა" და „ლევერკუზენის" დაპირისპირებაა. ფრანკფურტელებისთვის სეზონი კომმარულად დაიწყო: **არმინ ფეეს** გუნდი თასზე „აუესთან" დამარცხდა და „აინტრახტმა" თასის პირველი რაუნდი 12 წლის შემდეგ პირველად ვერ გადალახა. ფრანკფურტელებს დაცვაში უჭირდათ და უკანა ხაზი **კარლოს სამბრანოთი** გააძლიერეს.

„ლევერკუზენმა" თასის პირველი ეტაპი ამჯერად უპრობლემოდ გადალახა (4:0 კარლ ცაისთან), რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერი" ახალ სეზონს კარგი განწყობით ხვდება - შეგახსენებთ, რომ შარშან „ლევერკუზენმა" სეზონი თასზე დრეზდენის „დინამოსთან" განცდილი კრახით (3:4) დაიწყო. „ბაიერის" თავკაცები, **საშა ლევანდოვსკი** და **სამი ჰიიპია** სეზონს იმედიანად ხვდებიან და ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ.

### ვოლფსბურგი დიდი გამოცანაა

გერმანიის საფეხბურთო ლიგამ „შტუტგარტი"-„ვოლფსბურგის" მატჩი ევროპალიგის გამო შაბათს გადმოიტანა. შვაბებმა მოსკოვის „დინამო" 2:0 დაამარცხეს და კარგ ხასიათზე არიან. მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** ზაფხულში **დელპიერი**, **ბულარუზი**, **გებჰარტი** და **შიბერი** დაკარგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „შტუტგარტში" მაინც დიდი კონკურენციაა. ეს განსაკუთრებით წინა ხაზის მარცხენა ფრთას ეხება, სადაც ლაბადიას განსაკუთრებით დიდი არჩევანი აქვს (**თორუნი**, **ოკაზაკი**, **ტრაორე**).

„ვოლფსბურგის" თავკაცმა **ფელიქს მაგათმა** სეზონის წინ, როგორც ყოველთვის, სატრანსფერო კარუსელი დაატრიალა: „მგლებმა" **ნალდო**, **ოლიჩი**, **პოგატეცი**, **პილარი**, **ფაგნერი**, **პეკარიკი**, **დოსტი**, **ლაკიჩი** და **პანევიტცი** გადაიბირეს. გუნდში დაბრუნდა **დიეგოც** - „დესპოტიო ფელიქსს" სხვა გზა არ ჰქონდა და ბრაზილიელ გამთამაშებელს შეურიგდა. სამაგიეროდ, წავიდნენ **მანჯუკიჩი**, **კრისი**, **პოლტერი**, **სალიჰამიჯიჩი**, **ჰიტცლშპერგერი**, **თუნჯაი**, **სიო**, **სისოკო** და **ბენ ხალიფა**. ჯამში, „ვოლფსბურგს" ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. თუმცა, ამდენი ცვლილების ფონზე არც ისაა გამორიცხული, რომ „მგლებმა" ევროპალიგაშიც კი ვერ შეაღწიონ.

„შტუტგარტის" მატჩის შაბათს გადატანამ ის გამოიწვია, რომ ხვალ მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართება: „ჰანოვერი"-„შალკე". „წითლებმა" გუშინწინ ევროპალიგაზე პოლონურ „ვროცლავთან" დიდი ომი გადაიტანეს და 5:3 მოიგეს. თუმცა მწვრთნელი **მირკო სლომკა** ყოფილ გუნდთან თამაშის წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი - ბიჭები დაღლილები არ არიან და წესით, „შალკესთან" მედგრად ვიბრძოლებთო. გელზენკირხენულ კლუბში პირველი მეკარის წოდება 33 წლის **ტიმო ჰილდებრანდმა** მოიპოვა, რომელმაც **უნერშტალი** და **ფერმანი** დაჯაბნა.


ახლები: ჯერდან შაჩირი (ბაიერნი), მარკო როისი (დორტმუნდი) და ტიმ ვიზე (ჰოფენჰაიმი)

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი, ორი, ერთი და... პულენმა დარბაზი ააფეთქა

**24 აგვისტო, თბილისი, სპორტის სასახლე, 12000 მაყურებელი**

**საქართველო 79:76 ლატვია**

21-20, 20-16, 23-17, 15-23

მსაჯები: ხ. ხრისტოდულუ (საბერძნეთი), ე. კარტალი (თურქეთი), ს. პერცეგი (ხორვატია)

| საქართველო | წთ | ს-თამ. | ს-თამ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მეტ. | მ-საკ. | მ-სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მეტ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6. ა. ბოისა | 6 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | -6 | 0 |
| *7. ფაჩულია | 32 | 7/13 | 53.8 | 7/13 | 53.8 | 0/0 | 0.0 | 4/6 | 66.7 | 5 | 4 | 9 | 0 | 6 | 1 | 1 | 1 | 10 | 1 | 18 |
| *8. ცინცაძე | 33 | 4/8 | 50.0 | 4/7 | 57.1 | 0/1 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 7 | 7 | 7 | 3 | 3 | 0 | 3 | 3 | 4 | 9 |
| 9. შერმადინი | 7 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 2 | 4 | 2 |
| *11. მარკოიშვილი | 33 | 8/13 | 61.5 | 5/9 | 55.6 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 3 | 5 | 4 | 1 | 5 | 0 | 3 | 0 | -4 | 19 |
| *13. სანიკიძე | 36 | 4/8 | 50.0 | 3/5 | 60.0 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 1 | 4 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 10 |
| *23. შენგელია | 27 | 5/10 | 50.0 | 4/8 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 1/1 | 100.0 | 1 | 4 | 5 | 0 | 3 | 0 | 2 | 2 | 1 | 8 | 12 |
| 34. პულენი | 26 | 3/13 | 23.1 | 0/8 | 0.0 | 3/5 | 60.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 2 | 5 | 9 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/65 | 47.7 | 23/50 | 46.0 | 8/15 | 53.3 | 9/13 | 69.2 | 10 | 28 | 38 | 18 | 18 | 11 | 5 | 17 | 21 | | 79 |

| ლატვია | წთ | ს-თამ. | ს-თამ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მეტ. | მ-საკ. | მ-სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მეტ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. ვეცვაგარსი | 5 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | -7 | 2 |
| *5. მ. მეჟერისი | 20 | 2/3 | 66.7 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 1/3 | 33.3 | 2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | -6 | 5 |
| *6. ფრეიმანისი | 10 | 2/5 | 40.0 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | -8 | 5 |
| 8. დავის ბერტანსი | 16 | 0/6 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/5 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 5 | 6 | 1 | 4 | 1 | 0 | 4 | 1 | 10 | 0 |
| 9. ჟერომანოვსი | 19 | 2/8 | 25.0 | 2/2 | 100.0 | 0/6 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 4 |
| *13. შტრელნიეკსი | 26 | 8/14 | 57.1 | 3/3 | 100.0 | 5/11 | 45.5 | 1/1 | 100.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 4 | 6 | 1 | 2 | 2 | 0 | 22 |
| 14. კ. ბერზინსი | 24 | 6/9 | 66.7 | 5/6 | 83.3 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 4 | 7 | 11 | 1 | 2 | 1 | 4 | 4 | 4 | 5 | 14 |
| *15. შელაკოვსი | 13 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 | 0 | 3 | 2 | -2 | 2 |
| *33. კუკსიკსი | 26 | 3/8 | 37.5 | 2/4 | 50.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 4 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 7 |
| 41. ა. ბერზინსი | 13 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -17 | 2 |
| 45. დაირის ბერტანსი | 29 | 5/12 | 41.7 | 2/7 | 28.6 | 3/5 | 60.0 | 0/2 | 0.0 | 2 | 1 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 4 | 8 | 13 |
| გუნდი | | | | | | | | | | 3 | 1 | 4 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/70 | 44.3 | 20/34 | 58.8 | 11/36 | 30.6 | 3/12 | 25.0 | 15 | 26 | 41 | 12 | 20 | 13 | 9 | 21 | 17 | | 76 |

*შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, **+/-** - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.*

საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე ლატვიელი **მარეკ მეჟერისი** საჯარიმოს ხაზთან დადგა. ანგარიშზე 76:76 მას ერთი ტყორცნაც რომ გამოეყენებინა, ლატვიის ნაკრები გამარჯვებას ძალიან მიუახლოვდებოდა. საბედნიეროდ, მეჟერისმა ორივე ტყორცნა ააცილა და ოვერტაიმის საკითხი დადგა დღის წესრიგში. რჩებოდა ბოლო სროლა, რომელიც **ჯეიკობ პულენს** უნდა შეესრულებინა, რადგან შეტევა სწორედ მან წამოიწყო და სულ რაღაც 8 წამში უნდა შეეტია. სამქულიანი ხაზიდან საკმაოდ მოშორებით გაჩერდა, აიჭრა, ისროლა და ვიდრე ბურთი კალათში ჩაეშვებოდა, ისე მოტრიალდა, თითქოს სროლამდე იცოდა, რომ ასეთ გადამწყვეტ მომენტში მიზანს არ ააცილებდა და საქართველოს ნაკრებს ესოდენ მნიშვნელოვან გამარჯვებას მოუტანდა.

მეჟერისის საჯარიმოებსა და პულენის სამქულიანს შორის სულ 8 წამი იყო; მაგრამ ემოციები საოცარი სისწრაფით, 360 გრადუსით შეიცვალა. ამ ყველაფერს განსაკუთრებულ ელფერს ისიც სძენდა, რომ არენა ბოლომდე გაივსო და უნდა გენახათ, ფეხზე წამომდგარი 12 ათასი გულშემატკივარი ბოლო წამებზე როგორი სულგანაბული ელოდა საქართველოს ნაკრების გამარჯვებას. პულენის სამქულიანის შემდეგ კი დარბაზი კინაღამ დაინგრა. თამამად შეიძლება გავიმეოროთ, რომ სანახაობრიობით, დრამატულობითა და ემოციურობით კალათბურთი სპორტის ერთ-ერთი პირველი სახეობათაგანია.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებმა ამ მოგებით მესამე ნაბიჯი გადადგა ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენ. ჩვენს გუნდს სამი მატჩიდან ამდენივე აქვს მოგებული. ეს წარმატება კიდევ უფრო გასახარი იმიტომაცაა, რომ უშუალო მეტოქე ლატვიასთან ბრძოლაში მოვიპოვეთ. ლატვიელები „უშუალო მეტოქეები" რომ არიან, გუშინაც დაამტკიცეს - **აინარს ბაგაცკისს** კარგად განსწავლული გუნდი ჰყავს. მწვრთნელს საქართველოს ნაკრების პლუსებიც სათანადოდ ჰქონია შესწავლილი: თუ წინა მატჩებში ჩვენი გუნდი სწრაფი შეტევით ქულებს უხვად აგროვებდა, ამჯერად მხოლოდ 14 ქულა მიითვალა. ბალტიისპირელები დროულად ასწრებდნენ საკუთარ მოედანზე დაბრუნებას. მეტოქემ არც მოხსნებში დათმო - 41:38 გვაჯობა. ისიც იცოდა, რომ საქართველოს ნაკრების დამარცხება უმთავრესად პერიმეტრიდან ტყორცნებით შეიძლებოდა. ამიტომაც ისროლა 36 სამიანი და 11 გამოიყენა.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებმა კი 8 სამქულიანი ჩააგდო (15-დან), რაც შესანიშნავი შედეგია. არც ორქულიანების ტყორცნის პროცენტული მაჩვენებელი დაეწუნებოდა - 50-დან 23, ხოლო 13 საჯარიმოდან ქულად 9 გარდასახა. ძალიან ცუდად ისროლეს ჯარიმები ლატვიელებმა - 12-დან მხოლოდ 3 გამოიყენეს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა საქართველოს ნაკრების სტაბილურ თამაშზე მიგვითითებს. რომ არა ორწუთიანი ჩავარდნა, გუნდი მშვიდად მიიყვანდა შეხვედრას გამარჯვებამდე. როგორც შეხვედრის წინ ლატვიელთა თავკაცმა აინარს ბაგაცკისმა თქვა, თამაშის მოგებას ცოდნა უნდა. საქართველოს ნაკრებს კი ჰყავს იმ დონის კალათბურთელები, რომლებსაც უმაღლეს დონეზე არაერთი შეხვედრა მოუგიათ.

■ ■ ■

დიდი როლი შეასრულა ლატვიელთა ძლევაში გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ,** რომელიც ტემპსაც სათანადოდ აკონტროლებდა, პასებსაც ანაწილებდა (7 შედეგიანი გადაცემა), საჭიროების შემთხვევაში მეტოქის კალათსაც შედეგიანად უტევდა და დაცვაშიც დამაჯერებელი იყო (7 დაცვითი მოხსნა).

სასტარტო ხუთეულში მსროლელად **მანუჩარ მარკოიშვილი** ირჯებოდა. მის ღირებულებაზე გუნდის ბომბარდირის სტატუსი და ციფრებიც მეტყველებენ: 19 ქულა, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 4 პასი. მანუმ 9-დან 5 სამქულიანი და 4-დან 3 სამიანი გამოიყენა.

მსუბუქმა ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** ამჯერად ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა, მაგრამ როგორც ყოველთვის ძალიან სასარგებლო იყო. **თორნიკე შენგელიამ** გუშინ თამაშიდან 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა, ბურთი ხუთჯერ მოხსნა და მეტოქეებს ორჯერ დაუფარა (12 ქულა).

როცა მოედანზე **ზაზა ფაჩულიაა,** მეტოქეებს ძალიან უჭირთ ფარქვეშ შესვლის გადაწყვეტილების მიღება, ეს ლატვიელთა თავკაცმა თქვა. ზაზა გუნდის ვიცე-სნაიპერი გახდა (18 ქულა) და ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა (9).

ამ კალათბურთელების გარდა 10 წუთზე მეტი (26 წუთი) ითამაშა ამერიკელმა **ჯეიკობ პულენმა.** მან სულ სამი სამქულიანი გამოიყენა. სამივე გადამწყვეტ მომენტში. რუმინეთთან მატჩისასაც დავწერეთ, რომ **ტაირონ ელისის** შემდეგ პულენი სამქულიანებში სტაბილურობით ყველაზე გამორჩეული ნატურალიზებულია. მან გუშინ პერიმეტრიდან 5-დან 3 სამიანი გამოიყენა.

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები პოლანდიაში ჩაატარებს. მართალია, ნიდერლანდელებს ჩვენგან რადიკალურად განსხვავებული მონაგარი აქვთ (3 მატჩი 3 წაგება), მაგრამ ალმერეშიც რთული ბრძოლა გველის. ეს გუნდსაც კარგად ესმის და იმედი დავიტოვოთ, რომ პირველ წრეს წაუგებლად დავასრულებთ.



**რუმინეთი-ბოსნია 79:84**

22-25, 10-27, 25-23, 22-9

**რუმინეთი:** მანდაჩე (11ქ, 6მ), პაული (7ქ), დრაგუშინი (10ქ), პოპესკუ, მოლდოვანუ (25ქ, 11მ), ბაჩიუ (5ქ), ჩალოტა (4ქ, 4პ), ლაზარი (4ქ), ნიკოარა (10ქ, 10მ), სილვასანი (3ქ), იუკანი.

**ბოსნია:** მასიჩი (12ქ), რაითი (5ქ, 8პ), კიკანოვიჩი (21ქ, 6მ), ტელეტოვიჩი (21ქ, 9მ), პერსიჩი, დედოვიჩი (17ქ, 7მ), სინანოვიჩი (6ქ).

პირველ ტაიმში რუმინეთი ბოსნიას 20 ქულით ჩამორჩა, მაგრამ მატჩის ბოლოს სიტუაცია გამოასწორა, მეოთხე პერიოდი 22:9 მოიგო, თუმცა საბოლოო გამარჯვება მაინც ბოსნიას დარჩა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 4 | 3 | 1 | 373/348 | 7 |
| 2. საქართველო | 3 | 3 | 0 | 255/235 | 6 |
| 3. ლატვია | 3 | 1 | 2 | 245/236 | 4 |
| 4. რუმინეთი | 3 | 1 | 2 | 233/248 | 4 |
| 5. პოლანდია | 3 | 0 | 3 | 243/282 | 3 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**გუშინდელი** პაექრობის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელებსა და მოთამაშეებს, ასევე, სახელოვან ვეტერან კალათბურთელებს ვესაუბრეთ. გთავაზობთ ნამატჩევს გაზიარებულ შთაბეჭდილებებს:



აინარს ბაგატსკისი

**დაირის ბერტანსი:** საოცარ ატმოსფეროში მოგვიხდა თამაში. ცხადია, ვიცოდით საქართველოს ნაკრების შესაძლებლობები და მის წინააღმდეგ საგანგებოდ ვემზადებოდით. თუმცა პირველ მეოთხედში ვერ ავეწყვეთ, მეტოქე საგრძნობლად დაწინაურდა. თანდათან გონს მოვეგეთ და მოვახერხეთ ძალების მობილიზება - მატჩში გარდატეხის შეტანა. ბოლო წამებზე არბიტრების უხეში შეცდომა რომ არა, შეხვედრას აუცილებლად მოვიგებდით: მსაჯებმა ჩვენს სასარგებლოდ ორი არასპორტული ჯარიმა არ დააფიქსირეს, რამაც საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია. აუცილებლად ვეცდებით, შინ რევანში ავიღოთ.

**მანუჩარ მარკოიშვილი:** ჯერ კიდევ შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე აღვნიშნეთ, რომ ლატვია ჩვენთან ერთად ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა, რაც დღევანდელმა ორთაბრძოლამაც დაადასტურა. ახალგაზრდული, ენერგიული გუნდია. კულუარულ საუბრებში ბალტიისპირელებს არ დაუმალავთ, რომ თბილისში მოსაგებად ჩამოვიდნენ. მიზანთანაც ახლოს იყვნენ, რადგან ბოლო წუთებში მეტოქეს მეტი ენერგია შერჩა. ბოლო წამებზე ფორტუნამაც გაგვიღიმა და მატჩი მოვიგეთ. არადა, საქართველოს ნაკრების მარცხი საცოდაობა იქნებოდა - ჩვენ ხომ სამი მეოთხედის განმავლობაში საგრძნობი სხვაობით ვიყავით წინ, ერთ მომენტში პაექრობას 14 ქულითაც ვიგებდით, მაგრამ შემდეგ უხეში შეცდომებით მონაგარი გავანიავეთ.

**- მეტოქე გუნდის წევრმა აღნიშნა, რომ რამდენჯერმე არასპორტულად ითამაშეთ, მაგრამ არბიტრებმა ამაზე რეაგირება არ მოახდინეს.**

- მსაჯებზე ლაპარაკი არ მიყვარს, თუმცა დღევანდელ მატჩში მართლაც იყო ორივე მხრიდან უხეში თამაში, რაზეც არბიტრებს ყურადღება არ მიუქცევიათ. ასე რომ, მიკერძოება ნამდვილად არ ყოფილა. კალათბურთი, მოგეხსენებათ, კონტაქტური თამაშია და ზოგჯერ უხეშობაც არ არის გამორიცხული, ოღონდ ეს ზღვარს არ უნდა გასცილდეს. ამ მხრივ, მგონია, ლატვიელებთან შეხვედრისას ყველაფერი რიგზე იყო. ბოლო წამებზე მეტოქეს ის ორი ჯარიმა რომ ჩაეგდო, დარწმუნებული ვარ, ლატვიელები მსაჯების შეცდომებზე არ ილაპარაკებდნენ.

**აინარს ბაგატსკისი, ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** უპირველესად, საქართველოს ნაკრებს მინდა მივულოცო გამარჯვება. ისეთ ჩინებულ ატმოსფეროში, როგორიც სპორტის სასახლეში სუფევდა, ალბათ, უსამართლობა იქნებოდა, ჩვენ რომ მოგვეგო. ასე რომ, ყველა იმ ადამიანს, ვინც ასეთი გარემო შექმნა ამ დარბაზში, ვულოცავ საქართველოს ნაკრების წარმატებას. ალბათ, სისულელეა თავის მართლების გზების ძებნა, რადგან ვთამაშობდით ჯგუფის ფავორიტთან, გამოცდილ და ყოველმხრივ ბალანსირებულ გუნდთან. ჩემი შეგირდების ყველაზე დიდი მინუსი გამოუცდელობაა. როცა მეტოქე შეთამაშებულია, მან ძალიან კარგად იცის, რა და როგორ გამოიყენოს შენს წინააღმდეგ. ცხადია, ვვარაუდობდით, ქართველები რას შემოგვთავაზებდნენ, მაგრამ სამოქმედო გეგმა მაინც ბუნდოვანი დარჩა. ერთია ნახაზის, სტრატეგიის შედგენა, მეორე - მატჩის დასაწყისშივე იმპროვიზაციის წინააღმდეგ სწორი გეგმის შერჩევა. მატჩის პირველ მეოთხედში რვაჯერ დავკარგეთ ბურთი, სულ პაექრობის განმავლობაში - ოცჯერ და მაინც თანაბრად ვებრძოლეთ მეტოქეს. ამგვარ სიტუაციაში რაღაც მიზეზების ძებნა სისულელეა. შეხვედრის ბოლო სამი წუთის განმავლობაში შევძელით ძალების მობილიზება, მეტოქემაც თავისუფალი სროლის საშუალება მოგვცა და საქართველოს ნაკრების წევრებსაც ნერვიულობა დაეტყოთ. და მაინც, მინდა დავეთანხმო ჩემს შეგირდს - როცა მეტოქე მაისურზე გქაჩავს ზურგს უკან ან ფარქვეშ ზემოდან გარტყამს ხელს, ეს არასპორტული ჯარიმაა. ბოლო ოცდაათი წამის განმავლობაში ორი ასეთი შემთხვევა იყო და მსაჯებმა ორჯერვე დახუჭეს თვალები. თუმცა წაგებას მხოლოდ ამას ვერ დავაბრალებ - მარცხი ჩვენივე შეცდომების ბრალია: როცა მატჩის განმავლობაში ოცჯერ დაკარგავ ბურთს და ჯარიმების მხოლოდ 25 პროცენტს გამოიყენებ, ცხადია, წარმატებას ვერ მიაღწევ. პულენის ბოლო სამქულიანი და ჩვენი წაგება სადღაც კანონზომიერიც იყო, თუმცა, ვიმეორებ, გამარჯვების რეალური შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ყოველივეს მიუხედავად, დიდი მადლობა გულშემატკივრებს დარბაზში საოცარი ატმოსფეროს შექმნისთვის. მომავალშიც სიამოვნებით ჩამოვალ თბილისში ამ შესანიშნავ დარბაზში გადაჭედილი ტრიბუნების წინ ორთაბრძოლების გასამართავად.

**- სამი ტურის შემდეგ ჯგუფში ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- თავიდანვე აღვნიშნე, რომ ჩვენს ჯგუფში ფავორიტი საქართველოა. მერე, ალბათ, ბოსნიას დავაყენებდი. რაც შეეხება რუმინეთსა და პოლანდიას, ისინიც უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ასე რომ, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად დიდი ჯაფა იქნება საჭირო.

**- თქვენ რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნეთ სპორტის სასახლეში შექმნილი ატმოსფერო. დღევანდელ წაგებაზე ამანაც ხომ არ იქონია ზეგავლენა?**

- უცილობლად. ის ბიჭი, ვინც ბოლო ორი ჯარიმა გააფუჭა, ორი წლის წინათ ლატვიის ლიგაშიც არ გამოდიოდა. როგორც მასზე, ისე ნაკრების ზოგიერთ წევრზეც მოახდინა 10-ათასიანმა გადაჭედილმა ტრიბუნებმა ზეგავლენა. ამგვარ ატმოსფეროში მათ უწინ არასდროს უთამაშიათ. ასე რომ, შემიძლია ვთქვა, რომ ეს გულშემატკივრების გამარჯვებაც იყო.

**- ძალიან გვიან ხომ არ მიმართეთ პრესინგს?**

- რადგან წავაგეთ, გამოდის, რომ დავაგვიანეთ.

**- თქვენ საქართველოში ყოფნის დროსაც გქონდათ მსაჯების მიმართ პრეტენზიები. ამ მხრივ დღევანდელი მატჩიც არ ყოფილა გამონაკლისი.**

- (ეცინება), არავითარი პრეტენზიები, ეს ჩვენი მუშაობის ნაწილია, რათა გარკვეული ზეგავლენა მოვახდინოთ არბიტრებზე. უამისოდ შოუს ხიბლი დაეკარგებოდა. ვფიქრობ, ამაში ქართველი კოლეგაც დამეთანხმება...

**კოტე ტულუში,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: დიდი მადლობა ლატვიის ნაკრებს, რომელმაც სანახაობრივი კალათბურთი შემოგვთავაზა, ბოლო წამებამდე იბრძოლა და ჩვენი გამარჯვება კინაღამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა, რომელთა უსაზღვრო მადლობელი ვართ, მატჩისგან დიდი სიამოვნება მიიღეს. კალათბურთელებისთვის სტიმული იყო სავსე ტრიბუნების ხილვა და აქტიური ქომაგობა. იმედია, მომავალშიც ამგვარი მხარდაჭერა არ მოგვაკლდება და ჩვენც ვეცდებით, ეფექტური თამაშით მაყურებლებს სიამოვნება მივანიჭოთ.

რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, მთელი 35 წუთის განმავლობაში ვაკონტროლებდით შეხვედრას, მაგრამ ბოლო მომენტში არ ვიცი, რა მოხდა, გუნდის მექანიზმი მოიშალა და კინაღამ დავისაჯეთ. შეცდომები სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ, რათა პოლანდიელებთან პაექრობას სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ და მსგავსი ლაფსუსები არ გამეორდეს.

**- ბოლო ხუთ წუთში ლატვიელთა პრესინგს ვერ გაუმკლავდით. საამისოდ მზად არ ვიყავით თუ...**

- ვერ ვიტყვი, რომ პრესინგის წინააღმდეგ თამაში გვიჭირს. მართალია, 2-3 ბურთი კი დაიკარგა, მაგრამ ეს ელემენტარული შეცდომების ბრალი იყო. თანაც, ეტყობა, ნაადრევად ვირწმუნეთ გამარჯვება, რაც კინაღამ ძვირად დაგვიჯდა. სწორედ, პრესინგის წინააღმდეგ იყო მიმართული ბოლო წუთებზე პულენისა და ცინცაძის ერთად ყოფნა მოედანზე, რათა გამთამაშებლების დახმარებით ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა არ გაგვჭირვებოდა...

**ზაზა ფაჩულია:** ლატვია ის გუნდია, რომელიც საფინალო სასტვენამდე უშეღავათოდ იბრძვის და ეს ჩვენთან მატჩის ბოლო ხუთ წუთშიც დაამტკიცა. ბოსნიასთან პაექრობის მსგავსად, ბალტიისპირელებთანაც ბოლო მეოთხედში უამრავი შეცდომა დავუშვით და გამორიცხული არ იყო, ორთაბრძოლა წაგვეგო კიდეც. თამამად შემიძლია ვთქვა - შემთხვევით მოვიგეთ. ცხადია, ხელის სხვისკენ გაშვერას არ დავიწყებ. გუნდში პროფესიონალები ვართ და ყველამ უნდა გავითავისოთ ჩვენ-ჩვენი ხარვეზი. მატჩის ვიდეოჩანაწერს აუცილებლად ენახავთ, გავაანალიზებთ და სათანადო დასკვნებსაც გამოვიტანთ, თორემ ამგვარი შეცდომებისთვის სხვა შემთხვევაში სხვა გუნდი აუცილებლად დაგვსჯის. პირველი წრის ბოლო თამაში პოლანდიაში გვაქვს. მართალია, ნიდერლანდელებმა აქამდე სამივე შეხვედრა დათმეს, მაგრამ ტურნირს ისე არ დაამთავრებენ, ერთხელ მაინც არ გაახარონ თავიანთი ქომაგები. ამიტომ მათთან პაექრობისას სრული მობილიზება გვმართებს. ჩვენც ლატვიელებთან გამარჯვებაში ქართველი გულშემატკიერის მხარდაჭერა არ მოგვკლებია. დიდი მადლობა მათ.

**ვიქტორ სანიკიძე:** ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იყო, დაძაბული და, შეიძლება ითქვას, დრამატულიც. დიდი მადლობა გულშემატკივარს. მათი დამსახურებაა ეს წარმატება. მატჩის ბოლოს ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის მშვიდობიანად დასრულდა. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით ბოლო წამებზე. ჯარიმის გარდა, სხვა გამოსავალი არ მრჩებოდა. თუკი მარეკს მეჟერისი თავის შანსს გამოიყენებდა, შეტევისთვის შვიდი წამი გვრჩებოდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ბალტიისპირელს ორივე ცდა გაუცუდდა, პულენმა კი ზუსტი შორეული ტყორცნით მეტად საჭირო გამარჯვება მოგვაპოვებინა. პოლანდიასთანაც არანაკლებ დაძაბული ბრძოლა გველის. მეტი ყურადღებით ვიქნებით.

**ვაჟა ჟრენტი,** საბჭოთა კავშირის სამ-სამგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი: საქართველოს ნაკრების ყველა მატჩს დავესწარი, რომლებიც წლეულს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, ტელევიზიით ბოსნიასთან ორთაბრძოლაც ენახე. ბიჭებმა ყველა შეხვედრაში გააზრებულად ითამაშეს, ტემპიანი შეტევები, ლამაზი კალათბურთი უჩვენეს გულშემატკივარს, დღეს კი ბევრი გვანერვიულეს: ლატვია ზონურ დაცვა მიმართავდა და ჩვენმა კალათბურთელებმა ხშირ შემთხვევაში მისი გარღვევა ვერ მოახერხეს, ზონური დაცვის საწინააღმდეგო კომბინაციები ნაკლებად ეფექტური იყო, ვიდრე სხვა დროს, ამიტომაც გაუჭირდათ მოგება. ანგარიშში დიდ სხვაობას მეორე-მესამე მეოთხედებში ინდივიდუალური თამაშის წყალობით მივაღწიეთ. ბალტიისპირელები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ გააზრებული, ტაქტიკური თამაშით და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ამიტომ მათ წინააღმდეგ სხვაგვარი თამაშია საჭირო, რაც განმეორებითი მატჩისთვის უნდა გავითვალისწინოთ.

**ვაჟა გვანცელაძე:** სსრკ ჩემპიონი, ექიმი აკადემიკოსი: ლატვიელ კალათბურთელებს უმდიდრესი ტრადიცია აქვთ. მათთან ჩვენი დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო იყო. სტაჟიან ქომაგებს, ალბათ, ახსოვთ, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე სამმა ქართველმა ხუთ ლატვიელს რომ აჯობა. ეს ყველაფერი ისტორიაა. დღეს სხვა სიტუაციაა, თუმცა სკოლას მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბალტიისპირელები კარგ კალათბურთს აჩვენებენ, მაგრამ ჩვენი გუნდი არაფრით ჩამორჩება: მეტიც - უფრო გამოცდილი და ძლიერი მოთამაშეები გვყავს, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ გაისად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ვიქტორ სანიკიძე

## უცხოური ფეხბურთი

### იტალია. სერია A | ტურის წინ



# ისევ იუვე?

**იტალიის ჩემპიონატი ტრადიციული ალიაქოთით იწყება: კალჩო სკანდალებს ვერც ამ ზაფხულს გადაურჩა. ტოპ-ფავორიტი, რა თქმა უნდა, მოქმედი ჩემპიონი „იუვენტუსია". „ბებერი ქალბატონის" სტატუსზე ვერც გუნდის მთავარი მწვრთნელის, ანტონიო კონტეს დისკვალიფიკაციამ იმოქმედა - არა მარტო იმიტომ, რომ ტურინელებმა „სკუდეტო" ნაუგებლად დაისაკუთრეს, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ „იუვეს" მთავარი კონკურენტები ჯეროვნად ვერ გაძლიერდნენ. 20-დან 4 გუნდი კი სეზონის სტარტს დაკლებული ქულებით ხვდება. ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია „სიენა", რომელიც სეზონს -6 ქულით იწყებს.**

| დღეს | |
|---|---|
| ფიორენტინა-უდინეზე | 20:00 |
| იუვენტუსი-პარმა | 22:45 |
| **ხვალ** | |
| მილანი-სამპდორია | 20:00 |
| ატალანტა-ლაციო | 22:45 |
| კიევო-ბოლონია | 22:45 |
| ჯენოა-კალიარი | 22:45 |
| პალერმო-ნაპოლი | 22:45 |
| პესკარა-ინტერი | 22:45 |
| რომა-კატანია | 22:45 |
| სიენა-ტორინო | 22:45 |

იტალიელი ექსპერტები იტალიის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად „იუვენტუსს" კიდევ ერთი, წონადი მიზეზის გამო მიიჩნევენ: ტურინელებმა ჩემპიონობა ხომ წაგების გარეშე მოიპოვეს და თანაც, ტრანსფერებში ყველაზე მეტი ფული, 45 მილიონი ევრო დახარჯეს. „იუვეს" ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გუნდში დაბრუნებული **სებასტიან ჯოვინკოა**, რომლის ტრანსფერი „პარმადან" 11 მილიონი დაჯდა, ხოლო ბრაზილიელ მცველ **ლუსიოში** („იუვეში" „ინტერიდან" გადავიდა) ტურინელებს ერთი ცენტიც არ გადაუხდიათ. მოკლედ, ჩემპიონმა დაცვაც გააძლიერა - არადა, გასულ სეზონში „იუვენტუსს" დაცვის საუკეთესო ხაზი ჰყავდა. კონტეს გუნდს უძვირფასესი ფეხბურთელი არ შეუძენია, თუმცა **მაურიოსიო ისლასა** და **კვადვო ასამოას** ტრანსფერებიც საკმაოდ ხმაურიანი იყო და გარდა ამისა, „იუვე" ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეებითაც (19 წლის **მასი**, 22 წლის **მარონე** და 19 წლის **პოგბა**) გაძლიერდა.

თუმცა ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ „იუვენტუსში" ყველაფერი იდეალურადაა. კონტეს 10-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს! მართალია, ანტონიო გააფთრებით იბრძვის და სასამართლოს გადაწყვეტილება ახლა უკვე მესამე ინსტანციაში (იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი) გაასაჩივრა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 43 წლის სპეციალისტს მაინც არ დაინდობენ - მაქსიმუმ, დისკვალიფიკაცია ოდნავ შეუმცირონ.

ტურინული გრანდის ხელმძღვანელები ამის გამო განრისხებულები არიან: პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სპორტული სასამართლო „იუვენტუსისადმი" ბარბაროსულ მიდგომაში დაადანაშაულა და თქვა, რომ იტალიურ ფეხბურთში ძირეული რეფორმაა საჭირო. აქვე შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური კომიტეტის სასამართლო კონტეს საქმეს სექტემბრის დასაწყისში განიხილავს.

### მილანური გრანდები კითხვის ნიშნებით

„იუვენტუსის" მთავარ კონკურენტებად, რა თქმა უნდა, მილანური გრანდები, „ინტერი" და „მილანი" მოიაზრებიან, მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ნერაძურისა" და „როსონერის" ხელმძღვანელების მხრიდან „იუვესკენ" მიმართული მუქარა ჯერ არ ისმის. პრინციპში, ეს არცაა გასაკვირი, რადგან „ინტერშიცა" და „მილანშიც" გადახალისების პროცესი მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით „მილანს" ეხება - წინა სეზონთან შედარებით, „როსონერის" შემადგენლობა ველარ იცნობა! **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ტიაგო სილვა** პსჟ-ში გადავიდნენ, **ანტონიო კასანომ** „ინტერს" მიაშურა, ხოლო **კლარენს ზეედორფის, ფილიპო ინძაგის, ალესანდრო ნესტასა** და **ჯენარო გატუზოს** სახით კი გუნდი ისეთმა მოთამაშეებმა დატოვეს, რომლებიც „როსონერიში" ამინდს დაახლოებით ათი წლის მანძილზე ქმნიდნენ.

ახალწვეულთაგან პატივისცემას მხოლოდ **ჯამპაოლო პაცინი** იმსახურებს. ექსკიეველი **აკერბი** კი კარგი მცველია, მაგრამ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. „მილანს" გაყიდული ფეხბურთელებიდან დიდი ფული შეუვიდა და „როსონერის" ფანებს იმედი აქვთ, რომ **ადრიანო გალიანი** აგვისტოს ბოლომდე ერთ სუპერვარსკვლავს მაინც გადაიბირებს. ტიფოზები **კაკას** დაბრუნებაზე ოცნებობენ, რომელიც „მილანის" ღირსებას 2001-დან 2009 წლამდეც იცავდა.

„ინტერს" 2005 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი სეზონი ჰქონდა და თამამად შეიძლება ითქვას, კლუბის ბატონ-პატრონ **მასიმო მორატის** ჯერჯერობით ისეთი არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს. მეკარე **ჰანდანოვიჩი** („უდინეზედან" გადაიბირეს) და თავდამსხმელი **პალასიო** (ჯენოადან) კარგი ფეხბურთელები არიან და ძვირი ღირდა **გუარინიც** („პორტუდან" საბოლოოდ შეისყიდეს), მაგრამ ინტერისტები უფრო სუპერვარსკვლავებს ელოდნენ. მორატიმ **ანდრეა სტრამაჩონი** მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვა. ვნახოთ, როგორ გაამართლებს 37 წლის სპეციალისტი, რომელიც „ინტერს" მარტიდან უდგას სათავეში.

### ახალი მწვრთნელები მარადიულ ქალაქში

სამაგიეროდ, რომაულ კლუბებს ახალი დამრიგებლები ჰყავთ. „ლაციალეში" **ედი რეია ვლადიმირ პეტკოვიჩმა** შეცვალა. მართალია, რეიამ „ლაციო" ზედიზედ ორჯერ გაიყვანა ევროტურნირებზე, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებთან უთანხმოება ჰქონდა და უმუშევარი დარჩა. პეტკოვიჩი კი ხორვატი სპეციალისტია, რომელიც ბოლოს შვეიცარიულ „სიონს" წვრთნიდა და ცნობილია, რომ შემტევი ფეხბურთი უყვარს.

„რომაში" **ლუის ენრიკეზე** უდიდეს იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ 42 წლის სპეციალისტმა მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა და გაუშვეს. „ჯალოროსის" შეფებმა მორიგ ექსპერიმენტზე უარი თქვეს და მწვრთნელად „ბებერი მგელი" **ზდენეკ ზემანი** დანიშნეს, რომელიც „რომას" 1997-დან 1999 წლამდეც ავარჯიშებდა. 65 წლის ზემანიც შემტევი ფეხბურთის მოყვარული და, ამავდროულად, „იუვენტუსის" დიდი მოძულეა. ამრიგად, ლოგიკურად, რომაელებმა არაერთი კარგი სპექტაკლი უნდა შემოგვთავაზონ.

### თავდაჯერებული ნაპოლი, ამბიციური უდინეზე

მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლიში" „ფანტასტიკური ტრიო" (**ლავეცი, ჰამშიკი, კავანი**) დაიშალა, ნეაპოლელები ახალ სეზონს მაინც დიდი იმედებით ხვდებიან. ესეკილ ლავეცი პსჟ-ში წავიდა, ედინსონ კავანისაც ბევრი მთხოვნელი ჰყავს. სამაგიეროდ, **პანდევი** და **ვარგასი** სრულფასოვანი ნეაპოლელები გახდნენ. მნიშვნელოვანი ახალწვეულია **ბეჰრამიც**. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგაში კარგმა გამოსვლამ და ზოგადად ბოლოდროინდელმა წარმატებებმა „ნაპოლის" თავდაჯერება შემატეს.

იგივე უნდა ვთქვათ „უდინეზეზეც" - გუნდზე, რომელმაც წინა სეზონში მესამე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპთან ძალიან ახლოსაა. თუმცა მწვრთნელმა **ფრანჩესკო გვიდოლინიმ** ჰანდანოვიჩის, ისლასა და ასამოას სახით სამი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი დაკარგა. რაც მთავარია, გუნდში დარჩა 35 წლის **ანტონიო დი ნატალე** და მეტიც: ვეტერანმა გოლეადორმა და კაპიტანმა უდინურ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე გაახანგრძლივა.

### მინუსიანები

გენუის „სამპდორიასა" და „ტორინოს" სახით სერია A-ში ორი, უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდი დაბრუნდა, მაგრამ სეზონს ორივე მათგანი -1 ქულით იწყებს. სწორედ მანიპულირებულ მატჩებში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა გახდა ბერგამოს „ატალანტასთვის" 2 ქულის დაკლების მიზეზიც. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში კი ამ მხრივ „სიენაა": -6 ქულა. „პესკარა" ელიტაში 20-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა.

დღეს ორი მატჩია - ორივე საინტერესო. საღამოს „ფიორენტინა" „უდინეზეს" მასპინძლობს, მოგვიანებით კი კონტეს გარეშე დარჩენილ და მნიშვნელოვნად გაძლიერებულ „იუვენტუსსაც" ვნახავთ - ტურინელები „პარმას" ხვდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯოვინკო ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ითამაშებს. ამ უკანასკნელმა არაერთხელ აღნიშნა, მე-10 ნომრით თამაში ჩემთვის უდიდესი გამოწვევა იქნებოდაო, მაგრამ **ალესანდრო დელ პიეროს** ნომერი „იუვეში" თავისუფალია, ჯოვინკო კი მე-12 ნომრითაა რეგისტრირებული. ჰო, მართლა: „იუვენტუსში" ახალი ერა იწყება - ერა დელ პიეროს გარეშე...

**გოტფრიდ ლენცი**

### იტალია. სერია A 2012/2013 განაცხადები

ეროვნული ბიბლიოთეკა

#### ატალანტა

**დაარსდა:** 1907
**სტადიონი:** ატლეტი აძური

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 47. ანდრეა კონსილი | 1987 |
| 78. ჯორჯო ფრეძოლინი | 1976 |
| **მცველები** | |
| 2. გულიერმო სტენდარდო | 1981 |
| 3. სტეფანო ლუკინი | 1980 |
| 4. დანიელე კაპელი | 1986 |
| 5. ტომას მანფრედინი | 1980 |
| 6. ჯამპაოლო ბელინი | 1980 |
| 13. ფედერიკო პელუზო | 1984 |
| 25. ანდრეა მაზიელო | 1986 |
| 55. დავიდ ბრივიო | 1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| მუსა კონე (კოტ დივუარი) | 1990 |
| ივან რადოვანოვიჩი (სერბეთი) | 1988 |
| ლეონარდო პეტინარი | 1986 |
| 7. ესეკელ სკელოტო | 1989 |
| 10. ჯაკომო ბონავენტურა | 1989 |
| 11. მაქსიმილიანო მორალესი (არგენტინა) | 1987 |
| 15. ლუკა ჩიგარინი | 1986 |
| 17. კარლოს კარმონა (ჩილე) | 1987 |
| 44. რიკარდო კაცოლა | 1985 |
| 77. კრისტიან რაიმონდი | 1981 |
| 79. ფერეირა პინტუ (ბრაზილია) | 1979 |
| **თავდამსხმელები** | |
| 19. ხერმან დენისი (არგენტინა) | 1981 |
| 28. მანოლო გაბიადინი | 1991 |
| 89. გუიდო მარილუნგო | 1989 |
| 90. სიმონე ტირიბოკი | 1978 |
| 99. ფაკუნდო პარა (არგენტინა) | 1985 |

**მწვრთნელი:** სტეფანო კოლანტუონო

#### ბოლონია

**დაარსდა:** 1909
**სტადიონი:** რენატო დალარა

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ჯანლუკა კურჩი | 1985 |
| 25. ფედერიკო ალიარდი | 1983 |
| 32. დეან სტოიანოვიჩი | 1993 |
| 44. ფილიპო ლომბარდი | 1990 |
| **მცველები** | |
| 3. არკიმედე მორლეო | 1983 |
| 5. მიკაელ ანტონსონი (შვედეთი) | 1981 |
| 8. გერგი გარიში (ავსტრია) | 1984 |
| 11. მარკო მოტა | 1986 |
| 14. ჩეზარე ნატალი | 1979 |
| 15. სიმონე ლორია | 1976 |
| 21. სალვატორე კარუზინი | 1986 |
| 43. ფედერიკო სორენსენი (დანია) | 1992 |
| 45. როჟერ კარვალიო (ბრაზილია) | 1986 |
| 90. დანიელე პორტანოვა | 1978 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. რენე კრჰინი (სლოვენია) | 1990 |
| 6. საფირ ტაიდერი (საფრანგეთი) | 1992 |
| 10. გასტონ რამირესი (ურუგვაი) | 1990 |
| 12. ანდრეა პიზანუ | 1982 |
| 13. ნიკო პულცეტი | 1984 |
| 14. ანდრეა პიზანო | 1982 |
| 15. დიეგო პერესი (ურუგვაი) | 1980 |
| 16. ფედერიკო კაზარინი | 1989 |
| 17. ტიბერიო გუარენტე | 1985 |
| 28. მარტი რივეროლა | 1991 |
| 44. ალესანდრო მარკი | 1989 |
| **თავდამსხმელები** | |
| 88. მასიმო კოდა | 1988 |
| 77. კრისტიან პასკუატო | 1989 |
| 19. ფედერიკო როდრიგესი (ურუგვაი) | 1991 |
| 20. ანრი ჰიმენესი (ურუგვაი) | 1986 |
| 23. ალესანდრო დიამანტი | 1983 |
| 35. დანიელე პაპონი | 1988 |
| 99. როზერტ აკვაფრესკა | 1987 |

**მწვრთნელი:** სტეფანო პიოლი

#### კალიარი

**დაარსდა:** 1920
**სტადიონი:** სანტ ელია

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| რიკარდო ანენდა | 1993 |
| 1. მიკელე აგაცი | 1984 |
| 25. ვლადა ავრამოვი (სერბეთი) | 1979 |
| **მცველები** | |
| ლუკა როსეტინი | 1985 |
| დანილო აველარი (ბრაზილია) | 1989 |
| 3. ლორენცო არიუდო | 1989 |
| 13. დავიდე ასტორი | 1987 |
| 14. ფრანჩესკო პიზანო | 1986 |
| 24. გაბრიელე პერიკო | 1984 |
| 29. ნიკოლო მურუ | 1994 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. რაჯა ნაინგოლანი (ბელგია) | 1988 |
| 5. დანიელე კონტი | 1979 |
| 7. ანდრეა კოსუ | 1980 |
| 16. სებასტიან ერიქსონი (შვედეთი) | 1989 |
| 20. ალბინ ეკდალი (შვედეთი) | 1989 |
| 27. დანიელე დესენა | 1987 |
| 32. პაობლო სეპელინი (ურუგვაი) | 1991 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. ხოაკინ ლარივეი (არგენტინა) | 1984 |
| 18. მიგელ ნენე (ბრაზილია) | 1983 |
| 19. ტიაგო რიბეირო (ბრაზილია) | 1986 |
| 23. ვიქტორ იბარბო (კოლუმბია) | 1990 |
| 51. მაურისიო პინილია (ჩილე) | 1984 |

**მწვრთნელი:** მასიმილიანო ფიკადენტი

#### კატანია

**დაარსდა:** 1946
**სტადიონი:** ანჯელო მასიმო

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ალბერტო ფრიზონი | 1988 |
| 21. მარიანო ანდუხარი (არგენტინა) | 1983 |
| 29. პიეტრო ტერაჩანო | 1990 |
| **მცველები** | |
| 2. ალესანდრო პოტენცა | 1984 |
| 3. ნიკოლას სპოლი (არგენტინა) | 1983 |
| 6. ნიკოლა ლეგროტალიე | 1976 |
| 12. ჯოვანი მარკეზე | 1984 |
| 14. ჯუზეპე ბელუში | 1989 |
| 33. ჩირო კაპუანო | 1981 |
| 44. პაბლო ალვარესი (არგენტინა) | 1984 |
| 55. ბლაცეი აუგუსტინი (პოლონეთი) | 1988 |
| **ნახევარმცველები** | |
| 4. სერხიო ალმირონი (არგენტინა) | 1978 |
| 7. დავიდე ლანცაფამე | 1987 |
| 10. ფრანჩესკო ლოდი | 1984 |
| 13. მარიანო ხულიო ისკო (არგენტინა) | 1983 |
| 16. ეზეკილ ლიამა (არგენტინა) | 1986 |
| 17. ალეხანდრო დარიო გომესი (არგენტინა) | 1988 |
| 19. ლუკას კასტრო (არგენტინა) | 1989 |
| 23. ფედერიკო მორეტი | 1988 |
| 27. მარკო ბიაჯანტი | 1984 |
| 28. პაბლო ბარენტოსი (არგენტინა) | 1985 |
| 30. ამიდუ სალიფუ (განა) | 1992 |
| 99. ადრიან რიკიუტი | 1978 |
| **თავდამსხმელები** | |
| 15. ტაკაიუკი მორიმოტო (იაპონია) | 1988 |
| 25. მირკო ანტენუჩი | 1984 |
| 35. სულეიმან დუკარა (საფრანგეთი) | 1991 |
| 18. გონსალო ბერგესიო (არგენტინა) | 1984 |
| 33. ანდრეა კატელანი | 1988 |

**მწვრთნელი:** როლანდო მარანი

#### კიევო

**დაარსდა:** 1923
**სტადიონი:** მარკანტონიო ბენტეგოდი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. კრისტიან პუჯონი | 1981 |
| 18. ლორენცო სკუიცი | 1974 |
| 54. სტეფანო სორენტინო | 1979 |
| **მცველები** | |
| 2. დარიო დანიელი | 1979 |
| 3. მარკო ანდრეოლი | 1986 |
| 4. სანტიაგო მორერო (არგენტინა) | 1982 |
| 12. ბასტიან ცეზარი (სლოვენია) | 1982 |
| 13. ბოიან იოკიჩი (სლოვენია) | 1986 |
| 20. ჯენარო სარდო | 1979 |
| 21. ნიკოლას ფრეი (საფრანგეთი) | 1984 |
| 33. პაულ პაპი (რუმინეთი) | 1989 |
| 50. ალესანდრო ბასოლი | 1990 |
| 93. ბუკარი დრამე (სენეგალი) | 1985 |
| **ნახევარმცველები** | |
| 5. სიმონე ბენტივოლიო | 1985 |
| 8. პაულო დურანდი (პერუ) | 1984 |
| 10. ლუჩანო დე ოლივეირა (ბრაზილია) | 1975 |
| 14. ისააკ კოფიე (განა) | 1991 |
| 16. მარკო რიგონი | 1980 |
| 55. როზერტო გუანა | 1981 |
| 22. ფრანჩესკო დეტორი | 1983 |
| 25. კამილ ვაცეკი (ჩეხეთი) | 1987 |
| 56. პერპარიმ ჰეტემაი (ფინეთი) | 1986 |
| 66. ლუკა რიგონი | 1984 |
| **თავდამსხმელები** | |
| 9. დავიდე მოსკარდელი | 1980 |
| 11. მარკოს არიელ დე პაოლა (ბრაზილია) | 1983 |
| 17. დავიდ დი მიკელიე | 1976 |
| 23. ალბერტო პალოსკი | 1990 |
| 31. სერჯო პელისიერი | 1979 |
| 39. ადრიან სტოიანი (რუმინეთი) | 1991 |
| 77. ძარილ თერეუ (საფრანგეთი) | 1983 |

**მწვრთნელი:** დომენიკო დი კარლო

#### ფიორენტინა (ფლორენცია)

**დაარსდა:** 1926
**სტადიონი:** არტემიო ფრანკი

| | |
|---|---|
| **მეკარეები** | |
| 1. ემილიანო ვივიანო | 1985 |
| 43. ლუკა ლაცერინი | 1995 |
| 89. ნორბერტო ნეტო (ბრაზილია) | 1979 |
| **მცველები** | |
| ფაკუნდო რონკალია (არგენტინა) | 1987 |
| გონსალო როდრიგესი (არგენტინა) | 1984 |
| 15. მატია ნასტასიჩი (სერბეთი) | 1993 |
| 16. მატია კასანი | 1983 |
| 19. ფელიპე (ბრაზილია) | 1984 |
| 23. მანუელ პასკუალი | 1982 |
| 31. მიკელე კამპორეზე | 1992 |
| 38. ნიი აშონგი (განა) | 1994 |
| 92. სოუზა რომულო (ბრაზილია) | 1992 |
| **ნახევარმცველები** | |
| მასიმილიანოა ტადეი | 1991 |
| 5. ფრანჩესლო დელა როკა | 1983 |
| 6. ხუან მანუელ ვარგასი (პერუ) | 1983 |
| 7. ალესიო ჩერჩი | 1987 |
| 10. ალბერტო აკვილანი | 1984 |
| 11. ხუან კუადრადო (კოლუმბია) | 1988 |
| 14. მატიას ფერნანდესი (ჩილე) | 1986 |
| 20. ბორხა ვალერო (ესპანეთი) | 1985 |
| 21. ანდრეა ლაძარი | 1984 |
| 22. ადემ ლიაჩი (სერბეთი) | 1991 |
| 26. დავიდ პისარო (პერუ) | 1979 |
| 90. რუბენ ოლივერა (ურუგვაი) | 1983 |

# იტალია. სერია A 2012/2013. განაცხადები

**თავდამსხმელები**

კენეტ ზოხორე (დანია) 1994
მატიას ლეპილიე (საფრანგეთი) 1988
8. სტევან იოვეტიჩი (ჩერნოგორია) 1989
9. მუნირ ელ ჰამდაუი (მაროკო) 1984
17. ჰარის სეფეროვიჩი (შვეიცარია) 1992

**მწვრთნელი:** ვინჩენცო მონტელა

## ჯენოა (გენუა)

**დაარსდა:** 1893
**სტადიონი:** ლუიჯი ფერარისი

**მეკარეები**

1. სებასტიან ფრეი 1980
73. ალესიო სკარპი 1973

**მცველები**

ნენად ტომოვიჩი (სერბეთი) 1987
სტივ ფონ ბერგენი (შვეიცარია) 1983
5. ანდრეას გრანკვისტი 1985
20. ჯანდომენიკო მესტო 1982
21. ჩეზარე ბოვო 1983
23. ლუკა ანტონელი 1987
24. ემილიანო მორეტი 1981
32. ალბერტო მარკორი 1993

**ნახევარმცველები**

ალექსანდრ მერკელი (გერმანია) 1992
ანსელმო (ბრაზილია) 1989
ანდრეა ბერტოლაჩი 1991
7. მარკო როსი 1978
10. ვალტერ ბირსა (სლოვენია) 1986
16. იურაი კუჩკა (სლოვაკეთი) 1987
19. კრისტობალ ხორკერა (ჩილე) 1988
31. მარიო სამპირიზი 1992
88. დავიდე ბიონდინი 1983
93. სტეფანო სტურარო 1993

**თავდამსხმელი**

17. ჩირო იმობილე 1990
9. ჟასი დე ალმეიდა (ბრაზილია) 1987
71. ბოშკო იანკოვიჩი (სერბეთი) 1984
82. ალბერტო ჯილარდინო 1982

**მწვრთნელი:** ლუიჯი დე კანიო

## ინტერი (მილანი)

**დაარსდა:** 1908
**სტადიონი:** ჯუზეპე მეაცა

**მეკარეები**

ჟულიო სეზარი (ბრაზილია) 1979
1. სამირ ჰანდანოვიჩი (სლოვენია) 1984
12. ლუკა კასტელაცი 1975
27. ვიდ ბელეჩი (სლოვენია) 1990

**მცველები**

ალვარო პერეირა (ურუგვაი) 1985
4. ხავიერ ძანეტი (არგენტინა) 1973
6. მატიას სილვესტრე (არგენტინა) 1984
13. დუგლას მაიკონი (ბრაზილია) 1981
23. ანდრეა რანოკია 1988
24. ნელსონ რივასი (კოლუმბია) 1983
25. ვალტერ სამუელი (არგენტინა) 1978
26. კრისტიან კივუ (რუმინეთი) 1980
33. იბრაჰიმ მბაიე (სენეგალი) 1994
40. დავიდე სანტონი (ბრაზილია) 1991
42. ჟონათანი (ბრაზილია) 1986
44. მატეო ბიანკეტი 1993
55. იუტო ნაგატომო (იაპონია) 1986

**ნახევარმცველები**

ვალტერ ტარგანო (ურუგვაი) 1984
5. დეიან სტანკოვიჩი (სერბეთი) 1978
10. ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია) 1984
11. რიკარდო ალვარესი (არგენტინა) 1988
14. ფრედი გუარინი (კოლუმბია) 1986
16. გაბი მუდინგაი (ბელგია) 1981
17. მაკდონალდ მარიგა (კენია) 1987
19. ესტებან კამბიასო (არგენტინა) 1980
20. ჟოელ ობი (ნიგერია) 1991
24. მარკო ბენასი 1994
29. ფილიპე კოუტინიო (ბრაზილია) 1992
41. ჯოზეფ ალფრედ დუნკანი (განა) 1993

**თავდამსხმელები**

8. როდრიგო პალასიო (არგენტინა) 1982
22. დიეგო მილიტო (არგენტინა) 1979
81. სამუელე ლონგო 1992
88. მარკო ლივაია (ხორვატია) 1993
99. ანტონიო კასანო 1982

**მწვრთნელი:** ანდრეა სტრამაჩონი

## იუვენტუსი (ტურინი)

**დაარსდა:** 1897 წელს
**სტადიონი:** ოლიმპიკო

**მეკარეები**

1. ჯანლუიჯი ბუფონი 1978
13. ნიკოლა ლეალი 1993
32. მარკო სტორარი 1977

**მცველები**

2. ლუსიო (ბრაზილია) 1978
3. ჯორჯო კიელინი 1984
4. მარტინ კასერესი (ურუგვაი) 1987
5. ალბერტო მაზი 1992
11. პაულო დე ჩელიე 1986
15. ანდრეა ბარძალი 1981
16. რეტო ციგლერი (შვეიცარია) 1986
19. ლეონარდო ბონუჩი 1987
26. სტეფან ლიხტშტაინერი (შვეიცარია) 1984

**ნახევარმცველები**

მიკელე პაციენცა 1982
6. პოლ პოგბა (საფრანგეთი) 1993
7. სიმონე პეპე 1983
8. კლაუდიო მარკიზიო 1986
20. სიმონე პადოინი 1984
21. ანდრეა პირლო 1979
22. კვადვო ასამოა (განა) 1988
23. არტურ ვიდალი (ჩილე) 1987
33. მაურიციო ისლა (ჩილე) 1988
39. ლუკა მარონე 1990

**თავდამსხმელები**

ვინცენცო იაკვინტა 1979
რიჩმონდ ბუაჩი (განა) 1993
12. სებასტიან ჯოვინკო 1987
14. მირკო ვუჩინიჩი (ჩერნოგორია) 1983
18. ფაბიო კვალიარელა 1983
24. ემანუელე ჯაკერინი 1985
32. ალესანდრო მატრი 1984

**მწვრთნელი:** ანტონიო კონტე

## ლაციო (რომი)

**დაარსდა:** 1900 წელს
**სტადიონი:** ოლიმპიკო

**მეკარეები**

ხუან პაბლო კარიცო (არგენტინა) 1984
1. ალბანო ბისარი 1977
16. ალესანდრო ბერარდი 1991
83. ფედერიკო მარკეტი 1983

**მცველები**

ლუის პედრო კავანდა (ბელგია) 1990
3. ანდრე დიასი (ბრაზილია) 1079
5. სებასტიან სკალონი (არგენტინა) 1978
14. ხავიერ გარიდო (ესპანეთი) 1985
20. ჯუზეპე ბიავა 1977
21. მადიბო დიაკიტე (საფრანგეთი) 1987
26. სტეფან რადუ (რუმინეთი) 1986
29. აბდულაი კონკო (საფრანგეთი) 1984
33. მარიუს სტანკიავიჩუსი (ლიტვა) 1981
78. ლუჩანო ძაური 1978

**ნახევარმცველები**

ედერსონი (ბრაზილია) 1986
პასკუალე ფოჯა 1983
6. სტეფანო მაური 1980
8. ანდერსონ ერნანესი (ბრაზილია) 1985
11. ფრანსისკო მათუზალემი (ბრაზილია) 1980
15. ალვარო გონსალესი (ურუგვაი) 1984
19. სენად ლულიჩი (ბოსნია) 1986
24. კრისტიან ლედესმა 1982
27. ლორიკ კანა (ალბანეთი) 1983
32. კრისტიან ბროკი 1976
87. ანტონიო კანდრევა 1987

**თავდამსხმელები**

სერჯო ფლოკარი 1981
9. ტომაზო როკი 1977
10. მაურო სარატე (არგენტინა) 1987
18. ლიბორ კოზაკი (ჩეხეთი) 1989
25. მიროსლავ კლოზე (გერმანია) 1978
30. ემილიანო ალფარო (ურუგვაი) 1988

**მწვრთნელი:** ვლადიმირ პეტკოვიჩი

## მილანი

**დაარსდა:** 1899
**სტადიონი:** ჯუზეპე მეაცა

**მეკარეები**

1. მარკო ამელია 1982
12. კრისტიან აბიატი 1977
59. ფერეირე გაბრიელი (ბრაზილია) 1992

**მცველები**

დიდაკი (ესპანეთი) 1989
კრისტიან ედუარდო საპატა (კოლუმბია) 1986
2. მატიე დე შილო 1992
5. ფილიპ მექსე (საფრანგეთი) 1982
13. ფრანჩესკო ა ჩერბი 1988
15. ჯამელ მესბა (ალჟირი) 1984
20. ინაციო აბატე 1986
25. დანიელე ბონერა 1981
76. მარიო იეპესი (კოლუმბია) 1976
77. ლუკა ანტონინი 1982

**ნახევარმცველები**

4. სალი მუნტარი (განა) 1984
8. ანტონიო ნოჩერინო 1985
10. კევინ პრინს ბოატენგი (განა) 1987
12. ბაკაიე ტრაორე (საფრანგეთი) 1985
14. რუდნი სტრასერი (სიერა ლეონე) 1990
16. მატია ფლამინი (საფრანგეთი) 1984
18. რიკარდო მონტოლივო 1985
21. კევინ კონსტანი (საფრანგეთი) 1987
23. მასიმო ამბროზინი 1977
28. ურბი ემანუელსონი (ჰოლანდია) 1986
57. მატია ვალოტი 1993

**თავდამსხმელები**

9. ალეშანდრე პატო (ბრაზილია) 1989
11. ჯამპაულო პაცინი 1984
70. რობინიო (ბრაზილია) 1984
92. სტეფან ელ შაარავი 1992

**მწვრთნელი:** მასიმილიანო ალეგრი

## ნაპოლი (ნეაპოლი)

**დაარსდა:** 1926
**სტადიონი:** სან პაოლო

**მეკარეები**

1. მორგან დე სანქტისი 1977
15. რობერტო კოლომბო 1975
83. ანტონიო როზატი 1983

**მცველები**

ლეანდრო რინაუდო 1983
2. ჯანლუკა გრავა 1977
6. სალვატორე არონიკა 1978
8. ანდრეა დოსენა 1891
14. არმანდო კამპანიარო (არგენტინა) 1980
16. ხუან კამილო სუნიგა (კოლუმბია) 1985
21. ფედერიკო ფერნანდესი (არგენტინა) 1989
28. პაოლო კანავარო 1981
55. ალესანდრო გამბერინი 1981
85. მანუელ ბრისტოსი (ურუგვაი) 1985

**ნახევარმცველები**

11. კრისტიან მაჯო 1982
17. მარეკ ჰამშიკი (სლოვაკეთი) 1987
20. ბლერიმ ჯემაილი (შვეიცარია) 1986
34. მარკო დონადელი 1983
85. ვალონ ბერამი (შვეიცარია) 1985
88. გოკჰან ინლერი (შვეიცარია) 1988

**თავდამსხმელები**

7. ედინსონ კავანი (ურუგვაი) 1987
9. ედუარდო ვარგასი (ჩილე) 1989
19. გორან პანდევი (მაკედონია) 1983
24. ლორენცო ინსინიე 1991

**მწვრთნელი:** ვალტერ მაძარი

## პალერმო

**დაარსდა:** 1898
**სტადიონი:** რენცო ბარბერა

**მეკარეები**

1. სამირ უიკანი (ალბანეთი) 1988
12. ჯაკომო ბრიკეტო 1983
99. ფრანჩესკო ბენუსი 1981

**მცველები**

მიშელ მორგანელა (შვეიცარია) 1989
2. ანდრეა მანტოვანი 1984
4. მატეო კეტო (არგენტინა) 1982
6. ესეკიელ მუნიოზი (არგენტინა) 1990
15. მილან მილანოვიჩი (სერბეთი) 1991
18. კარლოს ლაზრინი (ჩილე) 1990
29. სანტიაგო გარსია (არგენტინა) 1988
31. ეროს პიზანო 1987

**ნახევარმცველები**

ალვარო რიოსი (ურუგვაი) 1982
3. ლუკა დი მატეო 1988
5. ედგარ ოსვალდო ბარეტო (პარაგვაი) 1984
7. ნიკოლას ვიოლა 1989
8. ჯულიო მილიაჩო 1081
14. ნიკოლას ბარტოლო (არგენტინა) 1986
16. ერნან ზაჰავი (ისრაელი) 1987
17. ფრანკო ვასკესი (არგენტინა) 1989
21. ფრანკო ბრიენცა 1979
23. მასიმო დონატი 1981
26. იგნასიო ლორესი (ურუგვაი) 1991
27. იოსიპ ილიჩიჩი (სლოვენია) 1988
28. იასმინ კურტიჩი (სლოვენია) 1989

**თავდამსხმელები**

პაულო დიბალა (არგენტინა) 1993
9. აბელ ერნანდესი (ურუგვაი) 1990
10. ფაბრიციო მიკოლი 1979
19. იგორ ბუდანი (ხორვატია) 1980
24. აგონ მეჰმეტი (შვედეთი) 1989

**მწვრთნელი:** ჯუზეპე სანინო

## უდინეზე (უდინე)

**დაარსდა:** 1896 წელს
**სტადიონი:** ფრიული

**მეკარეები**

1. ჟელკო ბრკიჩი (სერბეთი) 1986
22. რაფაელ რომო (ვენესუელა) 1990
93. ვოიცეხ პავლოვსკი (პოლონეთი) 1993

**მცველები**

5. ლარანჯეირა დანილო (ბრაზილია) 1984
8. დუშან ბასტა (სერბეთი) 1984
11. მაურიციო დომიცი 1980
13. სერჯო პიკოლი (ბრაზილია) 1990
16. ანდრეა კოდა 1985
17. მეჰდი ბენატია (მაროკო) 1987
24. ჟოელ ეკსტრანდა (შვედეთი) 1989
26. ჯოვანი პასკუალე 1982
27. პაბლო არმერო (კოლუმბია) 1986
39. ჟან-ალენ ფანშონი (საფრანგეთი) 1988

**ნახევარმცველები**

მარკო დავიდე ფარაონი 1991
3. ალანი (ბრაზილია) 1991
7. ემანუელ ბადუ (განა) 1990
18. კრისტიან ბოტოკიო (არგენტინა) 1992
37. მაქსიმილიანო პერეირა (არგენტინა) 1991
66. ჯამპიერო პინცი 1981
77. მაიკოსუელი (ბრაზილია) 1986
88. ვილიანსი (ბრაზილია) 1986

**თავდამსხმელები**

9. პაულო ბარეტო (ბრაზილია) 1985
10. ანტონიო დი ნატალე 1977
24. ლუის ფერნანდო მიურელი (კოლუმბია) 1991
31. დიეგო ფაბრინი 1990

**მწვრთნელი:** ფრანჩესკო გვიდოლინი

## პარმა

**დაარსდა:** 1913 წელს
**სტადიონი:** ენიო ტარდინი

**მეკარეები**

1. ნიკოლა პავარინი 1974
83. ანტონიო მირანტე 1983
91. პავოი ბაჟზა (სლოვაკეთი) 1991

**მცველები**

3. ემილიო ვაშინგტონი (ურუგვაი) 1992
5. კრისტიან ძაკარდო 1981
6. ალესანდრო ლუკარელი 1977
13. ფაბიანო სანტაკროჩე 1986
18. მასიმო გობი 1980
28. იოან ბენალოუანე (საფრანგეთი) 1987
29. გაბრიელ პალეტა (არგენტინა) 1986
39. დავიდ ფიდელეფი (არგენტინა) 1989
87. ალესანდრო როზი 1987

**ნახევარმცველები**

4. სტეფანო მორონე 1978
7. ჯონათან ბიაბიანი (საფრანგეთი) 1988
10. ზაპატა ვალდესი (ჩილე) 1981
14. დანიელე გალოპა 1985
16. მარკო პაროლო 1985
17. რაფაელე პალადინო 1984
20. აფრი ასკუა (განა) 1992
19. ჯანლუკა მუსაჩი 1987
23. ფრანჩესკო მოდესტო 1982
77. სატირის ნინისი (საბერძნეთი) 1990

**თავდამსხმელები**

9. ისაკ ბელფოდილი (საფრანგეთი) 1992
11. კარვალიო ამაური (ბრაზილია) 1980
21. ნიკოლა სანსონე 1991
88. რიოს პაბონი (კოლუმბია) 1988
99. გრაციანო პელე 1985

**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი

## რომა (რომი)

**დაარსდა:** 1927 წელს
**სტადიონი:** ოლიმპიკო

**მეკარეები**

1. ბოგდან ლობონტი (რუმინეთი) 1978
24. მარტენ სტეკელენბურგი (ჰოლანდია) 1982
55. ტომას სვედკაუსკასი (ლიტვა) 1994

**მცველები**

2. ჟოაო სისინიო (ბრაზილია) 1980
5. ლეანდრო და სილვა (ბრაზილია) 1986
10. მარკოს მარკინიოსი (ბრაზილია) 1994
23. ივან პირისი (პარაგვაი) 1989
27. როდოლფო დოდო (ბრაზილია) 1992
29. ნიკოლას ბურდისო (არგენტინა) 1981
42. ფედერიკო ბალცარეტი 1981
46. ალესიო რომანიოლი 1994

**ნახევარმცველები**

4. მაიკლ ბრედლი (აშშ) 1987
8. ერიკ ლამელა (არგენტინა) 1992
11. როდრიგო ტადეი (ბრაზილია) 1980
15. მირალემ პიანიჩი (ბოსნია) 1990
16. დანიელე დე როსი 1983
20. სიმონე პეროტა 1977
38. ადრიან სტოიანი (რუმინეთი) 1991
47. ჯონატან ლუკა (ბრაზილია) 1994
48. ალესანდრო ფლორენცი 1991
77. პანაგიოტის ტაჩტიდისი (საბერძნეთი) 1991

**თავდამსხმელები**

9. დანიელ პაბლო ოსვალდო 1986
10. ფრანჩესკო ტოტი 1976
12. მარკო ბორიელო 1982
14. ბოიან კრკიჩი (ესპანეთი) 1990
17. ალონსო ლოპესი (ურუგვაი) 1993
22. მატია დესტრო 1991
26. ჯუნიორ ტალო (კოსტა რიკა) 1992

**მწვრთნელი:** ზდენეკ ზემანი

## სიენა

**დაარსდა:** 1904 წელს
**სტადიონი:** არტემიო ფრანკი

**მეკარეები**

12. სიმონე ფარელი 1993
23. ანდრეა კამპანიოლო 1978
25. ჯანლუკა პეგოლო 1981

**მცველები**

2. რობერტო ვიტიელო 1983
3. კრისტიანო დელ გროსო 1986
6. მარიანო ანჯელო (ბრაზილია) 1981
13. ლუკა როსეტინი 1985
15. პაოლო დელაფიორე 1985
17. ნიკოლა ბელმონტე 1987
19. კლაუდიო ტერცი 1984
22. მატეო კონტინი 1980
24. მასიმო პაჩი 1978
33. მატეო რუბინი 1987
99. ფელიპე დაიბელო (ბრაზილია) 1984

**ნახევარმცველები**

5. მანუელ კოდრეა (რუმინეთი) 1981
7. ფრანჩესკო ვალიანი 1980
8. სიმონე ვერგასოლა 1976
10. გაეტანო დაგოსტინო 1982
14. ალესანდრო ჰაცი 1983
16. ვალერიო ვერე 1994
17. პაოლო გროსი 1985
36. ფრანჩესკო ბოლცონი 1989
55. ფრანჩესკო პარავიჩინი 1982
70. დანიელე მანინი 1983
77. ჯენარო ტროიანიელო 1983

**თავდამსხმელები**

9. მიკელე პაოლუჩი 1986
7. ნიკოლო ჯანეტი 1991
11. ემანუელე კალაიო 1982
63. მარსელო ლარონდო (არგენტინა) 1988
81. ერიონ ბოგდანი (ალბანეთი) 1977

**მწვრთნელი:** სერსე კოსმი

## პესკარა

**დაარსდა:** 1936
**სტადიონი:** სტადიო ადრიატიკო

**მეკარეები**

22. ლუკა ანანია 1980
77. მატია პერინი 1992
99. ლუკა საველონი 1995

**მცველები**

2. დამიანო ძენონი 1983
5. მარკო კამპუანო 1988
6. მარკო რომანიოლი 1989
13. რიკარდო ბროსკო 1985
14. ანტონიო ბოლცანო 1988
15. ანტონიო ბოკეტი 1989
23. [illegible] (სერბეთი) 1984
25. [illegible] 1988
28. მარკო პეროტა 1992

**ნახევარმცველები**

4. ემანუელე კაშონე 1992
8. ბირკირ ბიარნასონ (ისლანდია) 1987
17. ვლადიმერ ვაისი (სლოვაკი) 1992
18. ჯუზეპე კოლუჩი 1989
19. ლუკას კიარეტი (ბრაზილია) 1989
20. მატი ნილსენი (დანია) 1989
21. რომულო ტონი (ბრაზილია) 1992
26. მანუე;ე ბლაზი 1980
55. ლუკა ბერარდოკო 1988
ალენ სტევანოვიჩი (სერბეთი) 1984
გასტონ ბრუგმანი (ურუგვაი) 1980
ალესანდრო კრეშენცი 1989

**თავდამსხმელები**

7. დანილო სოდიმო 1980
9. ელვის აბრუსკატო 1981
11. რიკარდო მანიერო 1985
80. ჯონატასი (ბრაზილია) 1988
90. ანტონიო რაგუზა 1990
99. ჯანლუკა კაპრარი 1987

**მწვრთნელი:** ჯოვანი სტროპა

## ტორინო

**დაარსდა:** 1906
**სტადიონი:** სტადიო კომუნალე

**მეკარეები**

1. ფრანსუა ჟილე (ბელგია) 1979
23. ლის გომისი 1989
93. ალფრედ გომისი 1993

**მცველები**

2. გილიერმო როდრიგესი (ურუგვაი) 1984
3. დანილო დამბროზიო 1988
5. ვალერიო დი ჩეზარე 1983
6. ანჯელო ოგბონა 1988
15. პაბლო კასერესი (ურუგვაი) 1989
17. სალვატორე მაზიელო 1985
25. კამილ გლიკი (პოლონეთი) 1978
36. მატეო დარმიანი 1989
53. მარკო მილიონირი 1992

**ნახევარმცველები**

4. მიგიენ ბაშა (შვეიცარია) 1987
7. მარიო სანტანა (არგენტინა) 1981
11. ზიაჯო პაგანო 1983
14. ალესანდრო გაცი 1980
19. ალენ სტევანოვიჩი (სერბეთი) 1984
20. ჯუზეპე ვივესი 1980
21. ნიკოლას მარტინი (არგენტინა) 1989
27. ჯუზეპე დე ფეუდისი 1983
77. სიმონე ვერდი 1992
94. ვილიან ბარგოსა (ბრაზილია) 1992

**თავდამსხმელები**

9. როლანდო ბიანკი 1983
10. ალესანდრო სგრინია 1980
24. ჯანლუკა სანსონე 1987
69. რიკარდო მეჯორინი 1985
93. აბუ დიაი (სენეგალი) 1993

**მწვრთნელი:** ურბანო კაირო

## სამპდორია (გენუა)

**დაარსდა:** 1946 წელს
**სტადიონი:** ლუიჯი ფერარისი

**მეკარეები**

1. ჟუნიორ და კოსტა (ბრაზილია) 1983
22. სერხიო რომერო (არგენტინა) 1987
30. დანიელე პადელი 1985
95. ვლადიმირო ფალკონე 1985

**მცველები**

3. ანდრეა კოსტა 1986
6. მასიმო ვოლტა 1988
7. პაოლო კასტელინი 1984
8. შკოდრან მუსტაფი (გერმანია) 1992
13. გაეტანო ბერარდი (შვეიცარია) 1988
18. ლოცკ ლაცკო (უნგრეთი) 1985
19. ლორენცო დე სილვესტრი 1988
28. დანიელე გასტალდელო 1983
35. ჯოვანი როსინი 1986

**ნახევარმცველები**

5. გარსია რენანი (ბრაზილია) 1987
11. ჯანი მუნარი 1990
12. ფერნანდუ ტისონე (არგენტინა) 1984
14. ფერნანდო მბა ოგიანგი (ესპანეთი) 1992
16. ანდრეა პოლი 1989
21. რობერტო სორიანო 1990
25. სენად კრსტიჩიჩი (სერბეთი) 1986
33. სავას გონცოლლუ (თურქეთი) 1988
93. ჯანლუკა სამპიეტრო 1993

**თავდამსხმელები**

9. ნიკოლა პოცი 1986
10. მაქსი ლოპესი (არგენტინა) 1984
23. ედერი 1986
29. ხუან იგნასიო (არგენტინა) 1992
98. მაურო იკარდი (არგენტინა) 1993

**მწვრთნელი:** ჯანლუკა ატცორი

ლაშა წიკლაური

ლელოს სტუმარი

# სტიქაროსანი ჩემპიონი

## შავდათუაშვილი: ევროპა და მსოფლიო მოსაგებია

საჭიდაოდ გასვლისას კიმონოს ჯვარს გადასახავდა და უფლის იმედი ჰქონდა... ღვთის რწმენა კი მყარადაა გამჯდარი მასში - სპორტისგან თავისუფალ დროს მშობლიური კარალეთის წმინდა სამების ეკლესიაში სტიქაროსნად მსახურობს. ამიტომ სჯეროდა ოლიმპიადაზე მიმავალს უფლის შეწევნისა და ამიტომ მიიჩნევს ამ სასწაულებრივ გამარჯვებას ღმერთის საჩუქრად.



დღეს „ლელოს" სტუმარია ქართული ძიუდოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი,** რომელიც რედაქციაში პირად მწვრთნელებთან - **ანზორ თენაძესა** და **ნიკო ბიბილაშვილთან** ერთად გვესტუმრა. ცხადია, საუბრის უმეტესი ნაწილი ოლიმპიურ თამაშებს დაეთმო, 20 წლის ჩემპიონმა კი ლონდონში ნაჩვენები შესაშური ჭიდაობის შემდეგ მრავალნანახი კაცისთვის შესაფერი, საქმიანი მსჯელობით და თავმდაბლობით მომგვხიბლა... იმედია, მას კვლავაც არაერთხელ ვიხილავთ საჩემპიონო კვარცხლბეკზე და მრავალჯერ გავიხარებთ მისი წარმატებით.

**- ლაშა, როგორია ცხოვრება ოლიმპიური ჩემპიონის რანგში, რა შეგრძნებაა ამხელა მწვერვალზე დგომა?**

-დიდი მადლობა ჩემს ყველა ქომაგს, მთელ საქართველოს - სრულად აქ ჩამოსვლის შემდეგ გავიაზრე, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, იმდენი სიყვარული, იმდენი სითბო და გახარებული თვალები ვნახე. აბსოლუტურად ყველას უხარია ეს წარმატება... ახლახან მე დარევაზლაშხიბათუმში მიგვიწვიეს „ვერის უბნის მელოდიებზე". იქ ორი პატარა ბიჭი მოვიდა, ძმები ყოფილან და გვითხრეს, სახლში სულ ვჭიდაობთ ერთმანეთში, ერთი შავდათუაშვილი ვართ, მეორე - ლაშხიო. ძალიან მიხარია ასეთი დახვედრა, ასეთი განწყობა... როცა ლონდონში ფინალი მოვიგე, იმას კი ვფიქრობდი, რომ ასე ადრეულ ასაკში ასეთი მიღწევა იშვიათია, მაგრამ ამ წარმატების რეალურ მნიშვნელობას საქართველოში მივხვდი. ოლიმპიადამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობაც კი არ მქონდა მიღებული, ეროვნულ ნაკრებში სულ რალაც ხუთი თვის გადასული ვიყავი და ამიტომ ძნელი იყო ამხელა შედეგზე ფიქრი. ახალგაზრდულში რაგინდ წარმატებული სპორტსმენი იყო, უფროსთა ნაკრები მაინც სულ სხვაა, ბევრად სერიოზული წინააღმდეგობაა და ბევრად რთულია აქ ჭიდაობა. ვფიქრობდი, 1-2 წელიწადი კიდევ დამჭირდება შედეგის მოსაპოვებლად-მეთქი, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოვიდა. ჯერლიცენზია მოვიპოვე შედარებით მალე, ხუთ თვეში... სხვათა შორის, სალიცენზიო ტურნირებში ნაჭიდავებიც არ მქონდა, ჩვენი ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა ზურაბ ცუსუფაშვილმა რომ შემაგულიანა, საგზურის აღება ძალიან იოლიაო და დამისახელა ოლიმპიადაზე წარმატებით ნაჭიდავები ჩემსავით ახალგაზრდა უცხოელი ფალავნები. ვუსმენდი და ვფიქრობდი, სათქმელად იოლია, მაგრამ როგორი გასაკეთებელია-მეთქი. მაშინ საგზურის მოპოვება რთულ საქმედ მეჩვენებოდა. მით უფრო, თითოეული შეჯიბრება, თითოეული ორთაბრძოლა წყვეტდა ლიცენზიის ბედს - ბევრი ტურნირი აღარ რჩებოდა და წაგების უფლება არ მქონდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად აეწყო და საგზურის მოპოვება მოსალოდნელზე ცოტა უფრო იოლი აღმოჩნდა.

**- როგორ ფიქრობთ, უფროსებში ასე ახალგადასულს მეტოქეები კარგად გიცნობდნენ?**

- ვფიქრობ, არ მიცნობდნენ, თუმცა ბევრთან ნაჭიდავები ვიყავი. მგონი, მათთვის ხელწამოსაკრავი არც მაშინ ვიყავი, ძირს არ მიგორავია. მოგვიანებით ავსტრიაში გავიარე შეკრება და ვირწმუნე, რომ რალაც შემეძლო. ეს რწმენა კიდევ უფრო გამიმყარა თბილისის თასის მოგებამ და ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლამ. იქ მსაჯებმა წამაგებინეს მეოთხედფინალში, თუმცა ამაში უფრო თავს ვიდანაშაულებ - მასპინძელს რომ მიემხრობოდნენ და არა მე, კი ვიცოდი და ვემზადებოდი ამისთვის, მაგრამ მაინც წავაგე. თუმცა ამანაც მომცა საკუთარი თავის რწმენა.

საერთოდ, შეჯიბრებაზე მიმავალმა მედალი წინასწარ არ უნდა დაგეგმო. მთავარია, შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინო და შენი ჭიდაობა იჭიდაო. თუ ამას შეძლებ, მაშინ წარმატება აუცილებლად მოვა. შეხვედრაზე გასვლისას არ უნდა იფიქრო მოწინააღმდეგის ტიტულებზე; იმაზე, ვინ დგას შენ წინ, რამდენად ძლიერი და წარმატებული სპორტსმენია. ოლიმპიადაზეც ამ პრინციპით ვმოქმედებდი და აქტიურობა, ის შემტევი სტილიც აქედან გამომდინარეობდა. როცა მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევ, ეს სერიოზული უპირატესობაა. მოწინააღმდეგეებიდან ზოგი იქნებ ფიზიკურად ძლიერი იყო, მაგრამ ჩემი სწრაფი ჭიდაობის გამო ვერ ასწრებდნენ ილეთის მომზადებას, ფიქრის საშუალება არ ჰქონდათ. მათთვის ფიქრი რომ მეცლია, მაშინ იმ შეხვედრებს ვერ მოვიგებდი.

**- გიორგი ვაზაგაშვილი ტრიბუნიდან აქტიურად გქომაგობდათ. თუ გესმოდათ მისი ან პეტერ ზაიზენბახერის ხმა?**

- მწვრთნელმა რაც უნდა გითხრას გარედან, შენ თუ არ ხარ მზად ჩემპიონობისთვის, ის ვერ შემოვა ტატამზე და შენს ნაცვლად ვერ იჭიდავებს. ინგლისური არ ვიცი, მაგრამ ზაიზენბახერი მამხნევებდა, როგორც შეეძლო, ვაზაგაშვილის ხმა კი კარგად მესმოდა და ვითვალისწინებდი. მან წინა დღესაც კარგად განმაწყო.

**- ტურნირის დღეს თქვენი განწყობა როგორი იყო? საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდით...**

- ჩემპიონობაზე წინასწარ არ უნდა იფიქრო. შენი გასაკეთებელი და დასამტკიცებელი შეჯიბრების დღეს უნდა დაამტკიცო. გამარჯვებაზე ან პრემიებზე წინასწარ თუ იფიქრებ, ეს ცუდად იმოქმედებს შენზე. ტურნირის დღე აბსოლუტურად განსხვავდება სხვებისგან.

**- თქვენთვის როგორი დღე იყო 29 ივლისი?**

- აბსოლუტურად მშვიდი. ასე მშვიდად სხვა შეჯიბრებებზე არ ვყოფილვარ. ერთი კი იყო, ჩაცმამდე კიმონოს ჯვარს გარდავსახავდი და ღმერთს შემწეობას ვთხოვდი. არ ვფიქრობდი მეტოქეთა ტიტულებზე, რადგან ვინც უნდა იყოს მოწინააღმდეგე, მასაც შენსავით ორი ხელი აქვს და ორი ფეხი.

**- ფინალის წინ რა დავალება მოგცეს მწვრთნელებმა, როგორ უნდა გეჭიდავათ მიკლოშ უნგვარისთან?**

- კონკრეტული დავალება არავის მოუცია და არც ურჩევია, ასეთ სტილში იჭიდავეო. მეუბნებოდნენ, რომ არ მეფიქრა ჩემპიონობაზე და როგორც სხვა შეხვედრებში, იქაც ისე მეჭიდავა და შესაძლებლობები ბოლომდე გამომევლინა. საჭიდაო გეგმა წინასწარ არ უნდა დაალაგო, თორემ მერე რალაც რომ არ გამოგივიდეს, ფსიქოლოგიურად ტყდები და მობილიზება ძნელია. ფინალის წინ ვიფიქრე, რომ თავიდანვე უნდა გამომევლინა შემართება და უნგვარისთვის არაფერი დამეთმო, თორემ გამიჭირდებოდა. 1-2 ეპიზოდში მართლაც რომ არ დავუთმე და ძალა ვაჩვენე, შევატყვე, გატყდა. ყველასთან ასეა - თავიდან თუ არაფერს დაუთმობ და არ აგრძნობინებ ძალას, მეტი შემართებით წამოვა.

**- ნახევარფინალში იაპონელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ მასაში ებინუმას მოუგეთ. იცნობდით მას, იყავით ნაჭიდავები?**

- არა, არ მქონდა ნაჭიდავები. მოსამზადებელ ციკლში იაპონიაში რამდენჯერმე ვიყავით შეკრებაზე, ისიც ჩვენთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ სპარინგებზე არ მეჭიდავებოდა.

**- თქვენს ბავშვობაზეც ვისაუბროთ - როგორ დაიწყო გზა ოლიმპიურ ჩემპიონობამდე, რასაც დიდი სიძნელეებიც თან სდევდა?**

- დაახლოებით 11-12 წლისა ვიყავი, როცა გორში ძიუდოზე შევედი ანზორ თენაძესა და ნიკო ბიბილაშვილთან. თანასოფლელები ჭიდაობდნენ და მეც დამაინტერესა. სხვების მიღწევებს რომ ვუყურებდი, მეც მინდოდა, ისეთივე წარმატებული გავმხდარიყავი, ოლიმპიური ჩემპიონობა კი ჩემი ოცნება იყო. თუ რამეზე ვოცნებობდი, მხოლოდ ამაზე! კერპი არ მყოლია, ვქომაგობდი და მომწონდა ყველა წარმატებული სპორტსმენი.

ბავშვობაში ძიუდოს გარდა სხვა გატაცება არც მქონია. მარტივი ჭეშმარიტებაა - როცა რალაც საქმეს აირჩევ, დანარჩენი გვერდზე უნდა გადადო და იმას მიუძღვნა ყველაფერი. მეც ასე ვფიქრობდი - რაც შემეძლება, ვივარჯიშებ, ვიმუშავებ და თუ არაფერი გამომივა, ჩემს თავს ვერაფერს დავაბრალებ-მეთქი. ამისთვის მოვიკელი ყველაფერი და სპორტს მივუძღვენი თავი. მადლობა ღმერთს, უფალმა ნებისყოფა მომცა და შევძელი, ყველაფერი გვერდზე გადამედო.

მწვრთნელებთან ერთად, მიზნის მიღწევაში ოჯახიც ყველანაირად მიწყობდა ხელს იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკურად არ გვილხინდა. ამას ისიც დაემატა, რომ სახლში ზედმეტი ინდივიდუალური ვარჯიშისგან გადავიღალე და ახალგაზრდებში პირველი სეზონი ჩამივარდა. სწორედ მაშინ იყო, მამაჩემმა ტურნირზე წასასვლელად დიდი წვალებით ფული რომ მისესხა, საჭირო თანხა ძლივს შეაკოწიწა. ასეთ დროს განსაკუთრებით ძნელია ჭიდაობა - ცალკე შეჯიბრებაზე ფიქრობ, ცალკე - ვალზე. როცა ევროპა და მსოფლიო წავაგე, მეც შემრჩა ის ვალი და უკვე მეორე სეზონზე დავიწყე ფიქრი, ეგებ მაშინ მაინც მოვიგო და გავისტუმრო-მეთქი. წაგებებთან ერთად ფსიქოლოგიურად ამანაც ცუდად იმოქმედა. მეორე სეზონიც მარცხით დავიწყე - წავაგე ერთ-ერთი შიდა ტურნირი და მაშინ ვფიქრობდი, სხვებშიც თუ დავმარცხდებოდი, თავსაც დავანებებდი ძიუდოს. საბედნიეროდ, მწვრთნელების, ოჯახის დახმარებით, სწორი მკურნალობით კრიზისი დავძლიე და ისევ მოვხვდი ახალგაზრდულ ნაკრებში. ამჯერად წარმატებით ვიჭიდავე - ევროპის ჩემპიონი გავხდი, მსოფლიოზე კი მესამეზე გავედი.

**- ამბობენ, რომ ოლიმპიადაზე გაგიმართლათ. ეთანხმებით ამ აზრს?**

- 5-დან 4 შეხვედრა წმინდად მოვიგე, ფინალში კი უნგრელ უნგვარისთან დასაწყისშივე მოვიპოვე იუკო და მერე ეს ანგარიში მთელი შეხვედრა, სრული 4 წუთის განმავლობაში შევინარჩუნე. თავს არ ვიქებ, მაგრამ ეს არაა გამართლება. მე გამიმართლა იმაში, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი - უცხოეთში რომ არ გამევლო იმდენი შეკრება და ძველებურად საქართველოში, ბორჯომ-ბაკურიან-დუშეთში მევარჯიშა, ასე ვერ განვვითარდებოდი და ასეთ შედეგს ვერ მივაღწევდი. იქ ცნობილ ფალავნებთან მიწევდა ჭიდაობა, რაც ძალიან წამადგა.

აქვე გუნდის ექიმ ზურაბ კახაბრიშვილის ღვაწლიც უნდა ვახსენო, რომელიც ძალიან დამეხმარა. ევროპის პირველობის წინაც სერიოზული ტრავმა მქონდა და ოლიმპიადამდეც ვიტკინე ფეხი. მისი და გუნდის სხვა ექიმების დახმარებით ორჯერვე წარმატებით დავაღწიე თავი ჯანმრთელობის პრობლემებს.

**- ყველაზე ძნელი რომელი შეხვედრა იყო?**

- ყველაზე რთული ნახევარფინალური ორთაბრძოლაა. მას თუ გადალახავ, ვერცხლი ყველა ვარიანტში განაღდებულია და დასაკარგი არაფერია, ბოლომდე უნდა იბრძოლო, რაც შეიძლება, ყველაფერი უნდა გააკეთო, თავი გადადო. აი, გადასასვლელს რომ წააგებ, შეიძლება, ფსიქოლოგიურად გატყდე და მედალთან ასე ახლოს მისულმა ბრინჯაოსთვის შეხვედრაც დათმო. ამას სჯობია, თავიდანვე წააგო და გავარდე.

**- ჯერჯერობით რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში ამ გამარჯვებით?**

- მხოლოდ ის, რომ ძალიან დიდ სიყვარულს, სითბოს და სიხარულს ვგრძნობ ხალხისგან.

**- წარმატებულ სპორტსმენებს ხშირად ემართებათ „ვარსკვლავური ავადმყოფობა". იმედია, თქვენ აირიდებთ ამ სენს...**

- მე ისევ იმავე მიდგომით გავაგრძელებ ჩემს საქმეს - ევროპისა და მსოფლიოს პირველობებია მოსაგები. ახლა იქ გამარჯვება უფრო ძნელი იქნება და ჩემს თავზეც მეტი მუშაობა დამჭირდება. ამ გამარჯვებას ღვთის საჩუქრად მივიჩნევ.

**- ვარჯიშს როდის შეუდგები?**

- ჯერ თიაქარის ოპერაცია უნდა გავიკეთო. როგორც კი ამას მოვიშორებ, ვარჯიშსაც განვაახლებ. თუმცა ამბობენ, რომ ძიუდოში წესები შეიცვლება და ვნახოთ, რა მოხდება. ჯერ მხოლოდ ჭორების დონეზეა ლაპარაკი და წონითი კატეგორიებიც შეიცვლებაო. ვნახოთ, როგორ გადაწყდება ეს საკითხი და რომელ წონებს დატოვებენ. ამბობენ, რომ 65 და 75 დარჩებაო, ეს კი არ მაწყობს - 65-ში გამიჭირდება დაკლება, ის მეორე კი ძალიან ბევრია ჩემთვის. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ 71 კილოგრამი იქნებაო, რაც სავსებით მაძლევს ხელს.




**- მწვრთნელებს მინდა ვკითხო: ლაშა ზეპრაგმატული სტილის მოჭიდავეა, რომელიც არ კარგავს ქულებს, თუმცა ჭიდაობს ძალზე ტექნიკურად, თვალსასეიროდ. ასეთი სინთეზი ხანგრძლივი მუშაობის შედეგია თუ - მისი ბუნებრივი ნიჭი?**

**ანზორ თენაძე:** - ყველა სპორტსმენი ინდივიდუალურია თავისი აღნაგობით და მონაცემებით. მწვრთნელმა შეიძლება ილეთები ასწავლოს, მაგრამ როცა მასში უნდა განავითარო ის სტილი, რაც მას აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს ხელის კიდურებს - ვინც სულ უტევს, მას მუშა კუნთიც უნდა ჰქონდეს, რომ ასეთ ტემპს გაუძლოს. ვინც ფიზიკურად ძლიერია, მაგრამ დაბალი, იმან თავიდანვე ეფექტური გდებით უნდა სცადოს მოგება. ლაშას ისეთი სტილი აქვს, შეუძლია, მუდმივად წნეხში ჰყავდეს მეტოქე.

**შავდათუაშვილი:** ბავშვობაში არანაირი ტალანტი არ მქონია, ამ ყველაფერს მწვრთნელთა შრომით მივაღწიე. თავიდან ძალიან სუსტი ვიყავი - 12 წლისა ვხდებოდი და 24 კილოგრამს ვიწონიდი. ნიკო მასწავლებელი ამაზე მეხუმრებოდა კიდეც.

**ნიკო ბიბილაშვილი:** მამამისი ჩვენი მეგობარია და ვეხუმრებოდი, რა სუსტია, რამე არ იტკინოს-მეთქი. სახლშიც ბევრს ვარჯიშობდა.

**- გახსოვთ მისი პირველი ნაბიჯები სპორტში, როგორ მოვიდა დარბაზში სავარჯიშოდ?**

**ანზორ თენაძე:** - ლაშა სავარჯიშოდ რომ მოვიდა, თანატოლებისგან არაფრით არ გამოირჩეოდა. პირიქით - მასზე ძლიერებიც იყვნენ, მაგრამ მან სულ მალე გამოავლინა კარგი თვისებები. გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, მოწესრიგებული იყო და მალევე დაგვანახა, რომ თავგამოდებით ვარჯიშობდა. დარბაზში ბავშვები მას ბაძავდნენ ვარჯიშში. მალე უმცროსი ძმაც მოიყვანა - ბექა, რომელიც იმდენად პატარა იყო, დამოუკიდებლად თასმებსაც ვერ იკრავდა და ლაშა ეხმარებოდა. მსოფლიოს თასები რომ მოიგო, იმედი მომეცა, რომ ოლიმპიადაზე მედალს მოიპოვებდა, თუმცა მან ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლეგიონერები



ვერნ კოტერი და ვიქტორ კოლელიშვილი

# გორგოძე ბრუნდება, ვულკანები შფოთავენ

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეორე ტურის შეხვედრები დღეს გაიმართება. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პირველ ტურში მხოლოდ ორმა „კასტრმა“ და „მონპელიემ“ ვერ მოიგო, რომლებიც ამჟერად მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდებიან.**

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიე“ შინ ეთამაშება **დავით ზირაქიშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს“, რომელიც სეზონის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გათამაშების უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა. მონპელიელებმა სეზონი წარუმატებლად დაიწყეს, პირველ ტურში მათ სტუმრად წააგეს პარიზულ „სტად ფარნსესთან“. ამ შეხვედრაში „მონპელიეს“ მამუკა გორგოძე და ექვსი არგენტინელი მორაგბე აკლდა, რომლებიც ამჟამად არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში არიან და ოთხი ერის გათამაშებაში ასპარეზობენ.

გორგოძემ ტრავმა უკვე მოირჩინა და „ვულკანებს“, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში დაუხვდება. ძირითად გუნდში იქნება შერკინების ბურჯი გიორგი ჟღენტიც, მიხეილ ნარიაშვილი კი სათადარიგოთა შორის დაიკავებს ადგილს.

„მონპელიესგან“ განსხვავებით პირველ ტურში სტუმრად გაიმარჯვა „კლერმონმა“, თუმცა გუნდის ქომაგები და რაგბის სპეციალისტები თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი არიან. არადა მონპელიელთაგან განსხვავებით, „ვულკანებს“ საკადრო პრობლემები არ აქვს.

„კლერმონის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე დეტალურადაა განხილული მეტოქის, „მონპელიეს“ ავან-ჩავანი, პლუსი და მინუსი. „ვულკანები“ ყველაზე მეტად საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ მამუკა გორგოძეს უფრთხიან, რაც სულაც არ არის გასაკვირი. „გულივერას“ უკვე დიდი ხანია კარგად იცნობენ და მისი შესაძლებლობებიც შესანიშნავად იციან.

საფრანგეთის ჩემპიონს, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზს“ წესით არ უნდა გაუჭირდეს შინ დივიზიონის დებიუტანტის „მონ დე მარსანის“ ძლევა. ტულუზელებმა ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყეს და, სავარაუდოდ, ამჯერადაც მოიგებენ, თანაც ისე, რომ ერთი პრემიალური ქულაც მიიღონ.

ბრეგვაძე და კაკოვინი ტრავმირებულნი არიან და მწყობრში, სავარაუდოდ, ერთი თვის შემდეგ ჩადგებიან.

როგორც უკვე ვთქვით, „მონპელიეს“ პირველ ტურში **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“ მოუგო. პარიზელები ამჯერად სტუმრად დაუპირისპირდებიან საკმაოდ მოლონიერებულ ბასკურ „ბაიონს“. საგულისხმოა, რომ ჩვენებურის გუნდის სათადარიგო შემადგენლობამ ახლახან საწვრთნელი მატჩი გამართა ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან, „სარასენზთან“ და 7:61 დამარცხდა. ამ შეხვედრაში უნდა ეთამაშა ქართველ შერკინების ბურჯ **მამუკა მაგრაქველიძესაც**, რომელიც ამჟამად უგუნდოდაა, თუმცა სავიზო პრობლემების გამო ეს არ მოხერხდა. არადა, მას კარგი შანსი მიეცემოდა „სტად ფრანსეს“ თავკაცებისთვის თავისი შესაძლებლობები ეჩვენებინა, თუმცა, სავარაუდოდ, პარიზულ კლუბში ჩარიცხვის შანსი მისთვის ამოწურული არ უნდა იყოს.

სტუმრად უმძიმესი მატჩი ელის პარიზულ „მეტრო რასინგთან“ **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონს“. ჩვენებურთა ვარსკვლავებით დახუნძლული გუნდი წლეულს ისევ მხოლოდ პირველობისთვის იბრძოლებს და ყველაფერს ილონებს, რათა შარშანდელივით ფინალში არ დამარცხდეს.

„ტულონისა“ და მისი მულტიმილიონერი პრეზიდენტის **მურად ბურჯელალის** ამბიციები საყოველთაოდაა ცნობილი. რამდენად საფუძვლიანია იგი, წესით, კარგად უნდა გამოჩნდეს „მეტრო რასინგთან“ დაპირისპირებაში. ერთის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, სანამ ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** ჯანმრთელია და ფორმაშია, „ტულონს“ არაფერი ემუქრება.

პარიზელებთან მატჩში ქუბრიაშვილი განაცხადშია, თუმცა მოსალოდნელია, რომ ის თადარიგში იქნება, მიაქუტაძე და ჩილაჩავა არ ითამაშებენ.

კიდევ ერთი „ქართული გუნდი“, რომელსაც სერიოზული ამბიციები აქვს **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრია“. ჩვენებურის ამ გუნდმა პირველ ტურში მინიმალური სხვაობით 22:23 სტუმრად წააგო ქვეყნის ჩემპიონ „ტულუზთან“, თუმცა თამაშის ხარისხის მიხედვით, გამარჯვებას სწორედ ისინი იმსახურებდნენ.

ამჯერად “კასტრი” შინ ეთამაშება დივიზიონის დებიუტანტ „გრენობლს“, რომელმაც პირველ ტურში სენსაციურად მოიგო სტუმრად „ბორდოსთან“. „ალპელები“ ძირითადად ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული და ამდენად, ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ფეიქრიშვილი ტრავმირებულია და „გრენობლის“ წინააღმდეგ არ ითამაშებს.

### I დივიზიონი

### II ტური

**ბორდო-პერპინიანი, მეტრო რასინგი-ტულონი, მონპელიე-კლერმონი, ტულუზი-მონ დე მარსანი, კასტრი-გრენობლი, ბაიონი-სტად ფრანსე, აჟენი-ბიარიცი.**

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბიარიცი - 5 ქულა, 2. სტად ფრანსე - 4, 3. **კლერმონი - 4, 4. ტულონი - 4, 5. მეტრო რასინგი, 6. ტულუზი - 4, 7. გრენობლი - 4, 8. კასტრი - 1, 9. ბორდო - 1, 10. აჟენი - 1, 11. პერპინიანი - 1, 12. ბაიონი - 1, 13. მონპელიე - 0, 14. მონ დე მარსანი - 0.**

ოთხი ერი

# მეორე, ისევე როგორც პირველი?

**ოთხი ერის წლევანდელ გათამაშებას პირველი ტურის შემდეგ სათავეში სამხრეთ აფრიკის ნაკრები უდგას, რომელიც დღეს მენდოსაში არგენტინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.**

„ბოკემ“ ერთი კვირის წინ „პუმები“ შინ, კეიპთაუნში დამაჯერებლად დაამარცხა - 27:6, თუმცა მის ქომაგებსა და რაგბის სპეციალისტებს მაინც დაუტოვა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საგრძნობლად გადახალისებულმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა მაღალი ხარისხის რაგბი ვერ აჩვენა, არადა მეტოქეც არ იყო უძლიერესთა რიგებიდან.

საპასუხო მატჩის წინ „ბოკეს“ თავკაცმა **ჰეინკე მეირმა** ორი ცვლილება განახორციელა. აქედან ერთი იძულებითი იყო. მან ტრავმირებული **ბისმარკ დუ პლესის** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **ადრიან სტრაუსი** დააყენა. ხოლო შერკინების შემკვრელი (№8) **კიგან დენიელი**, რომელიც სამხრეთაფრიკელთა რიგებში ყველაზე სუსტად გამოიყურებოდა, **ვილემ ალბერტსით** შეცვალა.

*„ჩვენს გუნდში ყველაზე გამოცდილი ახლა გარემარბი ბრაიან ჰაბანაა. ცხადია, მასზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული, მით უფრო, როცა ისეთი ძლიერი მოთამაშეები გამოგვაკლდნენ, ბისმარკ დუ პლესი, პიერ სპისი და ჯეი პი პიტერსენი რომ არიან.*

*მენდოსაში მძიმე, ძალიან დაძაბული ბრძოლა გველოდება, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ფიზიკურ მომზადებას ექნება. ამიტომ დიდხანს ვფიქრობდით, შეგვეცვალა თუ არა კიგან დენიელი ვილემ ალბერტსით. „პუმების“ შერკინებამ კეიპთაუნში კარგად ითამაშა, თანაც ჩვენც არ ვიყავით კმაყოფილი ჩვენი მორკინალების დაცვაში თამაშით. ამჯერად ასე ასპარეზობა აღარ ივარგებს, მენდოსაში დიდი გამოცდა გველის და გამარჯვებისთვის ასი პროცენტით უნდა დავიხარჯოთ“* - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰეინკე მეირმა.

არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **სანტიაგო ფელანს** უწინარესად საკუთარი მოთამაშეების იმედი აქვს და მერე მენდოსელი „ტორსიდასი“. არგენტინელი ქომაგების გაშმაგებული, ხმაურიანი მხარდაჭერა საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა, მით უფრო, რომ მენდოსას სტადიონი ისეა მოწყობილი, რომ ქომაგების ლამის მოედანზე სხედან.

ერთი სიტყვით, „ბოკეს“ საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოუწევს თამაში. ამის გარდა ფელანმა ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. ფულბეკის პოზიციაზე **ლუკას გონსალეს ამოროსინოს** ნაცვლად **მარტინ როდრიგესი** ითამაშებს. ფელანი, როგორც ჩანს, მგეზავის, ხუან მარტინ ერნანდესის თამაშით უკმაყოფილო დარჩა და ის **ნიკოლას სანჩესით** შეცვალა.

საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი ოქლენდში, სადაც მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრები ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. პირველ მატჩში „ოლ ბლექსმა“ სტუმრად 27:19 დაამარცხა „ვოლაბები“ და ახლა საკუთარ მოედანზე კიდევ უფრო ტრიუმფალური გამარჯვებისთვის ემზადებიან.

ახალზელანდიელ ქომაგებს ავსტრალიელთა გუნდის შერკინებაში არსებული პრობლემების იმედი აქვთ და სრულიად სამართლიანადაც. მეტიც, „ოლ ბლექსის“ უპირატესობა ამ რგოლში იმდენად დიდია, რომ პირველ მატჩში სამიდან ორი ლელო სწორედ შერკინების მერე განხორციელებული შეტევიდან გავიდა.

ავსტრალიის ნაკრებს დაუბრუნდა მგეზავი **ქუადე კუპერი**, თუმცა, სავარაუდოდ, ეს „ვოლაბებისთვის“ დიდი ვერაფერი შვება იქნება.

### ახალი ზელანდია-ავსტრალია

**ახალი ზელანდია: 15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. მაა ნონუ, 12. სონი ბილ ვილიამსი, 11. ჰოსე გეარი, 10. დენ კარტერი, 9. აარონ სმიტი. 1. ვაით კროკეტი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სამუელ ვაითლოქი, 6. ლიამ მესამი, 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.**

**16. ენდრიუ ჰორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ბროდი რეტალიკი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. ბენ სმიტი.**

**ავსტრალია: 15. ადამ ეშლი-კუპერი, 14. დრეიუ მიტჩელი, 13. რობ ჰორნი, 12. ბერიკ ბარნსი, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. სიტელეკი ტიმანი, 5. ნათან შარპი, 6. დეივ დინსი, 7. მაიკ ჰუპერი, 8. სკოტ ჰიგინბოთამი.**

**16. საია ფაინგაა, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. რადიკე სამო, 19. ლიმა გილი, 20. ნიკ ფიპსი, 21. ენტონი ფაინგაა, 22. ქართლი ბეილი.**

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელსი).

### არგენტინა-სამხრეთ აფრიკა

**არგენტინა: 15. მარტინ როდრიგესი, 14. გონსალო კამაჩო, 13, მარსელო ბოსჰი, 12. სანტიაგო ფერნანდესი, 11. ორასიო აგულა, 10. ნიკოლას სანჩესი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. ეუსებიო გუინაზუ, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო, 7. ალვარო გალინდო, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.**

**16. ბრუნო პოსტილიონი, 17. მარკოს აიერსა, 18. ლეონარდო სენატორე, 19. ტომას ლეონარდი, 20. მარტინ ლანდახო, 21. ლუკას გონსალეს ამოროსინო, 22. ხუან იმოფი.**

**სამხრეთ აფრიკა: 15. ზან კირხნერი, 14. ბრაიან ჰაბანა, 13. იან დე ფილიერსი, 12. ფრანსუა სტეინი, 11. ლვაზი მვოვო, 10. მორნი სტეინი, 9. ფრანსუა ჰუგარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ანდრიეს ბეკერი, 6. მარესლ კუცია, 7. ჟაკ პოთხიტერი, 8. ვილემ ალბერტსი.**

**16. ტიაან ლიბენბერხი, 17. პეტ კილიერსი, 18. ფლიპ ფან დერ მერვე, 19. კიგან დენიელი, 20. რუან პინარი, 21. პეტ ლამბიე, 22. ჯეი ჯეი ენგელბერხტი.**

**მსაჯი: სტივ ველში (ავსტრალი)**

### სატურნირო მდგომარეობა

1. სამხრეთ აფრიკა - 4 ქულა, 2. ახალი ზელანდია - 4, 3. ავსტრალია - 0, 4. არგენტინა - 0.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით ნიკოლას ვერგალო

● ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# სავარაუდო ნახევარფინალისტები

საჩოგბურთო პორტალის - Tennis.com-ის მთავარმა რედაქტორმა **სტივ ტინიორმა** თავისი პროგნოზი შემოგვთავაზა აშშ-ის ღია პირველობის ქალთა ერთეულთა თანრიგის ძირითად ბადესთან დაკავშირებით. მან მეოთხედების მიხედვით დაახასიათა ჩოგბურთელთა შანსები და ნახევარფინალისტთა საკუთარი ვერსია შემოგვთავაზა.

## I მეოთხედი

რა თქმა უნდა, პირველ მეოთხედში ვხედავთ რეიტინგის პირველ ნომერს **ვიქტორია აზარენკას**. რამდენად გაუმართლა მას წილისყრის მხრივ? ნაკლებად, რადგან მის მეოთხედშია მოქმედი ჩემპიონი **სამანტა სტოსური, ნა ლი,** ტურნირის სამგზის ჩემპიონი **კიმ კლაისტერსი, საბინ ლისიცკი**. ეჭვგარეშეა, რომ აზარენკას მეტოქეები ძალიან სახიფათონი არიან, მაგრამ მას არასოდეს წაუგია სეტი სტოსურთან, ლისა და კლაისტერსს კი ბოლო შეხვედრებში მოუგო.

ამ მომენტისთვის, ვიქტორია ყველაზე დიდ ხიფათს ნა ლისგან უნდა ელოდოს. ცოტა ხნის წინ, მან თანამშრომლობა დაიწყო **ჟუსტინ ანენის** ექს-მწვრთნელთან **კარლოს როდრიგესთან**, შეძლო მონრეალის ტურნირის ფინალამდე მისვლა და ცინცინატიში ტიტულის მოგება.

**ნახევარფინალისტი:** ვიქტორია აზარენკა.

## II მეოთხედი

**მარია შარაპოვამ** ავადმყოფობის გამო ორივე მსხვილი ტურნირი გამოტოვა, რომელიც წინ უძღვის აშშ-ის ღია პირველობას, შესაბამისად, რუსი სათამაშო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი. თუმცა ხანგრძლივი პაუზა, შესაძლოა, სასარგებლო იყოს მარიასთვის. წელს მან ბევრი ტურნირი ითამაშა, განსაკუთრებით გრუნტის საფარზე და დასვენება ნამდვილად ესაჭიროებოდა.

რაც შეეხება მის სატურნირო გზას, მეოთხედფინალამდე ის რთული არ არის, მაგრამ შემდეგ **პეტრა კვიტოვა** ელოდება, რომელმაც მონრეალში გაიმარჯვა და საერთოდ, ამერიკული ტურნირების სერიის ჩემპიონი გახდა. შარაპოვამდე მასაც არ აქვს რთული ბადე, მეოთხედფინალში კი შეეცდება „დიდი სლემის“ ტურნირების მეოთხედფინალში წელს მესამედ არ წააგოს შარაპოვასთან.

**ნახევარფინალისტი:** პეტრა კვიტოვა.

## III მეოთხედი

სხვა მონაწილეებისთვის სამწუხაროდ, **სერენა უილიამსს** საკმაოდ უბრალო მეოთხედი შეხვდა. აქ არ არიან აზარენკა, კვიტოვა, სტოსური, ნა ლი ან კლაისტერსი. ის ტურნირს **კოკო ვანდევეგესთან** მატჩით დაიწყებს, შემდეგ შეიძლება შეხვდეს **შუაი პენგს**, უფრო გვიან **კირილენკოს** - არც ისე რთული გზაა მეოთხედფინალამდე.

აქვეა **კაროლინ ვოზნიაცკი**, რომელსაც წელს დამარცხებული ჰყავს სერენა. ამავე მეოთხედში არიან მე-12 ნომერი **ანა ივანოვიჩი** და **ეკატერინა მაკაროვა**. რუსმა მოუგო უილიამსს მელბურნში, მაგრამ ახლა, სავარაუდოდ, მსგავსი რამ არ განმეორდება.



**ნახევარფინალისტი:** სერენა უილიამსი.

## IV მეოთხედი

გავიხსენოთ, როგორ თამაშობდა **აგნიეშკა რადვანსკა** უიმბლდონის ფინალის შემდეგ? თავიდან წააგო ოლიმპიადის პირველი წრე, ორჯერ დამარცხდა ნა ლისთან მონრეალსა და ცინცინატიში.

აგნიეშკა მეორე ნომერია, მაგრამ უჭირს თავისი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება. განთესილთაგან მისი პირველი პოტენციური მეტოქეა - **ელენა იანკოვიჩი**. ასევე შეიძლება გადაეყაროს ძალიან სახიფათო მეტოქეებს - **დომინიკა ციბულკოვასა** და **იაროსლავა შვედოვას**.

ამ მეოთხედში უფრო მეტი შანსი გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** გააჩნია. მას მაღალი შედეგები აქვს: ამერიკის ღიასა და უიმბლდონის ნახევარფინალამდე მიაღწია, ითამაშა ოლიმპიადის მეოთხედფინალში, ცოტა ხნის წინ, ის ცინცინატის ფინალშიც ვიხილეთ.

კერბერის ბადე ცუდი არ არის, ოღონდ ერთი გამონაკლისით - გერმანელი მეორე წრეში, შესაძლოა, **ვენუს უილიამსს** შეხვდეს. მათი ბოლო შეხვედრა ოლიმპიადაზე ანჟელიკმა ორი ტაი-ბრეიკით მოიგო.

**ნახევარფინალისტი:** ანჟელიკ კერბერი.

■ ■ ■

სერენა უილიამსი მომავალი ტურნირის მთავარი ფავორიტია. მის მოგებაზე ფსონი 2.0-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან შარაპოვა და აზარენკა - 7.0, მას მოჰყვებიან ნა ლი და კვიტოვა - 11.0, კერბერი - 17.0, აგნიეშკა რადვანსკა, კლაისტერსი და სტოსური - 26.0, ვენუს უილიამსი - 34.0, ვოზნიაცკი და ლისიცკი - 51.0.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## აშშ-ის ღია პირველობა. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

აზარენკა (ბლრ, 1)
პანოვა (რუს)
ბ. ზახვალოვა (ჩეხ)
კვალიფიკაცია
ჰსიე (ტაივ)
კვალიფიკაცია
რაზანო (საფ)
ჟიე ჟენგი (ჩინ, 28)
გორგესი (გერ, 18)
კვალიფიკაცია
მინელა (ლუქ)
როგოვსკა (ავსტრა)
ფორეტც გაკონი (საფ)
ტატიშვილი (საქ)
კირსტეა (რუმ)
ლისიცკი (გერ, 16)
ნა ლი (ჩინ, 9)
უოტსონი (ბრიტ)
კვალიფიკაცია
დელაკუა (ავსტრა)
კვალიფიკაცია
რობსონი (ბრიტ)
დუვალი (აშშ)
კლაისტერსი (ბელ, 23)
ლეპჩენკო (აშშ, 31)
იოჰანსონი (საფ)
კვალიფიკაცია
კოენი (აშშ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
მარტიჩი (ხორ)
სტოსური (ავსტრა, 7)
შარაპოვა (რუს, 3)
ჩინკი (უნგ)
დომინგეს ლინო (ესპ)
კარატანჩევა (ყაზ)
ბაშჩინსკი (შვეიც)
ბურდეტი (აშშ)
ჰრადეცკა (ჩეხ)
მედინა გარიგესი (ესპ, 27)
პეტროვა (რუს, 19)
გაიდოშოვა (ავსტრა)
ჰალეპი (რუმ)
ბენეშოვა (ჩეხ)
კადანტუ (რუმ)
ვოზნიაკი (კან)
ოუდინი (აშშ)
საფაროვა (ჩეხ, 15)
ბარტოლი (საფ, 11)
ჰემპტონი (აშშ)
ოპრანდი (შვეიც)
პეტკოვიჩი (გერ)
მლადენოვიჩი (საფ)
ერაკოვიჩი (ზელ)
ჰანტუხოვა (სლოვაკ)
პავლიუჩენკოვა (რუს, 17)
ვიკმაიერი (ბელ, 25)
კვალიფიკაცია
პარმენტიე (საფ)
კრაიჩეკი (ჰოლ)
გიბსი (აშშ)
კორნე (საფ)
ჰერცოგი (სლოვენ)
კვიტოვა (ჩეხ, 5)

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

აზარენკა (ბლრ, 1)-ჟენგი (ჩინ, 28)
გორგესი (გერ, 18)-ლისიცკი (გერ, 16)
ნა ლი (ჩინ, 9)-კლაისტერსი (ბელ, 23)
ლეპჩენკო (აშშ, 31)-სტოსური (ჩეხ, 6)
შარაპოვა (რუს, 3)-მ. გარიგესი (ესპ, 27)
პეტროვა (რუს, 19)-საფაროვა (ჩეხ, 15)
ბარტოლი (საფ, 11)-პავლიუჩენკოვა (რუს, 17)
ვიკმაიერი (ბელ, 25)-კვიტოვა (ჩეხ, 5)
ვოზნიაცკი (დენ, 8)-ნიკულესკუ (რუმ, 26)
სკიავონე (იტა, 22)-ივანოვიჩი (სერ, 12)
კირილენკო (რუს, 14)-ზაკოპალოვა (ჩეხ, 24)
პენგი (ჩინ, 32)-ს. უილიამსი (აშშ, 4)
კერბერი (გერ, 6)-პაჩეკი (ავსტრია, 29)
მაკჰეილი (აშშ, 21)-ერანი (იტა, 10)
ციბულკოვა (სლოვაკ, 13)-ვინჩი (იტა, 20)
იანკოვიჩი (სერ, 30)-ა. რადვანსკა (პოლ, 2)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ვოზნიაცკი (დან, 8)
ბეგუ (რუმ)
სორელ ესპინოსა (ესპ)
კვალიფიკაცია
პირონკოვა (ბულ)
ჯორჯი (იტა)
მორიტა (იაპ)
ნიკულესკუ (რუმ, 26)
სკიავონე (იტა, 22)
სტივენსი (აშშ)
ამანმურადოვა (უზბ)
კვალიფიკაცია
დატე (იაპ)
არვიდსონი (შვედ)
კვალიფიკაცია
ივანოვიჩი (სერ, 12)
კირილენკო (რუსვ, 14)
სხეპერსი (ს. აფრ)
შავაი (უნგ)
არნი (უნგ)
ვოსკობოევა (ყაზ)
რუსი (ჰოლ)
ჰლავაჩკოვა (ჩეხ)
ზაკოპალოვა (ჩეხ, 24)
პენგი (ჩინ, 32)
ვესნინა (რუს)
მაკაროვა (რუს)
კვალიფიკაცია
ლუჩიჩი (ხორ)
მარტინეს სანჩესი (ესპ)
ვანდევეგე (აშშ)
ს. უილიამსი (აშშ, 4)
კერბერი (გერ, 6)
კეოტავონგი (ბრიტ)
მატეკი (აშშ)
ვ. უილიამსი (აშშ)
კვალიფიკაცია
ბაბოში (უნგ)
გოვორცოვა (ბლრ)
პაჩეკი (ავსტრია, 29)
მაკჰეილი (აშშ, 21)
ბერტენსი (ჰოლ)
კვალიფიკაცია
ფალკონი (აშშ)
დუშევინა (რუს)
კვალიფიკაცია
მუგურუსა (ესპ)
ერანი (იტა, 10)
ციბულკოვა (სლოვა,13)
ლარსონი (შვედ)
იოვანოვსკი (სერ)
ბარტელი (გერ)
კინგი (აშშ)
შვედოვა (ყაზ)
უ. რადვანსკა (პოლ)
ვინჩი (იტა, 20)
იანკოვიჩი (სერ,30)
კ. ბონდარენკო (უკრ)
კვალიფიკაცია
პეერი (ისრ)
პერვაკი (ყაზ)
სუარეს ნავარო (ესპ)
ბრატჩიკოვა (რუს)
ა. რადვანსკა (პოლ, 2)

## მძლეოსნობა



ბლეიკი და ბოლტი

# ბოლტმა და ბლეიკმა პრიზები გაიყვეს

ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ, პირველი დიდი ტურნირი გაიმართა მძლეოსნობაში - ლოზანაში „ბრილიანტის ლიგის" მორიგი ეტაპი ჩატარდა, სადაც ბევრმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი. რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო იამაიკელი **უსაინ ბოლტი**, რომელმაც შვეიცარიაში 200 მეტრზე გადაწყვიტა გამოსვლა.

მის არყოფნაში, 100-მეტრიანი დისტანციის გმირი გახდა მეორე იამაიკელი, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი - **იოჰან ბლეიკი**. მან ფანტასტიკური დროით მოიგო გარბენი - 9,69 წამი დააფიქსირა, რაც ისტორიაში მესამე შედეგია. უფრო სწრაფად მხოლოდ ბოლტს ურბენია „მოკლე სპრინტი".

იოლად მოიგო 200 მეტრი დისტანცია უსაინ ბოლტმა - მან 19 წამსა და 58 წამში გაირბინა „გრძელი სპრინტი" და კონკურენტებს შანსი არ დაუტოვა. კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო თავისი გამოსვლით ჰოლანდიელი **ჩურანდი მარტინა**, რომელმაც 19,85-ით ეროვნული რეკორდი დაამყარა.

400 მეტრი მამაკაცებს შორის ლონდონის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გრენადელმა **კირანი ჯეიმსმა** მოიგო. ის ერთადერთი იყო დისტანციაზე, რომელიც 45 წამიდან გამოვიდა - 44,37 წამი დააფიქსირა.

ქალებს შორის 100 მეტრზე გარბენში ერთნაირი დრო - 10,86 წამი დააფიქსირეს ამერიკელმა **კარმელიტა ჯეტერმა** და იამაიკელმა **შელი ენ ფრეზერ-პრაისმა**, მაგრამ ფოტოფინიშით გამარჯვებული ჯეტერი გახდა. ლონდონშიც ეს სპრინტერები პირველ ორ ადგილზე გავიდნენ, ოღონდ მაშინ პირველი ფრეზერ-პრაისი იყო, ვერცხლი კი ჯეტერს ერგო.

არ გაუმართლა კაცებს შორის 110 მეტრზე თარჯრბენში ლონდონის ოლიმპიურ ჩემპიონს **ერის მერიტს** - მან ფალსტარტის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო. ამან შანსი მისცა მეორე ამერიკელს, ლონდონის თამაშების ვერცხლისმედალოსანს **ჯეისონ რიჩარდსონს**. მან ეს შანსი გამოიყენა - 13 წამითა და 8 მეასედით მოიგო დისტანცია და უკან ჩამოიტოვა თანამემამულე **დევიდ ოლივერი** და იამაიკელი **ჰენსლ პარჩმენტი**.

## ველოსპორტი. ვუელტა

# კონტადორს უჭირს

ესპანურ ველომარათონ ვუელტაზე გაიმართა მეექვსე ეტაპი, რომელზეც პირველი გამარჯვება მოიპოვა ესპანელმა **ხოაკიმ როდრიგესმა** და გაიმყარა ლიდერობა საერთო ჩათვლაში.

ეტაპის დიდი ნაწილი სწორ გზაზე გადიოდა, მაგრამ ფინიშთან ახლოს, ველომრბოლელებს ორი მესამე კატეგორიის სირთულის ამაღლება ელოდათ, რაც საინტერესო ფინალის გარანტია უნდა ყოფილიყო.

რბოლა დაიწყო ტრადიციული გაქცევით - ლიდერთა ჯგუფი ხუთმა ველომრბოლმა შეადგინა. 175-კილომეტრიანი დისტანციის პირველ მესამედზე გაქცეულებმა იოლად მოიპოვეს 4-წუთიანი უპირატესობა, მაგრამ შემდეგ პელოტონმა ტემპს მოუმატა და ლიდერები უფრო შორს აღარ გაუშვა.

პირველი მთის დასაწყისში გააქტიურდა **ალბერტო კონტადორის** გუნდი - „საქსო ბანკი" და ლიდერთა უპირატესობა ორ წუთამდე დავიდა. ამასობაში, თავად დაწინაურებულთა ჯგუფმა დაიწყო დაშლა და **ტომას დე გენტი** მარტო გაეშურა ფინიშისკენ. თუმცა გაუთავებელმა აღმართებმა ბელგიელი ძალიან დაღალა და ის პელოტონში ჩაიკარგა.

ამის შემდეგ შეტევა დაიწყო ბრიტანულმა „თიმ სქაიმ". ამ გუნდის ერთბაშად სამი მრბოლელი გავიდა წინ: **კრისტოფერ ფრუმს** ეხმარებოდნენ **სერხიო ენაო** და **რიგობერტო ურანი**. ამ ტემპს სხვა გუნდის ლიდერები დიდი გაჭირვებით აყვნენ. ბევრმა კი ეს ვერ მოახერხა. ასე მაგალითად, ჰოლანდიურმა „რაბობანკმა" დაკარგა ორი ლიდერი - ჯერ ბრძოლას გამოეთიშა **ბაუკე მოლემა**, შემდეგ მას შეუერთდა **რობერტ ჰესინკი**. პრობლემები ჰქონდა ვუელტას მოქმედ ჩემპიონ **კობოს**.

რბოლის ბედი ბოლო კილომეტრზე გადაწყდა, სადაც ფრუმმა ისეთი შეტევა წამოიწყო, რომელსაც მხოლოდ ხოაკიმ როდრიგესმა გაუძლო. ლიდერის წითელი მაისურის მფლობელმა გამონახა ძალები იმისთვის, რომ პირველს გადაეკვეთა ფინიშის ხაზი. ხუთი წამი წააგო მასთან ფრუმმა. ალბერტო კონტადორმა კი მესამე ადგილისთვის ბრძოლაც დათმო **ალეხანდრო ვალვერდესთან**, თან საერთო ჩათვლაში რამდენიმე მნიშვნელოვანი წამი დაკარგა.

ახლა ის მესამეა გენერალურ კლასიფიკაციაში და 35 წამს აგებს როდრიგესთან. ამ უკანასკნელს ფრუმი 10 წამით ჩამორჩება.

**VI ეტაპი**

**ტარასონა-ხაკა (175 კმ)**

1. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - 4.15,56; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +0,05; 3. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +0,10; 4. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Team Saxo Bank) - იგივე დრო; 5. **ეროს კაპეკი** (იტალია, Liguigas) - +0,19; 6. **რიგობერტო ურანი** (კოლუმბია, Sky) - +0,20...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - 21.45,06; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +0,10; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - +0,35; 4. **რიგობერტო ურანი** (კოლუმბია, Sky) - +0,43; 5. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +0,53; 6. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +0.54...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სირია-კამერუნი | 2:2 |
| აეკ-ეთნიკოსი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბოლტონი-ნოტინგემი | 2:2 |
| **კონფერენსი** | |
| სტოკპორტი-გეიტშიდი | 1:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მოდენა-ვერონა | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერია-ხერესი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-ვერდერი | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრაუშვაიგი-პადერბორნი | 2:1 |
| ჰერტა-რეგენსბურგი | 2:1 |
| ზანდჰაუზენი-უნიონი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩ)** | |
| კლოპენბურგი-გოსლარერი | 5:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩ-ა)** | |
| აუერბახი-მოისელვიტცი | 5:0 |
| კარლ ცაისი-მაგდებურგი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ბ)** | |
| აუგსბურგი II-ბაიერნ ჰოფი | 1:1 |
| ზელიგენპორტენი-მიუნხენი II | 2:1 |
| ვიურცბურგერი-ჰელმსშტეტენი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ევიანი-ლიონი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-ისტრი | 0:1 |
| ოსერი-ლავალი | 2:1 |
| შატორუ-ტური | 3:0 |
| კლერმონი-სედანი | 0:2 |
| გფკო აიაჩო-ლანსი | 1:1 |
| მონაკო-არლი | 3:0 |
| ნიმი-კაენი | 0:2 |
| ნიორი-გინგამი | 0:0 |
| **ნასიონალი** | |
| ბულონი-კრეტეი | 1:2 |
| ბასტია-ფრეჟუსი | 2:2 |
| შერბური-პონ დუ გარი | 3:1 |
| ორლეანი-ეპინალი | 2:1 |
| პარიზი-ამიენი | 2:3 |
| ვანი-კევილი | 2:1 |
| მეცი-ლუზენაკი | 1:0 |
| **პოლანდია** | |
| ვაალვიკი-როდა | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-ვოლენდამი | 1:3 |
| გრააფსხაპი-ჰელმონდი | 2:5 |
| ეინდჰოვენი-კამბური | 2:1 |
| ფორტუნა-ემენი | 3:1 |
| სპარტა-აპელდოორნი | 1:1 |
| ტელსტარი-ექსელსიორი | 1:0 |
| ტოპ ოსი-იგლზი | 1:4 |
| ვეენდამი-მაასტრიხტი | 0:2 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ოლანენსე | 1:1 |
| **დანია** | |
| ნორდსილანდი-სონდერიისკი | 4:1 |
| **ნორვეგია** | |
| ოდ გრენლანდი-ბრანი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ერებრუ-გეფლე | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბლაუ ვაისი-ავსტრია (ლ) | 2:4 |
| ლუსტენაუ-კაპფენბერგი | 2:0 |
| ჰარტბერგი-ჰორნი | 0:2 |
| სტ. პოლტენი-გრიოდიგი | 0:3 |
| ვენა-ალტახი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ქასიმფაშა-ქარაბუქი | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| სტ. პატსი-სლიგო | 0:0 |
| **ირლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| შემროკი-კორკი | 2:0 |
| ბოჰემიანსი-ევონდეილი | 1:0 |
| დროგედა-უექსფორდი | 1:0 |
| მელეჰაიდი-დანდალკი | 0:4 |
| უნივერსიტი-დერი | 0:1 |
| შელბურნი-ჩერი | 3:2 |
| უოტერფორდი-მერვუ | გადაიდო |
| **უელსი** | |
| ებერისტვიტი-ბალა | 1:1 |
| აფან ლიდო-ტნს | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| იჟლავა-სიგმა | 1:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| შენიცა-მიიავა | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| ზორია-ვორსკლა | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-პიასტი | 2:1 |
| იაგელონია-გურნიკი | 1:1 |
| **ხორვატია** | |
| ინტერი-რიეკა | 2:0 |
| სლავენი-ლოკომოტივი | 3:2 |
| **[illegible]** | |
| რადნიჩკი (ნ)-რადნიჩკი (კ) | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| პაკსი-ეგრი | 0:1 |
| მტკ-უიპეშტი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-ტურნუ | 2:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| გლენავონი-დუნგანონი | 0:1 |
| ლინფილდი-დონეგალი | 4:0 |
| პორტდაუნი-კოლრეინი | 3:4 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ყარაბახი-რავანი | 0:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევრობასკეტი 2013** | |
| **შესარჩევი** | |
| სლოვაკეთი-ისრაელი | 64:82 |
| სერბეთი-ესტონეთი | 88:63 |
| ჩერნოგორია-ისლანდია | 85:67 |
| ლუქსემბურგი-ბულგარეთი | 68:94 |
| გერმანია-შვედეთი | 81:66 |
| კვიპროსი-უკრაინა | 47:68 |
| ხორვატია-უნგრეთი | 89:65 |
| ფინეთი-ბელგია | 97:60 |
| ალბანეთი-პოლონეთი | 67:105 |
| ბელარუსი-იტალია | 63:84 |
| თურქეთი-პორტუგალია | 74:62 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **European Trophy** | |
| პარდუბიცე-ბრიუნასი | 6:2 |
| პლზენი-კერპეტი | 3:2 (ო) |
| ბუდეიოვიცე-ჰამბურგი | 4:3 |
| სლოვანი-იუვიასკიულა | 5:0 |
| ბრნო-ლელუო | 2:6 |
| ხომუტოვი-ლინჩოპინგი | 3:4 (ბ) |
| ბერნი-ტპს | 1:4 |
| ლიბერეცი-იურგორდენი | 6:2 |
| სპარტა-ჰ371 | 2:7 |
| ვენა-კალპა | 5:3 |
| ზალცბურგი-აისბარენი | 1:4 |
| ინგლოშტადტი-ფრიოლუნდა | 8:5 |
| ფრიბურგი-ტაპარა | 2:3 (ბ) |
| ცუგი-იოკერიტი | 4:1 |
| ციურიხი-ჰიფკ | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. უინსტონ სალემი** | |
| ცონგა-ისნერი | 4:6, 6:3, 6:7 |
| **WTA. ნიუ ჰევენი** | |
| კირილენკო-ვოზნიაცკი | 7:5, 6:0 |

## TV პროგრამა

**25 აგვისტო. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. დორტმუნდი-ვერდერი.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. II ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. სუონსი-ვესტ ჰემი (LIVE).
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. მანჩესტერ იუნ-ფულემი (LIVE).
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:30 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. ჩელსი-ნიუკასლი (LIVE).
22:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. აიაქსი-ბრედა (LIVE).
00:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. ვასკო და გამა-ფლუმინენსე (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:25 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-ავსტრალია (LIVE).
13:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
14:15 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:20 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. 1/2 ფინალი. ტორონტო. კანადა.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. ფიურტი-ბაიერნი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. აინტრახტი-ლევერკუზენი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
23:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ს.აფრიკა (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მემფისი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
13:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ინდიანა-მაიამი.
15:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
16:45 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.
18:45 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-ავსტრალია.
23:10 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. IV ტური. უნიონი-ბოკა ხუნიორსი.

**I არხი**

16:30 რალი. რუსთავი (LIVE)

**26 აგვისტო. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. ვასკო და გამა-ფლუმინენსე.
12:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
14:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. ჰერაკლესი-ფეიენოორდი (LIVE).
16:30 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. სტოკი-არსენალი (LIVE).
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. ლივერპული-მანჩესტერ სიტი (LIVE).
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. კორინთიანსი-სან პაულუ (LIVE).
01:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. კრუზეირო-ატლეტიკო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. XIX ტური. ვასკო და გამა-ფლუმინენსე.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დენვერი-ოკლაჰომა.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ს. აფრიკა.
17:20 ჩოგბურთის ლეგენდები.
19:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. ჰანოვერი-შალკე (LIVE).
21:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-ავსტრალია.
23:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დენვერი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
12:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ს. აფრიკა.
14:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ლეიკერსი-ოკლაჰომა.
16:30 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
18:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. გრონინგენი-ეინდჰოვენი (LIVE).
20:30 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. კლიპერსი-სან ანტონიო.
22:30 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. ტორონტო. კანადა.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**I არხი**

19:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 32 | (მზე) |
| ქუთაისი | 20 | 35 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 34 | (მზე) |
| ფოთი | 21 | 35 | (მზე) |
| ზუგდიდი | 20 | 35 | (მზე) |
| გორი | 13 | 32 | (მზე) |
| თელავი | 16 | 32 | (მზე) |
| სიღნაღი | 16 | 31 | (მზე) |
| ქობულეთი | 19 | 31 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 25 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 31 | (მზე) |
| მესტია | 8 | 25 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0654 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6489 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6125 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1836 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# არმსტრონგი დანებდა და ყველაფერი დაკარგა

## ლეგენდარულ ამერიკელს ტურ დე ფრანსის შვიდ ტიტულს ჩამოართმევენ


ლენს არმსტრონგი

სენსაციური ცნობა გავრცელდა გუშინ ამერიკიდან. ლეგენდარულ ველომრბოლს **ლენს არმსტრონგს** სამუდამო დისკვალიფიკაციით დასჯიან და ჩამოართმევენ ტურ დე ფრანსზე მოპოვებულ შვიდ ტიტულს - ასეთია ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი.

ამ ორგანიზაციამ 14 ივნისს დაადანაშაულა ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი მთელი რიგი ანტისადოპინგო წესების დარღვევაში: აკრძალული პრეპარატების მიღებიდან დაწყებული, დოპინგის გავრცელებითა და სხვა სპორტსმენების წაქეზებით დამთავრებული.

არმსტრონგი ივნისიდან მოყოლებული ცდილობდა თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას, მაგრამ მისი ორი სარჩელი სასამართლომ არ მიიღო და ამერიკელმა ბრძოლა შეწყვიტა.

ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის - **ტრევის ტაიგარტის** თქმით, სახელოვანი ველომრბოლი სამუდამო დისკვალიფიკაციას მიიღებს, აგრეთვე გაუქმდება ტურ დე ფრანსზე მისი შვიდი გამარჯვება.

ტაიგარტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც არმსტრონგმა განაცხადა, რომ აღარ აპირებდა სასამართლოში ბრძოლას.

ველომრბოლის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას არასოდეს გამოუყენებია აკრძალული პრეპარატი და ის დაიღალა სასამართლო გარჩევებით. *„ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ის ამბობს: „საკმარისია". ჩემთვის ასეთი დღე ახლა დადგა"*, - განაცხადა არმსტრონგმა.

ლენსს ძვირად უჯდება დანებების გადაწყვეტილება. ტაიგარტმა აღნიშნა, რომ ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტო აუქმებს არმსტრონგის ყველა შედეგს, რომელიც 1998 წლის პირველი აგვისტოდან არის დაფიქსირებული. ამერიკელმა ტურ დე ფრანსის შვიდი ტიტული 1999-2005 წლებში ზედიზედ მოიგო.

*„ეს ნაღვლიანი დღეა ყველასთვის, ვისაც უყვარს სპორტი და ჩვენი სპორტსმენები,* - განაცხადა ტაიგარტმა. - *ეს არის ტრაგიკული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება დაიჩრდილონ პატიოსანი სპორტსმენები, რომლებიც დოპინგს არ იღებენ. ეს იქნება მაგალითი მომავალი თაობებისთვის, რათა მათ არასოდეს მიიღონ დოპინგი".*

თუმცა არმსტრონგს აქვს შესაძლებლობა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივროს USADA-ის გადაწყვეტილება. მაგრამ, მეორე მხრივ, ლენსს არ უნდა ისევ წამოიწყოს საქმის გარჩევა თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. მისი აზრით, ყველამ ისედაც კარგად იცის ყველაფერი.

*„USADA-ს არ შეუძლია ჩემი პროფესიული გამარჯვებების ჩამორთმევა, ტიტულები კი შეუძლიათ წაიღონ,* - განაცხადა ველომრბოლმა. - *მე ვიცი, ვინც მოიგო შვიდჯერ ტურ დე ფრანსი, ჩემმა პარტნიორებმა და მეტოქეებმაც იციან, ეს ვინ გააკეთა".*

ტურ დე ფრანსზე შვიდი ტრიუმფის გარდა, არმსტრონგს სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული აქვს ბრინჯაოს მედალი, 1993 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ლენსი დიდი სპორტიდან 2011 წელს წავიდა.

თუმცა ეს გამარჯვებების შეიძლება არც ყოფილიყო, ისევე როგორც, თავად არმსტრონგი. ჯერ კიდევ 1996 წელს, ექიმებმა ამერიკელს საშინელი დიაგნოზი დაუსვეს - კიბო, საიდანაც მეტასტაზები ფილტვებსა და ტვინზე იყო წასული. ექიმების პროგნოზით, სპორტსმენს გადარჩენის შანსი 20 პროცენტი ჰქონდა. მაგრამ არმსტრონგმა არამარტო დაამარცხა ეს ავადმყოფობა, არამედ სპორტში დაბრუნდა და ფანტასტიკურ შედეგებს მიაღწია. უფრო მეტიც, მოგვიანებით, კარიერის დასრულების შემდეგ, ისევ დაჯდა ველოსიპედზე მხოლოდ იმიტომ, რომ კიბოსთან ბრძოლის პროპაგანდისთვის შეეწყო ხელი. მანვე დააარსა საკუთარი სახელობის ფონდი მძიმედ დაავადებულების დასახმარებლად.

ამიტომაც, აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს ვერდიქტი დიდად არ დააზარალებს ამ სულით მამაც სპორტსმენს. მან თავად შესანიშნავად იცის საკუთარი თავისა და მიღწევების ფასი.

ჩოგბურთი

# პეტრამ ამერიკა დაიპყრო

ჩეხმა ჩოგბურთელმა **პეტრა კვიტოვამ** ამ კვირას მიმდინარე ნიუ ჰევენის ტურნირზე ნახევარფინალში გააღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრის საბოლოო შედეგის მიუხედავად, კვიტოვა ამერიკული ტურნირების სერიის გამარჯვებული გახდა. ეს სერია, ტრადიციულად წინ უძღვის ამერიკის ღია პირველობას.

ორი კვირის წინ, მონრეალში კვიტოვამ 2012 წელს თავისი პირველი ტიტული მოიგო, შემდეგ ნახევარფინალამდე მიაღწია ცინცინატიში და ახლა, ბრძოლას აგრძელებს ნიუ ჰევენში. გუშინ, პეტრამ ამ სერიის მოგებისთვის საპატიო პრიზი მოიგო და შეიძლება სოლიდურ ფულად პრემიას გამოკრას ხელი. თუ ჩეხი ამერიკის ღია პირველობას მოიგებს, დამატებით მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, ფინალში გასვლის შემთხვევაში, ბონუსის ოდენობა 500 ათასი იქნება, ნახევარფინალში თამაში მას 250 ათასს მოუტანს, მეოთხედფინალი - 125 ათასს და ა.შ.

*„ძალიან ამაყი ვარ ამ მიღწევით. უიმბლდონის შემდეგ ვინმეს რომ ეთქვა - ამერიკული ტურნირების სერიას მოიგებთო, არ დავუჯერებდი. ფულადი პრემია ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს - ეს არ არის ცხოვრებაში მთავარი. მე უბრალოდ ამაყი ვარ იმით, რომ ამერიკული სერიის ჩემპიონი გავხდი, ბევრი კარგი მატჩი ჩავატარე. ეს აშშ-ის ღია პირველობის წინ მეტ დამაჯერებლობას მმატებს"*, - განაცხადა კვიტოვამ.

ამბები

ფორმულა 1

## ბელგია სამი წლით დარჩა

ბელგიის გრანპრის ორგანიზატორმა კომპანიამ - Spa Grand Prix-მ გამოაცხადა კონტრაქტის გაგრძელების შესახებ ფორმულა 1-ის პრომოუტერებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ბელგიის ეტაპი „დიდი პრიზის" კალენდარში 2015 წლის ბოლომდე დარჩება.

ბელგიური რბოლის წინ გამართული ტრადიციული პრესკონფერენციის დროს ვალონიას პროვინციის ეკონომიკის მინისტრმა **ჟან-კლოდ მარკურმა** განაცხადა, რომ კონტრაქტის ღირებულება შემცირდა, თუმცა დეტალები არ გაამხილა. როგორც ბელგიურმა ტელეკომპანიამ გამოაცხადა, სატელევიზიო კონტრაქტის ღირებულება არ გადაიხედება, ხოლო ეტაპის ჩატარების თარიღი უახლოესი სამი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

ლიეჟის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის გამოთვლებით, რბოლის ჩატარება რეგიონს 43 მილიონ ევროს მოუტანს.




კრივი

# კლიჩკომ ვახი თქვა

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სუპერმძიმე წონაში ოთხი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** მორიგ ბრძოლას 10 ნოემბერს, გერმანიის ქალაქ ჰამბურგში პოლონელი **მარიუშ ვახის** წინააღმდეგ გამართავს. შეხვედრა „O2 არენაზე" გაიმართება, რომელიც 16 ათას მაყურებელს იტევს. საინტერესოა, რომ სწორედ ჰამბურგში დაიწყო პროფესიული კარიერა უმცროსმა კლიჩკომ, ბოლო ბრძოლა კი აქ 2011 წლის ივნისში ჩაატარა, როცა ქულებით დაამარცხა ბრიტანელი **დევიდ ჰეი**.

ვახი ერთ-ერთი იყო იმ ექვს მოკრივეს შორის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ **ვიტალი კლიჩკოსთან** შეხვედრაზე. ეს ბრძოლა 8 სექტემბერს, მოსკოვში გაიმართება, ოღონდ უფროსმა კლიჩკომ მეტოქედ გერმანელი **მანუელ ჩარი** აირჩია, ვახს კი უმცროსი კლიჩკო ერგო. პოლონელმა კარიერაში 27 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო (15 - ნოკაუტით), თუმცა მის მეტოქეებს შორის სუპერმძიმე წონის ნამდვილი ვარსკვლავი არ ყოფილა. ბოლო ბრძოლაში „ვიკინგმა" (ვახის მეტსახელი) WBC-ის ინტერკონტინენტალური ჩემპიონის ტიტული დაიცვა. ამასთან, ბოლო ორი ბრძოლა მან ტექნიკური ნოკაუტით მოიგო.

სწორედ ნოკაუტის იმედი აქვს ვახს თავისი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან ბრძოლაში.

*„რომც დავმარცხდე, მაინც არაფერს ვკარგავ,* - ამბობს მარიუშ ვახი. - *პირიქით, მე მხოლოდ მოგებული დავრჩები ბრძოლის ნებისმიერი შედეგის მიუხედავად. უბრალოდ მინდა კარგი კრივი ვაჩვენო სამყაროს. ამიტომაც მშვიდად ვარ. გამარჯვების მოპოვებას მხოლოდ ნოკაუტით შევძლებ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცე კლიჩკოს ბრძოლაზე კონტროლის დაწესების საშუალება, რადგან ეს დამარცხების ტოლფასი იქნება. უნდა ვცადო ის რითმიდან ამოვაგდო, ზეწოლა უნდა განვახორციელო მის დაცვაზე და ძლიერი დარტყმები შევთავაზო. ვლადიმერი ზეადამიანი არ არის და შეიძლება მისი დამარცხება".*

საინტერესოა, რომ ვახი მისი პრომოუტერის **მარიუშ კოლოძეის** გადაწყვეტილებით, სხვა სპორტსმენებისგან განცალკევებით, დახურულ კარს მიღმა ვარჯიშობს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ერთხელ, პოლონელის გუნდის წევრებმა ვახის ვარჯიშის დროს დარბაზში კლიჩკოს მეორე მწვრთნელი **ჯეიმს ალი ბაშირი** შენიშნეს. ამის გამო, სასწრაფოდ შესვენება გამოაცხადეს, ბაშირს კი დარბაზის დატოვება მოსთხოვეს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloitd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**